

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS AND BUSINESS  
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

იანვარი-თებერვალი  
JANUARY-FEBRUARY  
ЯНВАРЬ-ФЕВРАЛЬ

2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი  
და რევენგირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса  
Тбилисского государственного университета имени Ив.  
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ  
Published since January, 2008 once in two month  
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,  
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.  
e-mail: ebf.journal@tsu.ge; lia\_lugela@mail.ru

## სარედაქციო კოლეგია

**რევაზ გოგოხია** – მთავარი რედაქტორი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **ვლადიმერ პაპავა**, **ავთანდილ სილაგაძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლეო ჩიქავა**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი**, **რამაზ აბესაძე**, **თემურ ბერიძე**, **სიმონ გელაშვილი**, **რევაზ გველესიანი**, **ნუგზარ თოდუა**, **ირაკლი კოვზანაძე**, **ნათელა ლაცაბიძე**, **ეკა ლეკაშვილი**, **მანანა ლობჯანიძე**, **მურთაზ მალრაძე**, **მაია მარგველაშვილი**, **ქეთევან მარშავა**, **ელგუჯა მექვაბიშვილი**, **იაკობ მესხია**, **დავით ნარმანია**, **ნუგზარ პაიჭაძე**, **სერგო სანაძე**, **ირაკლი სალარაიშვილი**, **დემურ სიჭინავა**, **მირიან ტუხაშვილი**, **გიორგი ლაღანიძე**, **ლეილა ღუღუშაური**, **ეთერ ხარაიშვილი**, **ელენე ხარაბაძე**, **რომან ხარბედია**, **ნოდარ ხადური**, **აკაკი ხელაძე**, **თემურ შენგელია**, **ემზარ ჯგერენია**.

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief, Doctor of Economic sciences, professor.

Academicians of National Academy of Sciences of Georgia, Doctors Of Economics Sciences, professors: **Vladimir Papava**, **Avtandil Silagadze**, corresponding member of Georgian National Academy of Sciences, doctor of Economic Sciences, professor **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili**, **Ramaz Abesadze**, **Temur Beridze**, **Simon Gelashvili**, **Revaz Gvelesiani**, **Leila Gudushauri**, **Nugzar Todua**, **Irakli Kovsanadze**, **Natela Latsabidze**, **Eka Lekashvili**, **Manana Lobjanidze**, **Murtaz Magradze**, **Maya Margvelashvili**, **Ketevan Marshava**, **Elguja Mekvabiishvili**, **Iakob Meskhia**, **David Narmania**, **Nugzar Paichadze**, **Sergo Sanadze**, **Irakli Sagareishvili**, **Demur Sichinava**, **Mirian Tukhashvili**, **Giorgi Gaganidze**, **Eter Kharaihvili**, **Elene Kharabadze**, **Roman Kharbedia**, **Nodar Khaduri**, **Akaki Kheladze**, **Temur Shengelia**, **Emzar Jgerenaia**.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Академики Национальной Академии наук Грузии, доктора экономических наук, профессора: **Владимер Папавა**, **Авгандил Силагაძე**, член-корреспондент Национальной Академии наук Грузии, доктор экономических наук, профессор **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананишвили**, **Рамаз Абесадзе**, **Темур Беридзе**, **Симон Гелашвили**, **Реваз Гвелესиани**, **Леиლა Гудушаури**, **Нугзар Тодуа**, **Ираклий Ковзанაძე**, **Натела Лацаბიძე**, **Ека Лекашвили**, **Манана Лобჯანიძე**, **Муртаз Магრაძე**, **Майя Маргველაშვილი**, **Кетеван Маршава**, **Злгудჯა Мекვაბიშვილი**, **Якоб Месхия**, **Давид Нармания**, **Нугзар Паиჭაძე**, **Серго Санаძე**, **Иракли Сагарეишვილი**, **Демур Сичინავა**, **Мириан Тухашვილი**, **Георгий Гаганиძე**, **Етер Хараишვილი**, **Элене Харабаძე**, **Роман Харбеდია**, **Нодар Хадური**, **Акаки Хелაძე**, **Темур Шенгелиა**, **Эмзар Джгереная**.

---

---

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, პილიპენკო ე.ვ. ემდ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტის კურგანის ფილიალის დირექტორი. კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

### **FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Pilipenko E.V. Economical doctor in science, economic branch in Kurgan unstitute, region of Ural, Russia. Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

### **ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Пилипенко Е.В. Д.Э.Н. - Директор Курганского филиала ИЭ УрО РАН, Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.



---

---

## სარჩევი

საშობაო ეპისტოლე .....10

### ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

**რეზაზ გველესიანი, ეკა ლეკაშვილი, ნანა მამსურაძე,**  
**გიორგი ყუყარაძე.** ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირთან  
ინტეგრაციის ეკონომიკური პოლიტიკა ..... 27  
**ღორინე ლატომბე.** კომპლექსური საზოგადოებრივი  
პრობლემების გადაჭრა ..... 53  
**რომან ხარბელია.** ეკონომიკური ლიბერალიზმისა და  
სახელმწიფოს როლის შესახებ ..... 85  
**პახა ქმსბაია.** რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთ-  
მიმართების კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური  
იმპლიკაციები ..... 101

### მიკრო-მაკროეკონომიკა

**გიორგი ლაღანიძე.** პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის  
ინდექსის განსაზღვრა .....119  
**მასტანო ზარაია.** საქართველოს ეკონომიკური კონ-  
კურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები ..... 137  
**მანა სანიკიძე.** მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი  
მექანიზმები .....151

---

---

**მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი**

**მანანა ხარხელი. ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი და  
ოპერაციული კონსალტინგის როლი მის  
განხორციელებაში ..... 163**

**ეკატერინე გულუა, მერაბ ხოსოვაია. ლიდერობის  
მართლმადიდებლური აღქმა ..... 177**

**ზინანური ეკონომიკა**

**თამარ კბილაძე. ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის  
გაანგარიშების საკითხისათვის ..... 191**

**ჟურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო  
სტატიების წარმოდგენისა და გამოქვეყნების წესი ..... 202**

---

---

## CONTENTS

<b>Christmas Epistole .....</b>	<b>10</b>
---------------------------------	-----------

### **ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY**

<b>R. GVELESIANI, E. LEKASHVILI, N. MAISURADZE, G KUPARADZE. Historical Evolution of Integration of Visegrad Countries with the European Union.....</b>	<b>27</b>
<b>D. DETOMBE. Handing Complex societal Problems .....</b>	<b>53</b>
<b>R. KHARBEDIA. On Economic Liberalism and the State Role .....</b>	<b>85</b>
<b>K. KETSBAIA. Classical and contemporary sociological implications of the interrelationof religion and economics.....</b>	<b>101</b>

### **MICRO – MACROECONOMICS**

<b>G. GAGANIDZE. Determining the production export potential index.....</b>	<b>119</b>
<b>V. CHARAIA. Economic ompetitiveness of Georgia, Analysis and Perspectives.....</b>	<b>137</b>
<b>M. SANIKIDZE. Support instruments for SME Developoment .....</b>	<b>151</b>

---

---

**MANAGEMENT. MARKETING. TOURISM**

**M. KHARKHELI.** Reengineering of Business Processes and the role of Operational Consulting In Its Implementation .....163  
**E. GULUA, M. KHOKHOBAIA.** Orthodox Comprehension of Leadership ..... 177

**FINANCIAL ECONOMICS**

**T. KBILADZE.** For the Issue of calculating Optimal Tax Burden ..... 191

In magazine “Economic and Business”, Presentation of scientific articles and submission rule ..... 202

---

---

## СОДЕРЖАНИЕ

Рождественное эпистоле ..... 10

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<b>РЕВАЗ ГВЕЛЕСИАНИ, ЭКА ЛЕКАШВИЛИ, НАНА МАЙСУРАДЗЕ, ГЕОРГИЙ КУПАРАДЗЕ.</b> Экономическая политика Вышеградских стран интеграции с Евросоюзом .....	27
<b>ДОРИЕН ДЕТОМБЕ.</b> Решение комплексных общественных проблем.....	53
<b>РОМАН ХАРБЕДИЯ.</b> Об экономическом либерализме и роли государства .....	85
<b>КАХА КЕЦБАЯ.</b> Классические и современные социологические импликации взаимоотношения религии и экономики .....	101

### МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

<b>ГЕОРГИЙ ГАГАНИДЗЕ.</b> Определение индекса экспортного потенциала продукции .....	119
<b>ВАХТАНГ ЧАРАЯ.</b> Анализ и перспективы конкурентноспособности Грузии .....	137
<b>МАЙЯ САНИКИДЗЕ.</b> Содействующие механизмы развития малого бизнеса .....	151

---

---

## **МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ**

- МАНАНА ХАРХЕЛИ.** Рейнжиниринг бизнес-процессов и роль оперативного консалтинга в её осуществлении .163
- ЭКА ГУЛУА, МЕРАБ ХОХОБАЯ.** Восприятие православногo лидерства.....177

## **ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА**

- ТАМАРА КБИЛАДЗЕ.** К вопросу расчёта оптимального налогового бремени .....179
- Правила представления и опубликования научных статей в журнале «Экономика и бизнес»..... 202

## პატრიარქის საშობაო ეპისტოლე - სრული ვერსია

ყოველდღისა მღვდელმთავარო, ღირსნო მოძღვარო, დიაკონო, ბერ-მონაზონო, ყოველნო საერო დასნო, - მკვიდრო საქართველოსა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ძვირფასო თანამემამულენო!

„ნუ გეშინიათ, აჰა, მე გახარებთ დიდ სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი. რადგან დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი” (ლუკა 2,10-11).

2014-ედ ეუწყება ახლა მსოფლიოს ეს საოცარი ამბავი და ეფინება უფლის უსხეულო ძალთა საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნობა” (ლუკა 2,14). ანგელოზთა დასი, მწყემსები, მოგვები და, მათთან ერთად, ჩვენც მაღლიერებითა და მოკრძალებით კვლავ წარმოვთქვამთ ღმერთთან შერიგების, მშვიდობისა და ბედნიერების მომტან ამ დიდებულ სიტყვებს.

რამდენი ხანი ელოდა ამ ზეიმს ადამის მოდგმა? რამდენი საუკუნე გაილია ამ ჟამზე ნატვრით? რამდენი წმინდა და ღვთისსათნო ადამიანი ღოცულობდა ამ დღისათვის?

ადამიდან მამამთავარ აბრაამამდე 20 თაობამ განვლო, აბრაამიდან დავითამდე - 14-მა, დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე - 14-მა, ბაბილონის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე, - კიდევ თოთხმეტმა და მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ, ცოდვით დაცემული ევას ნაცვლად, აღმობრწყინდა წმინდა ქალწული, ღვთისმშობელი მარიამი, - სასძლო უფლისა.

---

ბედნიერია საქართველო, რომ ქრისტიანობის სიხარული პირველი საუკუნიდანვე ეუწყა მოციქულთაგან და ამ დროიდანვე გახდა იგი ღვთისმშობლის წილხვედრი. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ამიტომაც სწორი წარმოდგენა უნდა გვქონდეს იმ პროცესებზე, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში და, საერთოდ, მსოფლიოში მიმდინარეობს, რათა პასუხი გავცეთ მათ და შევინარჩუნოთ წინაპრების თავგანწირვის ფასად დღემდე მოტანილი ჩვენი მეობა.

ყველა დროში ქრისტიანობას თავისი გამოწვევები ქონდა, მაგრამ თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა გამორჩეულია მეგა-გამოწვევებით.

პოსტმოდერნიზმის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილის ხედვა, რომელიც ამა თუ იმ რელიგიურ მიმდინარეობას ეყრდნობა, არასწორადაა მიჩნეული, რადგან, მათი გაგებით, ცდება ყველა, ვინც აცხადებს, რომ ჭეშმარიტება იცის. თვით ათეისტებიც ცდებიან, რადგან ამტკიცებენ რაღაცას, მაგალითად, უღმერთობას. მართალია მხოლოდ ის, ვინც არავის განსჯის.

ასეთი აზროვნებისათვის, სწორი და არასწორი აღარ არსებობს. გვაქვს უბრალოდ სისტემა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი ის კი არ არის, მართალია თუ არა ესა თუ ის პრინციპი, არამედ ის, თუ რამდენად მუშაობს და რამდენად სარგებლიანია იგი დღეს.

ამ სისტემაში მიჩნეულია, რომ თვითონ აღამიანია ყველაფრის განმსაზღვრელი და რაც მას მოესურვება, ისაა კარგი. ამიტომაც პიროვნების გამოსწორება კი არ არის საჭირო, არამედ მისი აზროვნების შეცვლაა მისაღწევი. მაგალითად, თუ ვინმეს ჭუჭყიანი სამოსი აცვია, და იგი ჩათვლის, რომ მისი ტანსაცმელი სუფთაა და ამას თვითონაც დაიჯერებს, ის მართალი იქნება. მნიშვნელობა არა აქვს, სხვაც ასე ფიქრობს თუ არა.

თუ ვიღაც მიიჩნევს, რომ ნაძვი მარადყვითელი მცენარე-



ეა, სხვა კი ამბობს, რომ იგი იასამნისფერია, სწორი იქნება ორივე და მცდარია იმის მტკიცება, თითქოს, ნაძვი მხოლოდ მარადმწვანეა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დედამიწას, ზოგადად სამყაროს, აქვს კანონები და ეს არის რეალობა. თანამედროვე აზროვნება კი გვეუბნება, რომ საერთო მოცემულობა არ არსებობს და რომ ეს ჩვენი მოგონილია. ამდენად, შევიძლია, შენი სურვილისამებრ, ნებისმიერი მოვლენა აღიარო, ან არ აღიარო, მიიჩნიო არსებულად, ან არარსებულად.

ტაბუ უნდა აეხსნას ყველაფერს!

უნდა განვდევნოთ წარსულის ზნეობრივი შეზღუდვები, ყველაფერი კარგია, რაც მე მინდა და მსიამოვნებს! ოლონდ შეფასებებისას ერთი აუცილებელი წესი უნდა იქნეს დაცული, - სხვისი, განსაკუთრებით უმცირესობის, უფლებები არ უნდა დაირღვეს! ეს კანონია.

შედგავდ კი ვიღებთ იმას, რომ იკარგება ზღვარი კარგსა და ცუდ საქციელს, სიმართლესა და სიცრუეს შორის. სიმართლე არის ის, რასაც მე მივიჩნევ სიმართლედ და მორჩა! შენ შენი სიმართლე გაქვს? დაიცავი შენი სიმართლე, მე ჩემსას დავიცავ. მე შენს უფლებებს არ შევლახავ, შენც ჩემი უფლებები არ შევლახო.

დაახლოებით ასეთია ის აზროვნება, რომელის დამკვიდრების მცდელობაც არის დღეს.

არჩევანის თავისუფლებას და პიროვნებაზე ძალადობრივი ქმედების მიუღებლობას ქრისტიანობაც ქადაგებს. არჩევანის თავისუფლება უფლისაგან ადამიანისათვის ბოძებული ერთ-ერთი უმთავრესი მადლია, მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებასა და ფსევდო-ლიბერალების მიერ შემოთავაზებული „თავისუფლებას“ შორის ფუნდამენტური სხვაობაა.

ფსევდო-ლიბერალური „არჩევანის თავისუფლება“ ასარჩევ მოცემულობათა თანაბარ ღირებულებებს გულისხმობს და ყველაფერს თანაბრად კარგად მიიჩნევს.

---

ქრისტიანობა (ზოგადად, რელიგიური აზროვნება) კი გვასწავლის, რა არის კარგი და რა - მიუღებელი, რა არის ცოდვა და რა - მადლი, მაგრამ არჩევის უფლებას პიროვნებას უტოვებს. ქრისტიანული პრინციპია: მე პატივს ვცემ შენი არჩევანის უფლებას, მაგრამ არა შენს ნებისმიერ არჩევანს; ყველაფერი ნებადართულია, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო (1კორ.10:23).

ისედაც ხომ ცხადია, არჩევანის თავისუფლება მაშინაა ღირებული, როდესაც მას ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფასეულობებს შორის აკეთებ, თორემ თუ ყველაფერი სულ ერთია, არჩევანსაც აზრი ეკარგება.

ყოველივეს თავი და თავი კი ის არის, რომ სეკულარულ-მა იდეოლოგიამ პიროვნება ღმერთისაგან დამოუკიდებელ არსებად წარმოაჩინა, კვარცხლბეკზე ცოდვით დამძიმებული ადამიანი დააყენა და ყველაფერი მის ინსტიქტებს დაუქვემდებარა, რითაც მდაბალი ვნებითი მიდრეკილებების ლეგიტიმაცია მოინდომა, მორალური და სულიერი ორიენტირები დაუკარგა და ეს ინდივიდუალიზმის საბაბით გაამართლა.

ესაა ყველა მიმართულებით გაშლილი ბრძოლა ტრადიციული შეხედულებების, აღზრდისა და ზნეობის წინააღმდეგ.

დიდად სამწუხაროა, რომ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობისთვის მკვეთრად უარყოფითი იდეებით გამოირჩევიან, ჰუმანიზმის აღიარებულ წარმომადგენლებად სახელდებიან. მათ აქვთ პრივილეგიები, რეკლამა, მათზე მუშაობს მასმედია, დაცულნი არიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; მათი მიზნების განხორციელებისათვის ხდება კანონმდებლობების შეცვლაც და სხვა; ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესებს, განსაკუთრებით ეკლესია, დისკრედიტირების ნიადაგარში ექცევა, საზოგადოებაში კი მთავარი დარტყმის ობიექტი ოჯახია.

ეს პროცესები მეტნაკლებად ჩვენს ქვეყანაშიც მიმდინ-

არეობს და სწორედ ამიტომ ვამახვილებთ ამ თემებზე ყურადღებას.

კრიზისის მთავარ გამოვლინებას სექსუალური უმცირესობების ურთიერთობების ქალისა და მამაკაცის ქორწინებასთან გათანაბრების და ერთსქესიანი წყვილებისათვის ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭების საშიშროება წარმოადგენს. ასეთი კანონი ქორწინების მთელ აზრს აუკუღმართებს და ბავშვსაც, ფაქტიურად, ნივთად აქცევს, რომლის ფლობაც ყველას შეუძლია.

საქართველო თავისი განვითარებით, კულტურით ქრისტიანული ევროპის ნაწილია და ამიტომაც, მისკენ ლტოლვა ჩვენს ხალხში ნამდვილად არის. მაგრამ, ამ და ზემოთ აღნიშნულ ფუნდამენტურ საკითხებთან მიმართებაში, ევროგაერთიანებამ, ევროპარლამენტმა უნდა გაითვალისწინონ ცალკეული ქვეყნების ტრადიცია და აზროვნების წესი და მისცენ მათ საშუალება თავისუფალი არჩევანისა, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ გულწრფელად მონიღმომოს თანამედროვე ევროპულ კულტურასთან დაკავშირება.

საქართველოს ეკლესია მიესალმება ევროკავშირის პოზიციას იმის შესახებ, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება არ წარმოადგენს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად ჩვენი ქვეყნის გახდომის წინაპირობას, რაც ევროკავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ბატონ ფილიპ დიმიტროვის 2013 წლის დეკემბრის თვის განცხადებაში დაფიქსირდა.

ზოგადად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი პიროვნებები დახმარებას და თანადგომას საჭიროებენ, რათა მათ დაძლიონ ცოდვითი მიდრეკილებები და სწორი ცხოვრების გზას დაუბრუნდნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მხარი დაუჭიროთ მათი ცოდვის პროპაგანდას.

საერთოდ, ოჯახი არის ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედი. იგი პატარა სახელმწიფოა,

---

ქრისტიანული გაგებით კი - „მცირე ეკლესია.“

ქრისტიანობა ქორწინებას ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევს. ეს არის საიდუმლო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთიური სიყვარულისაც. ოჯახური ცხოვრება ქრისტიანული ღვაწლია, გზაა სულის ხსნისა, რადგან იგი გულისხმობს არა მარტო ერთად ცხოვრებას, არამედ ერთმანეთისათვის ცხოვრებას.

ბიბლია გვასწავლის, რომ ოჯახის უფალი არის ღმერთი, რომელმაც ადამისა და ევას სახით მთელი კაცობრიობა შექმნა. ამდენად, ყველა ადამიანის მამა, ამ სიტყვის ყველაზე სრული და აბსოლიტური მნიშვნელობით, არის თვით შემოქმედი.

ჰეშმარიტი ქრისტიანული ოჯახისთვის მარტო სიყვარული და ერთმანეთისაკენ სწრაფვა არ არის საკმარისი. ოჯახი მოწოდებულია იქცეს „მცირე ეკლესიად,“ მარადიული სიყვარულის ცოცხალ ხატად, რომელშიც ღვთის მცნებებს იცავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ.

შეგახსენებთ მოსე წინასწარმეტყველის ყველაზე მთავარ მიმართვას ხალხისადმი: „ისმინე, ისრაელო! და ეცადე შეასრულო, რომ კარგად იყო და დიდად იმრავლო ქვეყანაში, ... ისმინე, ისრაელო, ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი.

გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულით და სულით, მთელი შენი შეძლებით.

გულში გქონდეს ეს სიტყვები, ... ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიბი ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე. წააწერე შენი სახლის წირთხლებს და კარებს” (III რჯ., 6, 3-9).

ეს დარიგება ახალ აღთქმაშიც ყველაზე მთავარ მცნებად იქნა გაცხადებული იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც დაამატა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი” (მთ., 19, 19).

ოჯახში მეუღლეები ერთმანეთს სიყვარულით უნდა ემსახურონ, თუმცა იერარქია ყოველთვის უნდა იყოს დაცული.

ის, რომ მამაკაცი თავია ოჯახისა, არ ნიშნავს მის ბატონობას, არამედ მის მსხვერპლშეწირულ მსახურებას, მის პასუხისმგებლობას ცოლისა და შვილებისადმი. იგია მათი დამცველი, მომპოვებელი არსობის პურისა და ამასთან, ღვთისმშასხური თავისი სახლისა. მან უნდა გამოითხოვოს უფლისაგან წყალობა, სიყვარული და მაღლი ოჯახის წევრებისათვის.

ქალი პასუხისმგებელია სახლზე, მისი წევრებისათვის ზრუნვაზე, შვილების აღზრდაზე. იგი ღვთის მცნებების გათვალისწინებით უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუნდაც, რომ ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეუძლებელი იყოს, რადგან ამით აღასრულებს უფლის ნებას (თუმცა ეს არ ნიშნავს ცოდვასა და არასწორ ქმედებებში მორჩილებას).

ქრისტიანულ ოჯახში, რა თქმა უნდა, თავს იჩენს არაერთი განსაცდელი, რაც ურთიერთსიყვარულით უნდა დაიძლიოს. და თუ ეს ასე არ ხდება, იქ არც არის ნამდვილი ოჯახი.

ქრისტიანული ოჯახი უფლის სავანეა, უფლის ბაღია, რომელშიც ცოლსაც და ქმარსაც დაედგინათ მუშაკობა ღვთის სადიდებლად.

როგორი ამადლებულია ეს ყველაფერი, როგორი სათუთია და გასაფრთხილებელი! ჩვენი ახალგაზრდები კი, სამწუხაროდ, მოუშზადებელნი ხვდებიან ამ უდიდეს საიდუმლოს.

თანამედროვე მსოფლიოში ოჯახურ ფასეულობებს ენაცვლება მხარეთა მერკანტიული ინტერესები. ე.წ. პარტნიორული ურთიერთობები, რომელსაც თან სდევს გარეშე თანაცხოვრების სხვადასხვა ფორმები. მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ კი ისეთი მძიმე ეთიკური საკითხები დააყ-

---

ენა დღის წესრიგში, როგორც მანამდე არ სმენოდა კაცობრიობას: ხელოვნური განაყოფიერება, სინჯარაში ჩასახული ბავშვები, სუროგატი დედები, გენების შერწყმა, კლონირება და ა.შ.. “ჰუმანისტები” მხარს უჭერენ აბორტს, ევთანაზიასა და თვითმკვლელობას.

ამასთან, მათთვის მეცნიერული პროგრესი აბსოლუტიზირებულია და მიიჩნევენ, რომ რისი გაკეთებაც შესაძლებელია, უნდა გაკეთდეს. ეს ეთიკური სოფიზმია, რადგან ის, რაც ტექნოლოგიურად მიღწევადია, ყველაფერი როდია მორალური და სასარგებლო.

მიზანი ამართლებს საშუალებას,- ესეც მათი ცხოვრების წესია და ესეც სოფიზმია, რადგან არც ყველა მიზანია კარგი და არც ყველა საშუალებაა მისაღები, თუნდაც კარგი მიზნისათვის.

მაგალითად, ფაშისტებს ქონდათ ებრაელების განადგურების სურვილი. განა ეს მიზანი შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს?! ანდა იმისთვის, რომ კაცობრიობის ჯანსაღი ნაწილი მეტად იყოს დაცული, ნუთუ შეიძლება ვინმემ გაამართლოს შიდსით დაავადებულთათვის სიცოცხლის მოსწრაფება?

განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და უსუსური პატარა არსებების უღვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან? და როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, მილიონამდე აბორტი კეთდება საქართველოში და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის.

შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება? ეს პატარა ხომ თავიდანვე გაწირეს უსიყვარულობისათვის, მიუსაფრობისა და მარტოობისათვის. იგი კეთილდღეობაშიც რომ გაიზარდოს, მუცლადყოფნის პერიოდის ამ სიმძიმეს ვერაფერი შეცვლის და ეს, აუცილებლად, იჩენს თავს ზრდასრულ ასაკში.

პრობლემატური იქნებიან ის ბავშვებიც, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ და მათი სიცოცხლე მრავალი ემბრიონის განადგურების შედეგად განვითარდა.

ის, რომ კაცთა მოდგმას არ შეუქმნია ოკეანე, ხმელეთი, ციური სხეულები და ბალახიც კი (აღარაფერს ვამბობთ ადამიანზე), ცხადზე ცხადია. აქამდე მხოლოდ ბიოლოგიურად საინტერესო ქიმიკატები (მაგ. ამინომჟავები) მიიღეს, შეფუთვარდა და შეარეთეს სიცოცხლის უკვე არსებული ფორმები და სხვა არაფერი.

ხოლო, თუ ჩვენ არ მოგვიტანია სიცოცხლე ამ წუთისოფელში, რა უფლება გვაქვს გვაქვს მოვინდომოთ ბატონობა მასზე? რატომ ვისაკუთრებთ მას, რაც ჩვენი არ არის?

ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად მეცნიერულ-ტექნიკური დიდი წინსვლისა, არ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ სიკვდილს. რატომ? ჩვენ ხომ ყოველის შემძლენი ვართ? სინამდვილე კი სხვა არის. უფალი ეუბნება მოსეს: „მე ვკლავ და მე ვაცოცხლებ“ (III რჯ. 32, 39). იობის წიგნშიც იგივე აზრია: სიცოცხლე „უფალმა მომცა, უფალმა წაიღო“ (იობი 1, 21).

ამიტომ, არავითარი უფლება არა გვაქვს ხელეყოთ უფლის ეს წყალობა და ვინც ამას აკეთებს და არ შეინანებს, დაისჯება!

მიუხედავად უამრავი პრობლემისა, კარგი ოჯახები მაინც მრავლად არის საქართველოში, რაც ქვეყნის გადარჩენის გარანტიაა.

მე მინდა დავლოცო ჩვენს სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა ქართული ოჯახი, ასევე ვლოცავ ჩვენი ქვეყნის მკვიდრ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ოჯახებსაც და ყველას გისურვებთ ღვთისსათნო გზით სვლას, უფლის შიშითა და სიყვარულით ცხოვრებას, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა.

ამასთან, ვითვალისწინებთ რა იმ მართლმადიდებელი ადამიანების დამსახურებას, რომელთაც ბოლო 20 წლის

---

მანძილზე, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენს სამწესოს 4 და მეტი შვილი შესძინეს, მივიღეთ გადაწყვეტილება, ასეთი მშობლები და შვილები განსაკუთრებულად შევავედროთ უფალს და პატრიარქის სიგელით დავაჯილდოვოთ.

მრავალშვილიანობა უდიდესი სიკეთეა.

რომელი წარმავალი სიმდიდრე შეედრება დედამიწიშვილების გვერდზე დგომასა და სიყვარულს, რაც ასე სჭირდება ადამიანს ჩვენს მეტად რთულ დროში. თვითონ მშობლებიც უდიდეს ენერჯიას იღებენ მათგან, რადგან თითოეული შვილი ცალკე აღებული საოცარი სამყაროა.

მრავალშვილიანობა იმითაც არის ფრიად სასურველი, რომ ბავშვი პატარაობიდანვე სწავლობს ეგოიზმის დაძლევის, სხვაზე მზრუნველობას და მშობლებისგან მომდინარე სიყვარულის სხვისთვის განაწილებას.

ვისაც სამი და მეტი ბავშვი ჰყავს, კარგად იცის, ხშირად როგორ უჭირს პირველ შვილს ახლად დაბადებულ მეორე ჩვილთან შეგუება და სულ ეძებს დროს, რაიმეთი ავნოს მას; მესამე პატარის შემატებას პირველი უფრო ადვილად იტანს, მეორე კი უფრო მეტად განიცდის, მაგრამ ისე არა, როგორც პირველ შვილს უმძიმდა თავიდან, მეოთხე ბავშვის დაბადება უკვე აწონასწორებს ყველაფერს და ა.შ.

ანუ შვილთა სიმრავლე მათი სწორად აღზრდის ერთ-ერთი გარანტიაა, რადგან ასეთ გარემოში “მე“-ზე ორიენტირებული სულისკვეთება სიყვარულის გამრავლებითა და გაცემით იცვლება და თუ ამას სწორი აღზრდაც დაემატა, მივიღებთ იმ მდგომარეობას, რაზეც ბიბლია ბრძანებს: ქალი შვილთა სიმრავლით ცხონდებაო (I ტიმ. 2,15).

ამ საქმეში მთავარი როლი და პასუხისმგებლობა დედას ეკისრება. მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ხშირად ფსევდოკულტურითა და ცრუ თავისუფლებით არიან გატაცებულნი, როდესაც დედები ხდებიან, მათში სხვა გრძნობები



იღვიძებს სხვა აზროვნება უყალიბდებათ, რადგან სწორედ ისინი ხდებიან სიყვარულით მსახურების მთავარი მომქმედნი და ეს იწვევს სწორედ შინაგან ფერიცვალებას.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეუღლეებმა, რომელთაც საკუთარი შვილი არ ყავთ, ეს ტრაგედიად არ უნდა მიიჩნიონ; მთავარია მათი ერთად ცხოვრება სასუფეველის დამკვიდრებისთვის მომზადებად იქცეს.

სასურველია ბავშვის აყვანაც. ეს დიდი მადლია და ამ შემთხვევაში მათ ეკლესიაში საგანგებო ღოცვა ეკითხებათ.

\* \* \*

ამქვეყნიური ჩვენი ყოფა დროებითია და მსწრაფლ-წარმავალი. დრო კი რომელშიც ვცხოვრობთ, წრიულია, განმეორებადი და, ამავე დროს, სწორხაზოვანი, - მიემართება დასაწყისიდან დასასრულისკენ. ამასთან, სხვადასხვა ქმნილებისათვის ყოფის ხანგრძლივობა სხვადასხვანაირია: ზოგისათვის - რამდენიმე საათი, ზოგისთვის - რამდენიმე დღე, სხვისთვის - წლები, საუკუნეები ან საერთოდაც ათასწლეულები.

სამყარო და დრო ერთდროულად გაჩნდა. აი, როგორ მიმართავს ნეტარი ავგუსტინე უფალს: „შენა ხარ დროის შემომქმედი; არ არსებობს დრო შენი თანამარადისი რომ იყოს, რადგან შენ წარუვალი ხარ, ხოლო დრო რომ წარუვალი იყოს, დროც აღარ იქნებოდა იგი.”

სამოთხეში ყოფნის პერიოდს მამები „წმინდა დროდ“ მოიხსენებენ. იგი სხვა სახისა იყო და იქ არც ადამი არც ვვა არ ექვემდებარებოდნენ მის მდინარებას. ის დრო კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დადგა ცოდვით დაცემის შემდეგ.

პირველი ადამიანები, მოაკლდნენ რა “ცხოვრების ხის” ნაყოფს, - ანუ უფალთან ურთიერთობის შესაძლებლობას, დაკნინდნენ; მათი აზროვნების წესიც შეიცვალა და მიწიერი ყოფით შემოიფარგლა, თუმცა ლტოლვა სამოთხისა და ღვთი-

---

საკენ კვლავ დარჩათ. ამიტომაც ადამიანი გაორდა, გაორდა მისი ამქვეყნიური დროც: ლიტურგიკული დროით იგი კვლავ უკავშირდება ღმერთს, ხოლო ყოფითი დრო მოიცავს ცხოვრების იმ ნაწილს, რაზეც ბიბლიაში წერია: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამო არს” (ეკლ. 1,2).

ღროს გაყოფა ყველაზე რეალური სახით მოხდა პირველი მსხვერპლშეწირვის შემდეგ, როდესაც კაენმა უფლის ძღვენი ამპარტანების სულით გაიღო, ხოლო აბელმა - გულწრფელი, უშურველი სიყვარულით.

კაენის შური შუღლში გადაიზარდა, აბელის მოკვლით კი მასში მიწიერი და ეგოისტური სული იმდენად გაძლიერდა, რომ ღვთის პირისაგან თავისი ნებით საბოლოოდ მიეფარა და აღარ უნდოდა უფალთან ურთიერთობა; ამით დასრულდა მისი ლიტურგიკული დროც, რამაც მხოლოდ მიწიერი ყოფის სურვილი გაუღვივა და გამოიწვია სიკვდილისადმი ძრწოლა, ანუ შემოქმედთან შეხვედრის შიში. (ზოგადად ასეთივე დამოკიდებულება აქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ღვთის საწინააღმდეგოდ ცხოვრობენ.)

აბელს კი, მართალია, ამქვეყნიური ყოფა წაერთვა, მაგრამ მისი ლიტურგიკული დრო მომავალი მარადიული ნეტარი ცხოვრების საწყისად იქცა. დედამიწაზე კი მისი გზა სეთმა და მისმა მოდგმამ გააგრძელეს.

რას ნიშნავს ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ლიტურგიკული დროით ცხოვრება?

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კარგად დავუკვირდებით, წუთისოფელში აწმყო, ფაქტიურად, არ არსებობს; ის, რასაც აწმყოს ვარქმევთ, იმ წამსვე იქცევა წარსულად. ასე რომ, ჩვენ წარსულსა და მომავალს შორის ვიმყოფებით. მარადისობაში კი მუდმივი აწმყოა. იქ წარსული და მომავალი არ არსებობს.

და თუ გვსურს, სწორად ვიცხოვროთ, უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ჩვენს წარმავალ დროში მარადიულობა შემოვიყ-

ვანოთ და დრო მოძრავ მარადისობად ვაქციოთ (წმ.იოანე დამასკელი).

ეს საიდუმლო ეკლესიაში აღესრულება. ამიტომაც კარგავს აქ დრო თავის ძირითად ფიზიკურ თვისებებს, - შეუქცევადობას და სწორხაზოვნობას, რაც საეკლესიო დღესასწაულთა განმეორადობით, წრიული მდინარებითა და მათი განმაახლებელი მოქმედებითაა განპირობებული.

ჩვენ აქ მუდმივად ვხდებით თანამონაწილე სამყაროს შექმნისა, მამამთავართა და წინასწარმეტყველთა ეპოქისა, მაცხოვრისა და მისი მოწაფეების და წმინდანების ცხოვრებისა, საერთოდ ადამიანისა და სამყაროს ხსნის შესახებ საღმრთო განგებულების ისტორიისა.

ყოველ დღეს თავისი დატვირთვა აქვს: კვირა საღვთისმსახურო ციკლის ცენტრს, - ქრისტეს აღდგომას წარმოადგენს. ორშაბათი, ზოგადად, ანგელოზთა დღეა, სამშაბათი - წმ. იოანე ნათლისმცემლისა, ოთხშაბათი - ჯვრის, ხუთშაბათი - წმ. ნიკოლოზის, პარასკევი - ჯვარცმის, შაბათი კი - ყოველადწმინდა ღვთისმშობლისა და წმ. მოციქულების.

წლის ციკლის ფორმირებაც, პირველ რიგში, აღდგომას უკავშირდება და მას პასექის დღესასწაული განაპირობებს. ამასთან, არის უძრავი და მოძრავი უმნიშვნელოვანესი დღეები, რომლებიც უფლის, ღვთისმშობლის, ზეციურ ძალთა, მოციქულთა და წმინდანების სახელს უკავშირდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, გარდა ეკლესიური ცხოვრებისა, ლიტურგიკული დროით ცხოვრება ნიშნავს ყოველდღიური ყოფის ისე წარმართვას, რომ ადამიანის გული და გონება მუდმივად იყოს ღმერთთან კავშირში. ეს კი გულისხმობს გაცნობიერებას იმისას, რომ თუ არა უფლის შეწევნა, ჩვენ ვერ შევძლებდით ვერც სუნთქვას, ვერც სიარულს, ვერც აზროვნებას, და რაიმე საქმის გაკეთებას, გარშემომყოფთა და საერთოდ, სამყაროს აღქმას: ვერ მოვიპოვებდით საკვებს, ჩასაცემელს, საცხოვრისს, ვერ შევქმნიდით

---

კულტურას, ვერც მეცნიერულ აღმოჩენებს გავაკეთებთ...

ანუ უნდა დავინახოთ, რომ ყოველივე უფლის ნებით მოგვეცა, რათა გარემო უკეთესი გავხადოთ, ღვთის მადლიერნი და მისი თანაშემომქმედნი გავხდეთ და არა მოწინააღმდეგენი. თუმცა არჩევანი ჩვენი გასაკეთებელია.

თუ, მაგალითად, შენ პედაგოგი ხარ და მოსწავლეებს ზრდი იმ სულისკვეთებით, რომ იყვნენ სამშობლოს ერთგული შვილები, უყვარდეთ ღმერთი და ერთმანეთი, საერთოდ, მოყვასი, ასწავლი შურის დაძლევას, წყენის დავიწყებას და ადვილად შერიგებას, განსაცდელში მეოფთადმი დახმარებას, უფროსებისადმი პატივისცემას, ბუნების, შრომის, წიგნების კითხვის, ღრმა აზროვნების სიყვარულს და შენც თუ ასევე ცხოვრობ, მაშინ შენი ამქვეყნიური ყოფა მარადიულობით არის განმსჭვალული, რადგან ეგოიზმისგან თავისუფალ ღვთისსათნო აზროვნებას ამკვიდრებ.

თუ შენ დამლაგებელი ხარ და ყოველდღე პატიოსნად და სიყვარულით აკეთებ შენს საქმეს, არ აგვიანებ სამსახურში, ეხმარები მოყვასს, ჰმადლობ ღმერთს არსობის პურისთვის, არ ივიწყებ სულიერ ცხოვრებას და უფლის მცნებებს, შინ და გარეთ კეთილი დამოკიდებულების დამკვიდრებას უწყობ ხელს, შენ ლიტურგიკული დროით ცხოვრობ.

თუ დიასახლისი ხარ და შვილებზე ზრუნვას გირჩევენია, სამსახური გქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესად გაერთო, თუ შენ არაფერს ერიდები, რათა კომფორტული ცხოვრება მოიწყო და არ გადარდებს ამისთვის სხვისი მსხვერპლად გაწირვა, თუ შენ აბორტით ან სხვა თანამედროვე საშუალებებით ახდენ ოჯახის დაგეგმარებას, ეგოისტურად ზრდი ბავშვებს, არ ასწავლი მათ მოწყალების გაცემას და გაჭირვებულისადმი თანადგომას, არ ასწავლი მეგობრობას, სიმართლის სიყვარულს, ერთგულებას, - კაენის სულს ვერ მოიცვილებ და მისი ხვედრის თანაზიარი გახდები.

„ერთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ ადასრუ-

ლეთ სჯული იგი ქრისტესი.” ბრძანებს მოციქული (გალ.6,2). ფიზიკურ და მატერიალურ დახმარებასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ღოცვით შექვეყნას და ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

მინდა შეგახსენოთ ანტონი სუროჟელის მიერ მოხმობილი ერთი ამბავი: „იყო ახალგაზრდა მოძღვარი, რომელსაც სხვისი ცოდვების დანახვის უნარი მიეცა და როცა ერთხელ მასთან მეტად მძიმე ცოდვებით სავსე ადამიანი მივიდა აღსარებისათვის, არ მიიღო. თუმცა მალე სინდისმა შეაწუხა და ამის შესახებ გამოცდილ ბერს უამბო. მან უსაყვედურა: როგორ გააბრუნე? ის ხომ სინანულით მოვიდა და შენ იყავი მისი ბოლო იმედი?

ახალგაზრდა მოძღვარი ისე შეწუხდა, ღმერთს სთხოვდა, ნათელხილვის უნარი აღარ ქონოდა. გულწრფელი სინანულისათვის უფალმა მას თანაღმობის მაღლი მიანიჭა. და აი, ერთხელაც, როცა მას მეტად მძიმე ხასიათის სახლის მეპატრონესთან მოუწია ღამის გათენება, იგი აღარ დაბრკოლდა მისი ცოდვების გამო, არამედ ერთ კუთხეში გულმხურვალედ დაიწყო ღოცვა მეპატრონესათვის და თან მის დანაშაულობებს ამბობდა.

მასპინძელი სასულიერო პირის ღოცვით დაინტერესდა და ჩუმად დაუგდო ყური. იგი გაოგნებული ისმენდა თავისი ცოდვების შესახებ ახალგაზრდა მოძღვრის ღვთისადმი ვედრებას და ამან იმდენად შეძრა, რომ იმ დღიდან სრულიად განსხვავებული ცხოვრება დაიწყო.

ასეთი მაგალითები მის ცხოვრებაში მრავლად იყო და როცა ეკითხებოდნენ, როგორ ახერხებდა ადამიანების მოქცევას, მოძღვარი პასუხობდა: „როდესაც ჩემთან მოდის ცოდვით დამძიმებული პიროვნება, რომელიც ვერ ხედავს თავის დანაშაულს და სინანული არა აქვს, ვცდილობ სულიერად მის შინაგან სამყაროს ჩაგწვდე და იმ აზრით, რომ ჩვენ ვართ ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ერთმანეთისა,

---

---

ვიწყებ სინანულით ღოცვა-ვედრებას მისი და ჩემი, ანუ ჩვენს ცოდვებისათვის და ეს ადამიანიც, ღვთის მადლით, თანდათან იწყებს შემობრუნებას.”

ღმერთმა ჩვენც მოგვცეს ძალა ამგვარი წესით ცხოვრებისა.

მე იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად ჩვენს წინაშე არსებული მრავალი დიდი პრობლემისა, საქართველო გაუძლებს დროის გამოცდას და ყოველადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ღვთის მადიდებელი სული მუდამ იზემებს ჩვენს ქვეყანაში.

ქრისტეს ეკლესიის სამწყსოვ: დღეს “მოიწია დროის სისრულე, მოაგვინა ღმერთმა თავისი ძე, ... რათა ჩვენც მიგველო ძეობა”. ასე რომ მონანი კი აღარა ხართ, არამედ ძენი, ხოლო თუ ძენი ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღვთისა მიერ (გალ.4, 4-7).

მაშ, გიხაროდეთ, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, იეზიდნო, უდინინნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო ..., ყოველნო შვილნო საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა; გიხაროდეთ ყოველნო ღვთისმოყვარენო: „დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი” (ლუკა 2,11).

თქვენი ერთგულების ნიშნად ანთებული სანთლებით შეხვდით მას და იმედითა და სიყვარულით მიეგებეთ!

**მარადის თქვენთვის მლოცველი**  
**ილია II**  
**სრულიად საქართველოს**  
**კათოლიკოს-პატრიარქი**  
**ქრისტეს შობა 2013-2014 წელი**

**ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირთან  
ინტეგრაციის ეკონომიკური პოლიტიკა**

**რეზაგ ზველესიანი,**  
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-**  
**წიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური**  
**პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი**  
**ეკა ლეკაშვილი,**  
**იმავე კათედრის ასოცირებული პროფესორი**  
**ნანა მაისურაძე,**  
**დოქტორანტი**  
**ბიორბი ყუშარაძე,**  
**დოქტორანტი**

„ვიშეგრადის ჯგუფი“-ცენტრალური ევროპის ოთხი ქვეყნის: უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ალიანსს აღნიშნავს. ამ გაერთიანების მიზანი წვევრ ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება და ევროინტეგრაციის პროცესების გაძლიერებაა. ვიშეგრადის ჯგუფის ისტორია ჯერ კიდევ 1335 წლიდან იწყება, როდესაც ბოჰემიის, უნგრეთის და პოლონეთის მეფეები ვიშეგრადში<sup>1</sup> შეიკრიბნენ და ამ სამ სამეფოს შორის ურთიერთობების განმტკიცება გადაწყვიტეს. უფრო თანამედროვე ისტორია კი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის ინიციატივით იწყება, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის სახელმწიფო მმართველებმა ჩაატარეს სამიტი ბრატისლავაში (აპრილი 1990), ვიშეგრადში (თებერვალი 1991), კრაკოვში (ოქტომბერი 1991) და პრელაში (მაისი 1992). ოფიციალურად ვიშეგრადის

<sup>1</sup> ისტორიული მნიშვნელობის სამეფო ციხე-ქალაქი უნგრეთში, რომელიც დააარსა უნგრეთის მეფემ ჩარლზ I-მა.

ჯგუფი შეიქმნა 1991 წლის 15 თებერვალს „ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს შორის თანამშრომლობის შესახებ დეკლარაციის“ ხელმოწერით. შეხვედრას, რომელიც უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში შედგა, ესწრებოდნენ ჯოზეფ ანტალი უნგრეთის პრემიერ - მინისტრი, ლეს ვალენსა - პოლონეთის პრეზიდენტი და ვაცლავ შპაველი - ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი. „ვიშეგრადის ჯგუფმა“ ცენტრალური ევროპის ქვეყნების ევროკავშირთან წარმატებული ინტეგრაციის მაგალითი შექმნა. იმის მიუხედავად, რომ ვიშეგრადის ჯგუფს სხვა რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად ჩამოყალიბებული სტრუქტურა და მუდმივმოქმედი სამდივნო არ აქვს, იგი ჯერ კიდევ XX ს-ის 90-იანი წლებში წარმატებული რეგიონული თანამშრომლობის სიმბოლოდ იქცა.

ვიშეგრადის ქვეყნების ჯგუფის თანამშრომლობა არ წარმოადგენს ევროკავშირის რეგიონული გაერთიანების ალტერნატივას. ევროკავშირი მას მხარს უჭერს როგორც ევექტიანი სუბრეგიონული თანამშრომლობის სტრუქტურას. ვიშეგრადის ქვეყნების ჯგუფი ხელს უწყობს საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ეკონომიკურ განვითარებას მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით.

ვიშეგრადის ქვეყნების მსგავსად, ევროინტეგრაციის პროცესები პრიორიტეტულია აღმოსავლეთ ევროპის მოსაზღვრე რეგიონის - სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის, რომლებიც ესწრაფვიან თავიანთი საზოგადოებების ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის წარმატებით გაგრძელებას, ევროკავშირის სტანდარტებთან კონვერგენციას და ამ გზით ევროკავშირის წევრობას. ცნობილია, რომ 2009 წლის 7 მაისს ევროკავშირმა აღმოსავლეთ ევროპის ექვს ქვეყანას (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა) თანამშრომლობის ახალი ფორმა - აღმოსავლეთ



თის პარტნიორობა (Eastern Partnership) შესთავაზა. “აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში უფრო ღრმა ინტეგრაციას და მონაწილე ქვეყნებისათვის სოციალური და ეკონომიკური რეფორმების გატარებაში დახმარებას. ამ მხრივ, ვიშეგრადის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება და ევროკავშირთან ინტეგრაციის ცალკეული ასპექტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს. სწორედ ეს განაპირობებს კვლევის ინტერესს.

აღნიშნული რეალობის გათვალისწინებით, **კვლევის მიზნად** დასახულია ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის ევოლუციის შესწავლა, ამ პროცესში არსებული მიღწევების, პრობლემების და მათი დაძლევის გზების გამოვლენა, რის შედეგადაც ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ევროკავშირში მათი გაწევრიანებისა და რეგიონული თანამშრომლობისათვის. კვლევის ობიექტს ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკები, ხოლო საგანს - ამ ქვეყნების მიერ შემუშავებული და გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს.

ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის საკითხის გარშემო ქართულენოვანი რესურსები არ არსებობს. შესაბამისად, კვლევის პროცესში გამოვიყენეთ დელანტის და რუმფორდის [6], გილის და რაიზერის [17], ფრანოს [7], კავალიაუსკას [8], კრამპტონის [12] და სხვათა შრომები. ასევე, ავტორთა ჯგუფების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული ანგარიშები და კვლევები, რომლებიც ევროკავშირის გაფართოებას და ვიშეგრადის ჯგუფში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკებს ეხება. კრამპტონის [12] ნაშრომში წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის განვითარების კვლევა XX საუკუნესა და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში. წიგნში ყურადღება გამახვილებულია დემოკრატიის ფორმირებასა და საბაზრო ეკონომი-

კის განვითარების საკითხებზე. კავალიაუსკას [8] ნაშრომში წარმოდგენილია ცენტრალური ევროპის გეოპოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ანალიზი უშუალოდ 1989-2012 წლებში. დელანტის და რუმ-ფორდის [6] ნაშრომი კი ევროპეიზაციის საკითხის გარშემო მიმდინარე დებატების კითხვებზე პასუხია: ავტორის აზრით, საჭიროა სოციალური თეორია ევროპეიზაციის არსის შესა-ცნობად. წიგნში წარმოდგენილია ევროკავშირში მიმდინ-არე ძირითადი სოციალური ტრანსფორმაციის საკითხები გლობალიზაციის კონტექსტით. გილის და რაიზერის [17] კვლევა ევროპის „ბრწყინვალეების“ განახლების გზების ძიე-ბას ეხება. კერძოდ, ევროპის ეკონომიკური მოდელის განხ-ილვას კონვერგენციის მექანიზმის საფუძველზე. ფრანოს [7] მონოგრაფიული კვლევა ვიშეგრადის ქვეყნების საფონდო ბირჟის საბაზრო მიკროსტრუქტურების კვლევას მოიცავს. მასში განხილულია ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებში საფონ-დო ბირჟების ფუნქციონირების თავისებურებები.

1993 წლის 1 იანვრიდან, მას შემდეგ რაც ჩეხოსლოვა-კია ორ დამოუკიდებელ ქვეყანად გაიყო, ვიშეგრადის სამ-კუთხედი ოთხეულად იქცა და დეკლარაციით განისაზღვრა ვიშეგრადის ჯგუფის ძირითადი მიზნები:

- სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, დემოკრატიი-სა და თავისუფლების სრულად აღდგენა;
- ტოტალიტარული სისტემის ყველა არსებული სო-ციალური, ეკონომიკური და მენტალური ასპექტის აღმოფხ-ვრა;
- საპარლამენტო დემოკრატიის და სახელმწიფო სა-მართლებრივი სისტემის მშენებლობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პატივისცემა;
- თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შექმნა;
- სრული ჩართულობა ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე უსაფრთხოებისა და საკანონმდებლო

სისტემაში.

ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით, თანამშრომლობის ფორმად შერჩეულ იქნა პრემიერ-მინისტრებისა და მინისტრების დონეზე რეგულარული შეხვედრა, სადაც მუშავდებოდა ერთიანი სტრატეგიები. ამ მიზნით ოთხივე წევრი ქვეყნის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე შეიქმნა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი, რომლის ძირითადი მიზანი რეგიონული მასშტაბის პროექტების დაფინანსებაა. ვიშეგრადის თანამშრომლობა, ფაქტობრივად, არ არის რაიმე ფორმით ინსტიტუციონალიზებული. იგი ემყარება სხვადასხვა დონეზე მისი წარმომადგენლების პერიოდულ შეხვედრებს. პრემიერ - მინისტრების ოფიციალური შეხვედრა ყოველწლიურად ეწეობა. სამიტებს შორის საპრეზიდენტო პოზიცია აქვს ამ ოთხი ქვეყნიდან ერთდერთს, რომელიც პასუხისმგებელია თანამშრომლობის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

რეგიონული თანამშრომლობისა და განვითარების მსგავსი სტრატეგიების არჩევის მიუხედავად, ვიშეგრადის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდება სახელმწიფოს ტერიტორიული ზომებით, მოსახლეობის რაოდენობით, ეთნიკური კომპოზიციითა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. ვიშეგრადის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება უკავშირდება XX საუკუნეში მათ ისტორიულ ეკონომიკურ განვითარებას. უნგრეთის, სლოვაკეთის და პოლონეთის ეკონომიკა ძირითადად ყოფილ საბჭოთა კავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციაზე იყო ორიენტირებული. ჩეხეთი, პირიქით, ტრადიციულად დასავლეთ ევროპასთან ეკონომიკურ ურთიერთობას ანიჭებდა უპირატესობას. ვიშეგრადის ქვეყნები გარდამავალი ეკონომიკის ყველაზე განვითარებული ქვეყნები იყვნენ და გაცილებით უკეთესი საწყისი პოზიცია ჰქონდათ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით. ვიშეგრადის ყველა ქვეყანამ დაახლოებით ერთი და იგივე დრო - 41- 42 წელი

გაატარა კომუნისტურ რეჟიმში.

ცვალებადი გარემო და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები გავლენას ახდენდა პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. პერიოდულად ძლიერდებოდა მაღალი დონის პოლიტიკური თანამშრომლობა, მაგრამ პოლიტიკური რისკების განმუხტვისთანავე, როგორც წესი, ეს საჭიროება სუსტდებოდა. მაგალითად, XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყნები გაერთიანდნენ რუსეთისგან მომდინარე საფრთხის გავლენით<sup>1</sup>; ასევე, ერთობლივი რეგიონული აქტივობების სურვილი გაძლიერდა ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად მაქსიმალური უპირატესობებისა და სარგებლის მიღების იმედით. ეს პროცესი გაგრძელდა მანამ, სანამ ვიშეგრადის ქვეყნებმა არ მიიღეს ევროკავშირის სრული წევრობა.

ვიშეგრადის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულად ვითარდებოდა. 90-იანი წლების პირველი ნახევარი ეკონომიკური კავშირების მკვეთრი შესუსტებით ხასიათდება, რაც განპირობებული იყო იმ მიზეზით, რომ რეგიონის ქვეყნიებიდან თითოეული ცდილობდა ევროკავშირთან ინდივიდუალურად მჭიდრო ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების დამყარებას. ერთმანეთთან რეგიონული კავშირების ჩამოყალიბებას კი მეორეხარისხოვან საკითხად განიხილავდნენ.

ევროპული თანამეგობრობა 1990-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად დაინტერესდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებით არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისითაც. ევროპულმა თანამეგობრობამ დიპლომატიური ურთიერთო-

---

<sup>1</sup> მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის არტიომ მელხინის აზრით, ცენტრალური ევროპის არსებობის სუბსტანციურ პრინციპს ევროკავშირის წევრობის საპირისპიროდ რუსეთი წარმოადგენს. Tomas Kavaliauskas, 2012. Transformations in Central Europe between 1989 and 2012: Geopolitical, Cultural, and Socioeconomic Shifts. Lexington Books; გვ.3

ბები ჩამოყალიბდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

90-იანი წლების მეორე ნახევარში, ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (the CEF-TA<sup>1</sup>) ფარგლებში განხორციელებული ეფექტიანი ღონისძიებების შედეგად ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებმა საგრძნობი გაუმჯობესება დაიწყო, თუმცა, ვაჭრობა მაინც მნიშვნელოვნად შეზღუდული რჩებოდა. ეს, ნაწილობრივ, მოთხოვნის არასათანადო ზრდით იყო გამოწვეული, ნაწილობრივ კი, რეგიონის ქვეყნების სწრაფვით მაქსიმალურად გამოყენებინათ ევროკავშირთან ვაჭრობის პოტენციალი.

1998 წელს, ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებამდე, ევროკავშირის სამართლებრივ სტრუქტურასთან ადაპტაციისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარდაუვალი საჭიროება წარმოიშვა. ამას მოჰყვა ცენტრალური ევროპის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის თანხვედრა ბევრი ასპექტით, რადგანაც ლიბერალიზაციის ზომებმა ყველა მათგანისათვის პრაქტიკულად იდენტური მარეგულირებელი გარემო ჩამოყალიბდა. ამასთან, მოგვიანებით ცხადი გახდა, რომ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა გარკვეულ სფეროებში მსგავსი გზებით აღარ ვითარდებოდა. საწყის ეტაპზე, მას არ მოუხდენია აშკარა გავლენა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, თუმცა მოგვიანებით, რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკის სტრუქტურულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად განსხვავებული ეკონომიკური პირობები შექმნა. ევროკავშირში გაწევრიანების ფონზე, ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები გაძლიერდა, ხოლო ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე გავლენას ძირითადად მსხვილი უცხოური კომპანიები და მათი მიმწოდებლები ახდენდნენ.

1 ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონა შეიქმნა 1992 წლის 21 დეკემბერს, კრაკოვში (პოლონეთი) ვიშეგრადის ქვეყნების მონაწილეობით, ხოლო ძალაში შევიდა 1993 წლის 1 მარტს.

ეს პერიოდი, მსხვილი რეგიონული კორპორაციების ჩამოყალიბებით ხასიათდება, რომლებიც სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენდნენ რეგიონულ დონეზე[5, გვ.37].

2000 წელს, როდესაც ვიშეგრადის ყველა ქვეყნის ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და გარკვეული სფეროების მოდერნიზება მოხდა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა თანამშრომლობამ განვითარება სხვადასხვა მიმართულებით დაიწყო. ეკონომიკაში წამყვანი ადგილი კორპორაციულმა ურთიერთობებმა დაიკავეს. კოოპერაციის ძირითად მამოძრავებელ ძალას მიკროეკონომიკური კავშირები წარმოადგენდა, ძირითადად, კორპორაციული ქსელების საგაჭრო ურთიერთობები და პირდაპირი ინვესტიციები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში. მას შემდეგ რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გააცნობიერეს ევროკავშირში გაწევრიანების მნიშვნელობა, ვიშეგრადის ქვეყნების ვაჭრობა ევროკავშირთან მნიშვნელოვნად გაიზარდა. ევროკავშირი სუვერენული სახელმწიფოების თანამშრომლობისა და ეკონომიკური ორგანიზაციის ახალ მოდელს წარმოადგენს, რომლის წევრი სახელმწიფოებიც დემოკრატიულ ფასეულობებს იზიარებენ და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ემორჩილებიან. წლების განმავლობაში ევროკავშირმა ხელი შეუწყო დემოკრატიული და ლიბერალური პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას, კანონის უზენაესობას. ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა სურვილი გამოთქვეს მჭიდროდ ეთანამშრომლათ ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით. ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია ყველაზე სტრატეგიული მიზანი გახდა, რადგან ევროკავშირში გაწევრიანება მათ საშუალებას მისცემდა უკეთ დაეცვათ საკუთარი ინტერესები და უსაფრთხოება.

ზოგადად, გაფართოების პროცესი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ევროკავშირისათვის. გაფართოებამ მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა ყველა მხარეს და ახ-

ალი წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას სრულიად ახალი სივრცეებზე შეხდინა. გაფართოების მეხუთე ტალღა სიმბოლურად საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო, როდესაც ევროკავშირმა განაცხადა, რომ ის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავის ოჯახში მიიღებდა. ექსპერტების მოსაზრებით, 2004 წლის გაფართოების ძირითადი მიზეზი იყო ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ ევროპის გაერთიანება, რომელიც გააუქმებდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის აღმოსავლეთ-დასავლეთად დაყოფას.

გაფართოებების წინა ტალღებისაგან განსხვავებით, რომელიც დაყოფილი ევროპის კონტექსტით მიმდინარეობდა, 2004 წლის გაფართოების ტალღა პირველად შეეხო ევროპის ხელახალი გაერთიანების საკითხს. რეუნიფიკაცია მიზნად ისახავდა ევროპაში მცხოვრები ხალხების კონსტიტუციურ ჩარჩოში თავმოყვრას, რაც მათ მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში ერთობლივი მუშაობის სტიმულს მისცემდა. გაფართოების მეხუთე ეტაპი ისტორიული და უპრეცედენტო იყო ევროკავშირის ისტორიაში. მან ევროპის კონტინენტზე მშვიდობიანი ინტეგრაციის პროცესების შესაძლებლობები შექმნა. პოზიტიური და გრძელვადიანი მხარდაჭერის საბაზისო ინსტრუმენტი ე.წ. ასოცირების ხელშეკრულებების მომზადება და რატიფიცირება იყო. ვიშეგრადის ქვეყნებთან ასოცირების ხელშეკრულებები 1991 წელს გაფორმდა. მათ ევროპის ხელშეკრულებებსაც უწოდებენ. ასოცირების ხელშეკრულებები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანასთან ევროპის ხელშეკრულებებმა ევროკავშირისა და კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დაახლოების საფუძველი შექმნა. თანამშრომლობის სფერო პოლიტიკურ თანამშრომლობას, ხელსაყრელ სავაჭრო ურთიერთობებს, ეკონომიკურ საქმიანობასა და კულტურულ თანამშრომლობას მოიცავდა.



ევროპის ხელშეკრულებები ორმხრივად იქნა ხელმოწერილი. ისინი მორგებული იყო თითოეული კანდიდატი ქვეყნის საჭიროებებზე, თუმცა ამავდროულად საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კომერციულ ამოცანებს მოიცავდა და რეფორმების განხორციელების ჩარჩოს ქმნიდა. ევროპის ხელშეკრულებების ფარგლებში ევროკავშირსა და თითოეულ სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონა უნდა ჩამოყალიბებულიყო [20, გვ18].

ევროპის ხელშეკრულებების ხელმოწერის კომპლექსურ სტრატეგიას საფუძველი ჩაეყარა ევროპის საბჭოს კოპენჰაგენის შეხვედრაზე (1993 წელი), სადაც აღინიშნა, რომ ქვეყნები მომავალში ევროკავშირის წევრები გახდებოდნენ, თუკი გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებდნენ. გაფართოების პირობები თითოეული ქვეყნისათვის თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების პატივისცემის, კანონის უზენაესობის პრინციპებს მოიცავდა. ეს პრინციპები განსაზღვრულია ევროკავშირის შეთანხმებით (მუხლი 6, მუხლი 49). ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება ხანგრძლივი და მკაცრი პროცესის დასაწყისია. ოფიციალური ამოსავალი წერტილია ქვეყნის მიერ განაცხადის გაკეთება, თუმცა იგი, როგორც წესი, ყალიბდება ევროკავშირთან ძლიერი ორმხრივი ურთიერთობის არსებობის საფუძველზე. დასაბუთებულ განაცხადს შედეგად მოაქვს ევროკავშირის შეფასების პროცედურების მთელი რიგი, რომელიც შესაძლოა დასრულდეს ქვეყნის გაწევრიანებით ან შესაძლოა უარი ეთქვას ქვეყანას წევრობაზე. ქვეყნის მიერ ამ პროცესის სისწრაფე საერთო მიზნების განხორციელების პროგრესით იზომება.

ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ ვიშეგრადის ქვეყნებმა ერთობლივი ნაბიჯები გადადგეს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. სლოვაკეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ევროპის ხელშეკრულებას ერთ და იმავე



დროს მოაწერეს ხელი (1991 წლის 16 დეკემბერს), როგორც “ჩეხოსლოვაკიის” სახელმწიფომ (უნგრეთთან და პოლონეთთან ერთად). მაგრამ, შემდეგ ჩეხოსლოვაკია ორ ქვეყანად გაიყო და ახალი რეალობის პირობებში - 1993 წლის 4 ოქტომბერს, ორმა ქვეყანამ ხელახლა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. ამ ქვეყნებში ჩატარებულ რეფერენდუმებში, იმ მოქალაქეთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მასში და თანხმობა განაცხადეს თავიანთი ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებაზე, თითქმის ერთი და იგივე იყო. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეს პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო სლოვაკეთში. მოქალაქეთა გაფართოების პროცესისადმი მხარდაჭერა ყველაზე მეტად ევროკავშირის 15 ახალ სახელმწიფოს შორის უნგრეთსა და პოლონეთში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - ჩეხეთის რესპუბლიკაში, მაგრამ, სხვა წევრ ქვეყნებთან შედარებით, ვიშეგრადის ქვეყნებში მოსახლეობის მხარდაჭერა ევროკავშირში გაწევრიანებაზე ყველაზე მაღალი იყო. გაწევრიანების მსურველმა თითოეულ ქვეყანამ უნდა წარადგინოს განაცხადის ფორმა ევროსაბჭოში. უნგრეთმა განაცხადის ფორმა 1994 წლის 31 მაისს წარადგინა, პოლონეთმა - 1994 წლის 5 აპრილს, სლოვაკეთმა - 1995 წლის 27 ივნისს და ჩეხეთის რესპუბლიკამ - 1996 წლის 17 იანვარს. ამის შემდეგ ევროპის კომისია გამოთქვამს ფორმალურ მოსაზრებას აპლიკანტი ქვეყნის შესახებ და საბჭო წყვეტს მიიღოს თუ არა განაცხადი. საბჭოს მიერ მოლაპარაკების მანდატის ერთხმად დამტკიცების შემდეგ, მოლაპარაკებები ფორმალურად ღიად ცხადდება ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანასა და კანდიდატ ქვეყანას შორის. აუცილებელ პირობას წარმოადგენს აპლიკანტი ქვეყნის მზაობა მოლაპარაკებების დაწყებამდე დააკმაყოფილოს ძირითადი კრიტერიუმები. გაწევრიანების კრიტერიუმები კი ცნობილია კოპენჰაგენის კრიტერიუმების სახელით.

ვერობის ხელშეკრულებების ხელმოწერისა და ძალაში შესვლის თარიღები[24]

ცხრილი 1.

ქმედებები	ვერობასთან შეთანხმების ხელმოწერის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი	მოქალაქეთა წილი, რომლებმაც რეფერენდუმში მიიღეს მონაწილეობა(%)	თანხმობის წილი(%)
უნგრეთი	16 დეკემბერი 1991	1 თებერვალი 1994	45,64	83,76
პოლონეთი	16 დეკემბერი 1991	1 თებერვალი 1994	58,85	77,45
ჩეხეთის რესპუბლიკა	4 ოქტომბერი 1993	1 თებერვალი 1995	55,21	77,33
სლოვაკეთი	4 ოქტომბერი 1993	1 თებერვალი 1995	52,15	92,46

“კოპენჰაგენის კრიტერიუმები” 1993 წლის დეკემბერში იქნა დამტკიცებული ევროპის საბჭოს მიერ და ასოცირებული ქვეყნისაგან მოითხოვს შემდეგს:

- პოლიტიკური კრიტერიუმი: სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა დაცვისა და უმცირესობათა პატივისცემის გარანტიას;

- ეკონომიკური კრიტერიუმი: მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და უნარი მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის სფეროებში;

- გაერთიანების სამართლის გადმოტანა ქვეყნის შიგნით სამართალში (ინკორპორირება): ევროპის კავშირის სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული სახის მიზნებისადმი ერთგულება.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები ევროკავშირის მმართველობის მთავარი მახასიათებლებიდან გამომდინარეობს. ვიშეგრადის ქვეყნების სოციალისტური წარსულის გათვალისწინებით, ევროპის საბჭომ მოითხოვა მათი ეკონომიკური გარდაქმნა და ევროკავშირის სისტემასთან ჰარმონიზაცია. ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრირების მოსამზადებელი ეტაპი და ევროკავშირის გაფართოების ძირითადი ნაბიჯები დასახულ იქნა ევროპის საბჭოს შეხვედრებზე:

- 1993 წელს, კოპენჰაგენის სამიტზე, ევროპის საბჭომ გამოაცხადა, რომ “ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებსაც ევროკავშირის წევრობის სურვილი აქვთ, შესაძლოა გახდნენ კავშირის წევრები”. ევროპის საბჭომ, ასოცირების ხელშეკრულების პარალელურად, ევროპულ სახელმწიფოებს გაწევრიანების მოწვევა გადასცა. ამასთან, განსაზღვრა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინათ აპლიკანტებს წევრობის მიღებამდე.

- 1994 წელი, ესენი - ევროპის საბჭომ გააფორმა ხელშეკრულება გაწევრიანების წინა პერიოდის სტრატეგიაზე;
- 1994 წელი, მადრიდი - ევროპის საბჭომ მოახდინა გარდამავალი პერიოდის საჭიროების იდენტიფიცირება სოფლის მეურნეობის, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების და შრომითი ურთიერთობების სფეროებში;
- 1995 წელი, მადრიდი - ევროპის საბჭომ განმარტა, რომ კანდიდატმა ქვეყანამ უნდა დაიცვას ევროკავშირის პროცედურები და წესები;
- 1997 წელი, ლუქსემბურგი - ევროპის საბჭომ განაცხადა, რომ კანდიდატი ქვეყნების პირველმა ჯგუფმა შესაძლოა დაიწეოს მოლაპარაკებები გაწევრიანებაზე;
- 1999 წელი, ბერლინი - ევროპის საბჭოს შეხვედრა მიეძღვნა კანდიდატი ქვეყნების ფინანსური დახმარების გაძლიერებას;
- 1999 წელი, ჰელსინკი - ევროპის საბჭოს შეხვედრაზე გადაწყდა მოლაპარაკებების დაწყება ყველა კანდიდატ ქვეყანასთან (რუმინეთისა და ბულგარეთის გარდა);
- 2000 წელი, ნიცა - ევროპის საბჭო იწვებს ევროკავშირის ინსტიტუტების მომზადებას გაფართოებისათვის;
- 2002 წელი, კოპენჰაგენი - ევროპის საბჭოს სხდომაზე ევროკავშირი აწესებს გაფართოების თარიღს - 2004 წლის მაისს;
- 2003 წელი, ათენი - ევროპის საბჭოს შეხვედრაზე გაწევრიანების კონვენციების ხელმოწერა.

**ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

საწყისი პირობები: პერიოდი 1989-90 [21]

ცხრილი 2

	უნგრეთი	პოლონეთი	ჩეხეთის რესპუბ- ლიკა	სლოვა- კეთი
მოსახლეობა (მილიონი)	10.0	38.7	10.3	5.4
მანძილი ბრი- უსელიდან (კმ)	1412	1338	913	1223
მეპ,1989 (მე- იდველობითუ- ნარიანობის პარიტეტის მიხედვით, მლნ აშშ დოლარი)	6810	5150	8600	7600
კომუნისტური რეჟიმის ხან- გრძლივობა (წლები)	42	41	42	42
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა (%)	15	27	11	12
მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა (%)	38	36	45	32

გაწვევრიანების მოსამზადებელი საფეხურის სტრატე-  
გია მოიცავდა:

- გაწვევრიანების ხელშეკრულებებს, რომლებიც გა-  
ფორმდა ევროკავშირსა და ასოცირებულ ქვეყნებს შორის  
ვაჭრობის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონი-

ზაციის და სხვა საკითხებზე;

- პარტნიორობის ხელშეკრულებებს თითოეული ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების პირობებზე. ამასთან, ტარდებოდა პროგრესის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების სისტემატური მონიტორინგი, რომლებიც კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესრულებას ეხებოდა. შეფასებას ახდენდა ევროკომისია;

- Acquis Communautaire-ის მიღების ეროვნულ პროგრამას, რაც ნიშნავდა თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელების სტრატეგიის მომზადებას;

- ევროკავშირის ფონდებიდან ფინანსურ დახმარებას გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისთვის ევროკავშირის კრიტერიუმების მიღწევის მიზნით;

- გაწევრიანების მოლაპარაკებებს, რომლითაც დადგინდა პირობები და თარიღები ევროკავშირში გაწევრიანებისთვის.

აღნიშნული სტრატეგიის მიზანს წარმოადგენდა ასოცირებული ქვეყნების ევროკავშირში წარმატებული ინტეგრაციისათვის მხარდაჭერა. გაწევრიანება ასევე მოითხოვდა კანდიდატი ქვეყნისათვის ადმინისტრაციულ სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის პირობების შექმნას. მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის კანონმდებლობის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანა და შესაბამისი ადმინისტრაციული და სამართლებრივი სტრუქტურების მიერ კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება, რაც ევროკავშირის წევრობისათვის აუცილებელი ორმხრივი ნდობის წინაპირობას წარმოადგენდა.

გასული ორი ათწლეულის მანძილზე ევროკავშირმა ითამაშა წამყვანი როლი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაში. ევროკავშირს ასევე ჰქონდა უდიდესი ზეგავლენა ამ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

სწორედ გარეუპქტორებმა განაპირობა მნიშვნელოვანი გავლენა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკებზე.

ევროკავშირის ისტორიაში პირველად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მოსთხოვეს ისეთი პირობების შესრულება, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული რომის ხელშეკრულებაში. ერთ-ერთი ასეთი ფარული წინაპირობა ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის იყო თვითონ რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გადრმავება. ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის ასევე უკიდურესად მძიმე ამოცანას წარმოადგენდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, რადგანაც წინა გაფართოებებისგან განსხვავებით, სამართლებრივი მასალა გაცილებით უფრო მოცულობითი იყო. ამ პერიოდში, ცენტრალური ევროპა მთლიანად პოლიტიკის მიმდების პოზიციაში იყო. მას არავითარი შანსი არ გააჩნდა არსებითი ზეგავლენა მოეხდინა მოლაპარაკებების პროცესზე.

ერთი მხრივ, ცენტრალური ევროპის რეგიონი და მისი განვითარება ევროკავშირზე ძლიერ იყო დამოკიდებული. მეორე მხრივ, 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ცენტრალური ევროპის რეგიონმა სწრაფი ზრდა დაიწყო და იმედისმომცემი ჩანდა რეგიონში ბიზნესის განვითარების პერსპექტივები. ევროკავშირის ქვეყნებმა შეიმუშავეს ეკონომიკის განვითარების სტრატეგია, რომელიც ეფუძნებოდა ვიშეგრადის რეგიონში ინვესტიციების შემოდინების ხელშეწყობას. ზრდის მაღალი მაჩვენებლებისა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ხელსაყრელი პირობების გამო, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში განხორციელდა ცენტრალური ევროპის არც თუ ისე დიდი ბაზრის მნიშვნელობის გადაფასება. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა ევროკავშირისთვის ზრდის პოლუსი უნდა გამხდარიყო. იმედოვნებდნენ, რომ ამ რეგიონის ზრდის მაღალი

ტემპი ევროკავშირის აღმოსავლეთით შექმნილ მდგომარეობას სტაბილურს გახდიდა. ეს ხელსაყრელი იქნებოდა ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნებისათვის და, ამასთან, ამაღლებდა ევროპის კონკურენტუნარიანობას.

ვიშეგრადის მსგავს რეგიონში თანამშრომლობის ძირითადი სფეროების განსაზღვრა საკმაოდ ადვილია, ის ძირითადად განპირობებულია ზრდისა და განვითარების საჭიროებით. თვალსაჩინოა განვითარებისათვის საჭირო ფაქტორებიც, ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, ინსტიტუტებსა და ადამიან-კაპიტალში. ვაჭრობისა და ინვესტიციების ლიბერალიზაციამ და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში თანამშრომლობამ დიდი წვლილი შეიტანა რეგიონის სტაბილიზაციაში. ევროკავშირის გავლენა ცენტრალური ევროპის რეგიონულ ინტეგრაციაზე შემდეგი სახით მიმდინარეობდა:

• **ეკონომიკური პოლიტიკა.** 90-იან წლებში სუბრეგიონული ვაჭრობის ლიბერალიზაციას უფრო ნელი ტემპი ჰქონდა, ვიდრე ევროკავშირის ვაჭრობის ლიბერალიზაციას. ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებს შორის რთულად მიმდინარეობდა როგორც 90-იან წლებში, ასევე ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაც, რაც განპირობებული იყო ინდივიდუალურად ევროკავშირზე მზარდი დამოკიდებულებით. აღსანიშნავია რეგიონული დაპირისპირების ფაქტორიც: მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში „რეგიონის ჩემპიონის“ ტიტულმა რამდენჯერმე გადაინაცვლა ქვეყნებს შორის. 90-იანი წლების დასაწყისში ჩეხეთს რეგიონში საუკეთესო მაჩვენებლები გააჩნდა. 90-იანი წლების შუა პერიოდში გრძელვადიანი რეფორმებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების წყალობით უნგრეთი გახდა ნომერ პირველი ეკონომიკა ვიშეგრადის რეგიონში. XXI საუკუნის დასაწყისში პოლონეთმა, შემდეგ კი სლოვაკეთმა დაიკავა რეგიონის ჩემპიონის პოზიცია. დღესდღეობით, როგორც ჩანს, საერთა-



შორისო კრიზისის ფონზე, გარკვეულწილად, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა ყველაზე უკეთ უძლებდებიან კრიზისის უარყოფით ზეგავლენას. ქვეყნების პოზიციის ასეთმა ხშირმა ცვლამ გავლენა იქონია ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაზე.

• **კონკურენცია.** ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების შემდეგ შესაძლებელი გახდა რეგიონში ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის გავრცელებაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იყო საჯარო სექტორის რეფორმებისთვის. როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მონოპოლიები დამახასიათებელი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის თითოეული ქვეყნისათვის. შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება ძალზე რთული აღმოჩნდა. საჭირო გახდა ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარება. ინსტიტუციურ მოწყობაში აშკარად ყველაზე სუსტი რგოლის - ადგილობრივი სასამართლო სისტემის ტრანსფორმაცია გარკვეულწილად შეფერხდა სახელმწიფო და კერძო მონოპოლიების ან ლობების ძლიერი ზეგავლენის შედეგად.

• **სავაჭრო ურთიერთობები.** 90-იან წლებში ევროკავშირს პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა ჰქონდა ცენტრალური ევროპის ეკონომიკურ განვითარებასა და რეგიონულ თანამშრომლობაზე. მიიჩნევდნენ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა ურთიერთშორის ვაჭრობაში სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრაზე; ასევე, სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობაზე, რადგანაც CEFTA-მ ვერ შეძლო თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფა ამ სფეროში. ევროკავშირმა არაპირდაპირი გზით სტიმული მისცა რეგიონში სავაჭრო კავშირების გაძლიერებას და ქვეყნებს დახმარება გაუწია სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებაში [5, გვ.116]. სუბრეგიონული ვაჭრობის განვითარებას უცხოური ინვესტიციებით

შექმნილმა რეგიონულმა ქსელებმა შეუწყო ხელი. 90-იან წლებში ცენტრალური ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას ატარებდა, შესაბამისად, ევროკავშირთან ვაჭრობის ზრდა ამ ქვეყნების ეკონომიკური აღმაგლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ზრდის მაღალ ტემპებს შემოსავლის ზრდა მოჰყვა, რაც თავის მხრივ, შიგა მოთხოვნის ზრდას იწვევს. ევროკავშირის გაფართოებულ ბაზარზე მასშტაბის ეკონომიკამ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მოქმედი კომპანიების მდგომარეობა გააუმჯობესა. ევროკავშირმა ბიზნეს-ციკლების ჰარმონიზებაში ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებისათვის გადამწყვეტი როლი შეასრულა და ხელი შეუწყო რეგიონული ვაჭრობისათვის უკეთესი პირობების შექმნას. საავტომობილო ინდუსტრიაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა განაპირობა ერთგვარი კლასტერის ჩამოყალიბება, ძირითადად უნგრეთისა და სლოვაკეთის მეზობელ რეგიონში[5, გვ.118].

• **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** როდესაც საქმე ინვესტიციებს ეხება, აშკარა ხდება დიდი ბაზრის უპირატესობები. ცხადია, მხოლოდ გარკვეული ტიპის ინვესტორები ინტერესდებიან პატარა ბაზრებით. რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ლიბერალიზაციის შედეგად მიღწეული ბაზრის გაფართოების და მასშტაბის ეკონომიის გარდა, უპირატესობა და სარგებელი შეიძლება მიღწეულ იქნეს გაზრდილი კონკურენციით. პრივატიზაციამ ვიშეგრადის ქვეყნებში, განსაკუთრებით საბანკო სექტორში, ხარისხიანი საფინანსო მომსახურების წინაპირობები შექმნა, რომელიც აუცილებელია ფართომასშტაბიანი ინვესტიციებისა და ბიზნესისათვის. ვიშეგრადის ქვეყნების ერთობლივმა, მაგრამ ამავდროულად ერთმანეთის კონკურენტულმა სტრატეგიებმა - მოეხიდათ რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიცია, ადგილობრივი ბიზნესგარემოს გაუმჯობესება გამოიწვია. ინვესტიციების შედეგად მოხდა საერთაშორისო ფინანსური

ურთიერთობების ნორმალიზაცია, კერძოდ, ქვეყნები გახდნენ საერთაშორისო ფინანსური ბაზრის მონაწილეები. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ინვესტიციების მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდა ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებში.

• **ინფრასტრუქტურის განვითარება.** ნებისმიერი დაბალგანვითარებული რეგიონის სწრაფი ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის სწრაფად განვითარებაზე. 90-იანი წლების დასაწყისში ინფრასტრუქტურის განვითარებას ცენტრალური ევროპის ქვეყნებში შემდეგი მიზეზები აფერხებდა: აქტუალური არ იყო ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც ვიშეგრადის ქვეყნების ერთმანეთთან დამაკავშირებელ ინფრასტრუქტურას გააუმჯობესებდა; ცენტრალური ევროპის თითოეული ქვეყანა ცდილობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში რეგიონული ცენტრი გამხდარიყო, რაც უარყოფითად აისახა ქვეყნებს შორის ინფრასტრუქტურული ქსელების განვითარებაზე; ეკონომიკური ტრანსფორმაციითა და სოციალური პრობლემებით გამოწვეული მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო რესურსები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის მწირი იყო. რეგიონული თანამშრომლობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურის განვითარება ყოველთვის პრიორიტეტულია. თუმცა, გარე დაფინანსების გარეშე, სათანადო შედეგების მიღწევა თითქმის შეუძლებელია. სწორედ ამიტომ იყო ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებისათვის მისაღები ინფრასტრუქტურული განვითარების საერთო პროგრამის შემუშავება ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. ასევე ნათელი გახდა, რომ ერთობლივი გეგმები და პროგრამები ძალიან მნიშვნელოვანი იარაღია ქვეყნის შიგა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

მოცემული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ფაქტორები, რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირ-

თან ინტეგრაციის პროცესში. 90-იან წლებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შეფერხება არსებულმა გარემოებებმა განაპირობა. მათ შორისაა: საერთო ისტორიული წარსული, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური რისკების ზრდა, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება, ასევე განსხვავება ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სიმწიფის დონებს შორის, განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტები, ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე, მწირი რესურსები, რაც ართულებდა როგორც ნეგატიური ფაქტორების დაძლევის შესაძლებლობებს, ასევე ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს შეუწყობდა და გააღრმავებდა რეგიონულ თანამშრომლობას. ამასთან, მოცემულ პერიოდში ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური კოოპერაციის შეფერხების კიდევ ერთი მიზეზი იყო ის, რომ ამ ოთხ ქვეყანას იდენტური მახასიათებლები, მსგავსი შეფარდებითი უპირატესობა და შრომითი პოტენციალი გააჩნდათ. მათი ეკონომიკები იყო არა ერთმანეთის შემავსებელი, არამედ კონკურენტული. აღნიშნული პრობლემა მოგვიანებით მოგვარდა რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საფუძველზე ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებით.

ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომმა პერიოდმა ნათლად დაადასტურა, რომ რიგი საკითხებისა, რომლებიც უშუალოდ ცენტრალური ევროპის რეგიონს უკავშირდებოდა, ნაკლებად ან სრულებით აღარ დგას დღის წესრიგში. იყო მოლოდინი, რომ გაწევრიანების შემდეგ მასტრიხტის კრიტერიუმების დაკმაყოფილების საჭიროება ცენტრალური ევროპის ქვეყნებს უბიძგებდა მათ და ევროკავშირის ძველ წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური განსხვავებების შემცირებისკენ. მიიჩნევდნენ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის არაპირდაპირი ჰარმონიზაცია ის იარაღი იყო, რომელიც ამ

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ქვეყნების ეკონომიკების კონვერგენციას შეუწყობდა ხელს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეჭვს გარეშეა, რომ გარე საფრთხეები, არაპირდაპირი გზით, ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციისაგან დამოუკიდებლად, მოითხოვს ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის დაახლოებას. ეს კოორდინაცია თითქმის არ არსებობდა გასული ოცი წლის განმავლობაში და მხოლოდ ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკისაკენ მიმართულ სერიოზულ საფრთხეებს შეეძლო სიტუაციის შეცვლა.

მოსალოდნელია, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, ეკონომიკური ცვლილებები დაკავშირებული იქნება ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის სტრუქტურის ტრანსფორმაციასთან, რაც საბოლოოდ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის კონვერგენციასა და სინქრონიზაციას გამოიწვევს.

### **Historical Evolution of Integration of Visegrad Countries with the European Union**

R. Gvelesiani, E. Lekashvili, N. Maisuradze, G Kuparadze

For the first time in the history of the European Union, Central and Eastern European countries were required to meet the requirements, which were not envisaged in the Treaty of Rome. One of such hidden preconditions was deepening of economic cooperation between the countries of the region.

Coordination of economic policy among the Visegrad countries was developing in a difficult way in the 90s as well as after accession in the EU. This was caused by increasing dependence of these countries separately on the European Union. The phenomenon of regional rivalry should be mentioned as well - during the whole transition period the “title” of regional champion shifted several times between the countries.

Such frequent changes of the countries' positions affected coordination of economic policy.

Based on the research, some factors have become obvious which should be taken into consideration by the partner countries, including Georgia, on the way of European integration. In the 90s, political and economic cooperation in central and eastern Europe was hindered by the several conditions, including common historical past, increase of security and economic risks, variety of religions and ethnicity, difference between the levels of economic and political development, different political and economic priorities, low level of economic development, lack of resources. All this made it harder to overcome the negative factors as well as to create the relevant environment for promoting and deepening of regional cooperation.

Like the Visegrad countries, integration with the European Union is priority for the South Caucasian countries, which are striving for successful implementation of economic and social transformation of their societies, convergence with the EU standards and thus, achieving the EU membership. Eastern Partnership supports deeper integration of the partner countries with the European Union and assists reforming of economic and social fields of the countries included. From this perspective, experience of cooperation among the Visegrad countries and definite aspects of integration with the European Union is an important example for the South Caucasian countries.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლეკაშვილი ე., მაისურაძე ნ., ყუფარაძე ბ., ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე (ლექციების კურსი). ლექციების კურსი მომზადდა ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ..საუნივერსიტეტო გრანტების პროგრამა აღ-

- მოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“ პროგრამის ფარგლებში. თბილისი, 2013;
2. Crampton R.J., 1997. Eastern Europe in the Twentieth Century - and After, New York: Routledge;
  3. Nugent, N., 2004. European Union Enlargement. Basingstoke: Palgrave Macmillan;
  4. Bellamy, R., Warleigh, A. (eds.). 2001. Citizenship and Governance in the European Union. London: Continuum;
  5. Sharing the Experiences of Visegrad Cooperation in the Western Balkans and the Eastern Neighbourhood countries, International Centre for Democratic Transition. Project Preparatory Study 2010;
  6. Delanty, G., Rumford, Ch. 2005. Rethinking Europe. Social theory and the implications of Europeanization. London and New York: Routledge;
  7. Filip Fraňo, Market Microstructure of Stock Exchanges in the Visegrad Region: Facts and Comparative Analysis. 2012. LAP LAMBERT Academic Publishing GmbH & Co. KG;
  8. Tomas Kavaliauskas, 2012. Transformations in Central Europe between 1989 and 2012: Geopolitical, Cultural, and Socioeconomic Shifts. Lexington Books;
  9. The New Member States and the European Union: Foreign Policy and Europeanization. 2005. Edited by Michael Braun and Dan Marek, Routledge Advances in European Politics;
  10. Foreign Direct Investment in Central and Eastern Europe, edited by Svtla Trifonova Marinova and Marin Alexandrov Marinov , 2003. Transition and Development;
  11. Nugent, N., 2004. European Union Enlargement. Basingstoke: Palgrave Macmillan;
  12. Crampton R.J., 1997. Eastern Europe in the Twentieth Century - and After, New York: Routledge;
  13. Theo Hitiries, European Union Economics, 2003. FT Prentice Hall, 5-th edition;

14. John Gillingham, European Integration 1950-2003. Superstate or New Market Economy? 2003. Cambridge;
15. Larry Ned, The Economics of Europe and EU, 2007. Cambridge Un.pr.
16. The Economics of EU: Policy and Analysis, 2007. Edited by Mike Artis and Frederick Nixon, Forth Edition, Oxford Un. Press;
17. Gill, Indermit Singh, Martin Paiser et al. Golden Growth. Restoring the Iustre of the European Economic Model. IBRD, 2012.
18. . Sharing the Experiences of Visegrad Cooperation in the Western Balkans and the Eastern Neighbourhood countries. International Centre for Democratic Transition. Project Preparatory Study 2010;
19. A collection of Conference Speeches 22-23 November, 2012. The Role of Civil Society in Integration Processes: Real Enlargement through Effective Involvement.
20. Peter Bielik et al. Economics, Social Policy and Citizenship in the European Union. 2010. Nitra, Slovak University of Agriculture;
21. Fidrmuc, J., Fidrumc, J., Horvath, J. The Constraints of the Growth in Visegrad Countries, Wolrd Bank Research Project: Determinants of Economic Growth in Global Development Network, 2003;
22. KÁLMÁN DEZSÉRI AND PÁL GÁSPÁR. Economic and Political Relations after the EU Enlargement: The Visegrad Countries and Russia, Ukraine, Belarus and Moldova. ICEG European Center.

ვებ-რესურსები:

21. [www.visegradgroup.eu](http://www.visegradgroup.eu)

22. <http://www.cefta.int>

23. [ec.europa.eu/eurostat](http://ec.europa.eu/eurostat) □

24. <http://ec.europa.eu>



**კომპლექსური საზოგადოებრივი  
პრობლემების გალაჭრა**  
(კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური  
საწყისები)

**ლოპხორი ღორიან ღებობაე**

კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების  
ოპერაციითა კვლევის ევრო  
სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

**კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების არსი**

არსებობს ბევრი პრობლემა, რომელთა განხილვა შეიძლება როგორც “კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემა”. ეს ის პრობლემებია, რომლებიც საზოგადოებრივ დონეზე უნდა გადაიჭრას. კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემები ცხოვრებისეული პრობლემებია, რომლებიც ბევრ გაურკვეველობას შეიცავს და ამიტომ რთულად გადასატრელია. ამ პრობლემებს ახასიათებს უნიკალურობა, თუმცა, შესაძლოა ასეთი პრობლემები წარსულშიც მრავალჯერ მდგარიყო საზოგადოების წინაშე, მაგრამ თვითოეულ ასეთ, თუნდაც ერთიდაიმავე სახეობის პრობლემას აქვს განსხვავებული მიზეზები და შედეგები. ეს ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს რაიმე რუტინული გზა მათ გადასატრელად. კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემები ხშირად ცუდადაა განსაზღვრული, მოიცავს ბევრ ასპექტს და არის რთულად გასაანალიზებელი, სტრუქტურულად ჩამოსაყალიბებელი და რა თქმა უნდა, გადასატრელი. პრობლემის გარშემო ცოდნა და ინფორმაცია ან არ არსებობს ან შეუთავსებელია ერთმანეთთან. პრობლემის გამომწვევი მიზეზები არის ბუნდოვანი და ორაზროვანი. რთულია დაინახო სად, როდის და ვისი მი-

ზეზით წარმოიშვა პრობლემა, ვინ არის და ვინ არა ჩარეული პრობლემაში და ვისზე ახდენს გავლენას ეს პრობლემა. პრობლემაში გვხვდება ასევე ბევრი მოვლენა, ჩართულია ბევრი მონაწილე (როგორც კერძო სექტორის, ასევე სამთავრობო) და ბევრი სხვა ადამიანი. იშვიათად არის ცნობილი ზუსტად რომელი მოვლენები, ჯგუფები და მონაწილეები არიან ჩართულნი. შესაძლოა, მონაწილეთა ჯგუფი მუდმივად იცვლებოდეს და თითოეულ ჯგუფს ჰქონდეს პრობლემის საკუთარი ხედვა, საკუთარი მიზნები, ძალაუფლება და ემოციები.

კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემები არასტრუქტურული და დინამიკურია. მათ დიდი გავლენა აქვთ ეკონომიკაზე მაკრო, მეზო და მიკრო დონეებზე. ზოგჯერ წარმოიშვება ადგილობრივი დონის პრობლემები, ზოგჯერ რეგიონული, ზოგჯერ კი - მსოფლიო დონის. ისინი შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში აღმოვაჩინოთ. ზოგჯერ გაურკვეველია რა გავლენა აქვს პრობლემას საზოგადოებაზე, რა მიზნები და ინტერესები აქვთ მონაწილეებს და რა შედეგების გამომწვევია პრობლემა. არ არსებობს უბრალო, მარტივი პასუხები ამ პრობლემებისათვის. გადაჭრის გზა, თუ კი ის საერთოდ არსებობს, რთული საპოვნელია და ხშირად იგი დროებით შედეგს იძლევა.

კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემები ინტერდისციპლინარულია, მოიცავს რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის შესწავლის სფეროებს. საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრისთვის საჭიროა ცოდნა, ძალაუფლება და ემოციები. ასეთი პრობლემების გადასაჭრელი ცოდნა უნდა ავიღოთ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინიდან. ორი სახის ცოდნაა საჭირო ასეთი პრობლემების გადასაჭრელად: (1) შინაარსობრივი ცოდნა, რაც გულისხმობს ცოდნას პრობლემური საკითხის გარშემო, როგორიცაა ცოდნა ჯანდაცვის შესახებ ან გარემოს დაცვის შესახებ. (2) ცოდნა პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ. შინაარსობრივი ცოდნის მიღება შეიძლება სპეციალისტ ექსპერტებისგან, მაგალითად ჯან-

მრთელობის სფერო ეხება ექიმს, საავადმყოფოს მენეჯერს ან სხვა კომპეტენტურ პირს. პროცესუალური ცოდნის მიღება შეიძლება მეთოდისტებისაგან, რომლებიც მუშაობენ კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების სფეროში. მეთოდისტებს შესაძლოა ჰქონდეთ ცოდნა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაშიც, მაგრამ ისინი გამოიყენებენ პრობლემის გადაჭრის ისეთ მეთოდებს, რომლებიც გამომდინარეობს მათი სპეციალობიდან და შერწყმულია იმ მეთოდებთან, რომლებიც შექმნილია სპეციალურად ამ პრობლემის გადასაჭრელად. მეთოდების გამოყენება ხდება მრავალი სამეცნიერო სფეროდან, მათ შორისაა: კანონმდებლობა, ეკონომიკა, სოციალური მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები, ტექნოლოგიები, საინჟინრო მეცნიერებები, ქაოსის თეორია და ოპერაციათა კვლევა[7]. ძალაუფლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრისას. დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალაუფლება განაწილებულია პრობლემის წარმომშობსა და სხვა მონაწილეებს შორის. მათ ერთად უნდა იპოვონ ორივე მხარისათვის ერთნაირად სასურველი გადაჭრის გზა ან მიაღწიონ კომპრომისს. შემდგომში პრობლემის გადაჭრის ყველა ფაზაში ემოციები თამაშობს დიდ როლს, მათ შორის არის ემოციები, რომლებიც პრობლემის გადაჭრას ეხება, ემოციები სასურველი მიზნის შესახებ, ასევე ემოციები ჯგუფებსა და მონაწილეებს შორის და ასევე, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც უშუალოდ პრობლემის გადაჭრაში იღებენ მონაწილეობას.

პრობლემის კომპლექსური სოციალური დამუშავება შეიძლება განისაზღვროს, როგორც: ანალიზის, სტრუქტურულიზაციის და პრობლემის ხელმძღვანელობის პროცესი, რათა უფრო მეტად ჩაეწვდეთ პრობლემის არსს, იმისათვის, რომ გავიგოთ რაზე ზემოქმედება გამოიწვევს პრობლემის სასურველ მდგომარეობამდე მიყვანას. ეს პროცესი შეიძლება მოხდეს აქტიურად ან პასიურად, შეგნებულად ან შეუგნებ-

ლად, რეგულარულად ან მხოლოდ ერთხელ, იმის მიხედვით, პრობლემა გავლითია(მოჩვენებითია) თუ დავიწყებული, სხვა ჯგუფის პრობლემაა თუ ნაწილობრივ შეცვლილი პრობლემაა, ამაზე და მოკიდებული აზროვნება, მსჯელობის ინსტრუმენტები და მეთოდები[4].

ზოგჯერ სიტუაცია განიხილება როგორც პრობლემა, როცა არსებობს განსხვავება რეალურ მომავალ სიტუაციასა და სასურველ სიტუაციას შორის ან/და, როცა არ არის საკმარისი ცოდნა ან ნოუჰაუს ნაკლებობა ან/და როცა შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობაა. ინტერდისციპლინარული საზოგადოებრივი პრობლემების თავისებურებაა ის, რომ ხშირად ვერ ხდება პრობლემის განსაზღვრა და არც სასურველი სიტუაციის აღწერა მთლად გასაგები[4].

ტერმინი „პრობლემების გამკლავება“ უფრო მისაღებია, ვიდრე „პრობლემების გადაჭრა“, რადგან სიტყვა „გადაჭრა“ უფრო ერთი კონკრეტული მიზნისათვისაა შესაფერისი, ხოლო როდესაც მიზნები პრობლემაში ჩართულ ყველა მხარეს სხვადასხვა აქვს, ერთი მხარის პრობლემის გადაჭრამ შესაძლოა წარმოშვას მეორე მხარის პრობლემა. სოფლის მეურნეობაში წარმოშობილი კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემებიდან აღსანიშნავია მიწისა და წყლის დაბინძურება ნაკელით [14;3], ტერფისა და პირის ღრუს დაავადებების პრობლემა და ე.წ. „ძროხის ცოფი“ (Bovine Spongiform Encephalopathy, BSE). ინდუსტრიული დარგებიდან შეგვიძლია დავასახელოთ დაბინძურების შემდეგი მაგალითები: ნარჩენებით დაბინძურება, ქიმიური დაბინძურება, ხმაური და სუნი. ასევე არსებობს საზოგადოებრივი პრობლემები დაკავშირებული შიმშილთან, უმუშევრობასა და სიღარიბესთან. ჯანდაცვის სფეროში აღსანიშნავია შიდსისა და მალარიის პრობლემა. პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან, საფონდო ბირჟასთან, ურბანულ დაგეგმარებასთან და ა.შ. შესაძლოა განვიხილოთ, როგორც კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემები[9].

მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემები განსხვავებულია და ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ, მათ ერთი რამ აქვთ საერთო: ხშირად ვერ ხერხდება მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და გამკლავების ეფექტური გზების ძიება ცოდნის უკმარისობის გამო. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე განსხვავებული ცოდნის სფეროს გაერთიანებით. მაგალითად, შიმშილის პრობლემა განვითარებად ქვეყნებში ხშირად გამოწვეულია ადგილობრივი ომებით. ომის დროს ვერ ხერხდება სოფლის მეურნეობისა და ოჯახებისათვის ყურადღების მიქცევა. ხშირად ეს ომები გამოწვეულია იმ პოლიტიკური განსხვავებულობით, რომელიც ჩამოყალიბდა კოლონიურ წარსულში [19]. შიმშილის პრობლემის მოგვარება გულისხმობს საკითხის პოლიტიკურ გადაწყვეტას, საჭიროა სტაბილურად დემოკრატიული სიტუაციის ჩამოყალიბება. მიუხედავად განსხვავებებისა, ყველა კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემა მეტნაკლებად მსგავსი მეთოდებით შეიძლება გადაიჭრას.

**კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების გამომწვევი მიზეზები**

კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების უმეტესობის გამომწვევი მიზეზი ადამიანია. ამის მაჩვენებელია ისეთი კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემები, როგორცაა: ომები, დაბინძურება, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ. ადამიანს თავისი საქმიანობით შეუძლია გამოიწვიოს ისეთი ბუნებრივი კატასტროფები, როგორცაა ზვავები და წყალდიდობები. ადამიანები აშენებენ სახლებს მთების მოწყველად ადგილებში ან მდინარეების სათავეებში, ადამიანები ცხოვრობენ ქარიშხლების მაღალი რისკის მქონე ადგილებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენები იშვიათად ხდება, ადამიანის წვლილი ასეთი პრობლემების წარმოქმნაში არც თუ ისე მცირეა. მაგალითად, 1998 წლის იანვარში, კანადაში, მონრეალში მოხდა ყინულოვანი შტორმი, რამაც

დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები და ქალაქი 3 კვირის განმავლობაში დატოვა ელექტროენერჯის გარეშე, რომელიც გამოიყენებოდა სათბობად, საკვების მოსამზადებლად, განათების საშუალებად. ეს არ მოხდებოდა ელექტროგადამცემი კაბელები მიწის ქვეშ რომ ყოფილიყო[1].

სხვა მაგალითი ეხება წყალდიდობას: ჩინეთში, მდინარე იანძიხე ხშირია წყალდიდობები, კანადაში მდ. სენტ ლაურენსზე და ნიდერლანდებში მდ. რაინსა და მასსზე არის მდინარის კალაპოტის ცვლილება ან სახლების აშენება დატბორვად ტერიტორიაზე.

**რატომ არ ხდება კომლპექსური საზოგადოებრივი პრობლემების ოპტიმალურად გამკლავება?**

მიზეზები იმისა, თუ რატომ არ ხდება ამ პრობლემების ოპტიმალურად და ეფექტიანად გადაჭრა, შემდეგია:

- ❖ ეკომონიკური შეზღუდვები: შესაძლოა საერთოდ არ არსებობდეს ან არ იყოს საკმარისი თანხა პრობლემის გადასაჭრელად;
- ❖ პოლიტიკური მიზეზები: პოლიტიკოსებს შესაძლოა პქონდეთ ფარული განზრახვები კონკრეტული ჯგუფების სასარგებლოდ. ნაკელის პრობლემა ნიდერლანდებში, 1950-1997 წლებში, მოგვარდა არაეფექტიანად, რადგან კონსერვატიულ რელიგიურ პარტიას, რომელიც ფლობდა ძალაუფლებას ამ პერიოდში, სურდა მიეღო სარგებელი არჩევნების წინა პერიოდში[14], [3]. პოლიტიკოსები უპირატესობას ანიჭებენ იოლ, სწრაფ, მაგრამ მოკლევადიანი მოგვარების გზებს, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენონ გრძელვადიანი ეფექტის მქონე გადაჭრის გზები, რასაც მეტი დრო სჭირდება;
- ❖ ფსიქოლოგიური მიზეზები: ადამიანებს უყვართ სწრაფი და პირდაპირი გამოსავლის ძებნა, ნაცვლად იმისა, რომ ჯერ პრობლემა შეისწავლონ, სანამ გადაჭრის გზას განიხილავენ;
- ❖ მეთოდოლოგიური მიზეზები და საკუთრივ პრობლემის

ბუნება: კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემები ხშირად ძალიან კომპლექსური და დინამიკურია იმისათვის, რომ გააკონტროლო. პრობლემის კომპლექსურობა, უამრავი მხარის, მონაწილის, მოვლენის ჩართულობა და მათ შორის კავშირი, პრობლემას ხდის რთულს გასაანალიზებლად და გასაკონტროლებლად;

- ❖ პრობლემის მქონე მხარე: პრობლემის მქონე მხარე ზოგჯერ მთლიანად ვერ აცნობიერებს პრობლემის კომპლექსურობას და შესაძლოა რეალისტური და ცოტა რთული გადაწყვეტის გზას არჩიოს უფრო მარტივი გზა. პრობლემის მქონე მხარემ, უმეტეს შემთხვევაში არ იცის პრობლემის მოგვარების უფრო ეფექტიანი გზის შესახებ ან არ სურს, ან არ შეუძლია მისი გამოყენება. ასევე შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი უნარი კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად[10].

**მეცნიერების როლი**

ეჭვი არ არის, რომ ახალი საუკუნე საზოგადოებას დააყენებს ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც საკმაოდ რთულად გადასაჭრელი იქნება. უდიდესი უფსკრულია საზოგადოების წინაშე არსებულ კომპლექსურ პრობლემებსა და ადამიანის უნარს შორის, გაუმკლავდეს ამ პრობლემებს. უფრო მეტი ცოდნა და წარმოსახვა, უფრო მეტი მეთოდები და საშუალებებია საჭირო იმისათვის, რომ საზოგადოებამ მოახერხოს ამ პრობლემებს შორის ცხოვრება. ინტერდისციპლინარული გზით მოსაძებნია ახალი მიდგომები ასეთი პრობლემების გასამკლავებლად. მეცნიერები მუდმივად აწელებიან სირთულეებს, როდესაც ცდილობენ გააერთიანონ თავიანთი ძალები იმისათვის, რომ გაუმკლავდნენ გამოწვევებს. იმისათვის, რომ გააერთიანონ ცოდნა, მეცნიერებმა უნდა გადაუხვიონ სტანდარტულ გზებს. ჰორიზონტის გაფართოების დრო მოვიდა. როდესაც უკვე ყველა თანხმდება, რომ ყოველ კომპლექსურ საზოგადოებრივ მოვლენას აქვს თავისი წესი და კანონი, რატომ არ შეიძლება ცოდნა, ხერხები და მეთოდე-



ბი, რომლებიც მოდის ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან გაავართიანოთ, სოციალურ მეცნიერებებთან? პროცესის უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბებას და თვალყურის დევნებას შეუძლია უამრავი დროის, ფულისა და ენერჯის დაზოგვა. ამას შეუძლია მიღებული შედეგი გახადოს უფრო გამჭვირვალე, უფრო ხანგრძლივი და უბადლო, მივიღოთ უკეთესი გადაწყვეტილება. ამ სფეროს ადრე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და შესაბამისად კოპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის სფერო შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია.

კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების ქვედისციპლინამ დაიწყო იმ ცოდნის ძიება, რომელიც განვითარებულია სხვა დარგებში და ეხება არსებულ პრობლემას[7]. ამ მეთოდოლოგიის სფერო გვთავაზობს მეთოდს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია განვიხილოთ არსებული სამეცნიერო ცოდნის კომბინაცია. ლოგიკურად რომ მივყვეთ, პირველ რიგში გასათვალისწინებელია კითხვა: „როგორ ვიპოვოთ უკვე არსებული ისეთი ცოდნა, რომელიც მოაგვარებს კომპლექსურ საზოგადოებრივ პრობლემას?“ როდესაც გაავართიანებთ საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და სოციალურ მეცნიერებებში არსებულ მეცნიერულ მეთოდებსა და ცოდნას, მაშინ შესაძლოა წარმოიშვას ახალი იდეები და მეთოდები და ზოგი უკვე არსებული იდეა და მეთოდი შესაძლოა გაერთიანდეს. ამ დარგის მთავარი საკითხი არის გააერთიანოს საჭირო ცოდნა, რომელიც არსებობს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში და საჭიროა იმისათვის, რომ ამადლდეს პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა.

ეს დარგი მოითხოვს მრავალდისციპლინარულ მიდგომას იმისათვის, რომ ერთმანეთს შეერწყას უკვე არსებული მეთოდები და ხერხები და განვითარდეს ახალი მიდგომები. თეორიულმა მეცნიერებებმა, გამოყენებითმა და პრაქტიკულმა მეცნიერებებმა შესაძლოა გააერთიანონ თავიანთი მეთოდოლოგიური ცოდნა ისე, რომ შეიმუშაონ ახალი მეთოდები



და ხერხები, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის ოპტიმალური კომბინაციით. დარგებში არსებული ცოდნის გამოყენების შედეგად შესაძლებელია ნაყოფიერი მეთოდოლოგიის შექმნა. ეს დარგებია: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კომპიუტერული მეცნიერებები, ხელოვნური ინტელექტი, მათემატიკა, ინჟინერია, სისტემების თეორია, ქაოსის თეორია, ფილოსოფია, სოციო-კიბერნეტიკა[13] და ოპერაციითა გამოკვლევა[7]. კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების მეცნიერული მხარდაჭერა ძირითადად შემდეგი სამეცნიერო სფეროებიდან მოდის: სცენარების შექმნა, მრავალკრიტერიულ ანალიზი, ოპერაციითა კვლევა, ჯგუფური გადაწყვეტილებების მხარდაჭერის სისტემა[6], გადაწყვეტილებების სისტემა და სიმულაციები[12].

რთული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, ზოგჯერ, შეიძლება გამოყენებული იქნეს რაიმე სფეროს მხოლოდ ზოგიერთი ასპექტი. სოციალურ მეცნიერებებში, განსაკუთრებით კი შემეცნებით ფსიქოლოგიაში და შესწავლის თეორიაში არსებობს ბევრი ექსპერტიზა პრობლემის გადასაჭრელად. თუმცა, ამ სფეროში კვლევების ექსპერტიზა ცხადყოფს, რომ განიხილება რთული სოციალური პრობლემებისაგან განსხვავებული პრობლემები. შემეცნებითი ფსიქოლოგიისა და სწავლების თეორია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ახორციელებს პიროვნება პრობლემასთან გამკლავებას, და არა როგორ ახდენს პრობლემის გადაჭრას. ამ სფეროს პრობლემები ფოკუსირდება კარგად სტრუქტურირებულ, სტატიკურ, ადვილად გადასაწყვეტ მსგავს პრობლემებთან, რომელთა გადაჭრის გზები უკვე ცნობილია[17]. ამ სფეროს ცოდნა და მეთოდოლოგია შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ იქნეს გამოყენებული კომპლექსური სოციალური პრობლემების კვლევაში.

მენეჯმენტის სფეროშიც ხშირად წარმოიშვება კომპლექსური პრობლემები, თუნდაც ავიღოთ მენეჯმენტის პრობლემები ორგანიზაციებში[16]. თეორიები, რომლებიც ასახავს

პრობლემაეხ მენეჟმენტში, ხშირად ჰგავს კოპლექსურ სა-  
ზოგადოებრივ პრობლემაეხ. კომპლექსური ორგანიზაციუ-  
ლი პრობლემაეხი, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ორ-  
განიზაციეხისა, შესაძლოა განვიხილოთ, როგორც კომპლექ-  
სური საზოგადოებრივი პრობლემაეხი. თუმცა, ამ სფეროში  
გამოკვლევაეხს რომ გადავხედოთ აღმოვაჩინოთ, რომ გვაქვს  
საკმაოდ დიდი მოცულობის ნაშრომაეხი, იმაზე მეტი, ვიდრე  
საჭიროა თავად ამ მეცნიერეხისათვის. ეს წიგნეხი ხშირად  
ამარტივეხს კომპლექსურ საკითხეხს, იმისათვის, რომ გახდეს  
კომერციულად უფრო მიმზიდველი და უმეტესობა არც კი  
გეთავაზობს მეცნიერულად სანდო გზას იმისათვის, რომ ვი-  
პოვოთ პრობლემაეხის მოგვარეხის მეთოდი.

**პრობლემაეხის მოგვარეხის პროცესის ეტაპეხი**

პრობლემაეხის მოგვარეხის პროცესი მოიცავს რამდენიმე  
ეტაპს. ეტაპეხის გაანალიზეხით შესაძლებელი ხდება მიხედვ  
რომელ ეტაპზე იმყოფეხა პრობლემაეხის მოგვარეხის პროცესი,  
რა უნდა გაკეთდეს და როდის უნდა განხორციელდეს მოქ-  
მელებეხი.

**პრობლემაეხის გამკლავეხის პროცესის ციკლებისა და  
ეტაპეხის გაცნობიერეხა**

**ციკლი 1: პრობლემაეხის განსაზღვრა**

ეტაპი 1.1 - პრობლემაეხის გაცნობიერეხა და მისი აზ-  
რობრივად ჩამოყალიბეხა;

ეტაპი 1.2 - აზრობრივად ჩამოყალიბებული პრობლემაეხის  
განვრცობა კვლევაეხითა და მოსაზრეხეხით;

ეტაპი 1.3 - პრობლემაეხის დღის წესრიგში დაყენეხა და  
გადაწყვეტა იმისა, რომ მოგვარდეს პრობლემა;

ეტაპი 1.4 - პრობლემაეხის მოსაგვარებლად გუნდის შექმ-  
ნა და ანალიზის დაწყეხა;

ეტაპი 1.5 - ინფორმაციის შეგროვეხა, ცოდნის გაცვლა  
და ჰიპოთეზეხის ჩამოყალიბეხა;

ეტაპი 1.6 - პრობლემაეხის კონცეპტუალური მოდელის  
ჩამოყალიბეხა.

**ციკლი 2: პრობლემის შეცვლა**

ეტაპი 2.1 - ემპირიული მოდელის აგება და სასურველი მიზნის დასახვა;

ეტაპი 2.2 - მოქმედების არეალის განსაზღვრა;

ეტაპი 2.3 - სცენარების შემუშავება და შეფასება;

ეტაპი 2.4 - რჩევები ჩარევების შესახებ;

ეტაპი 2.5 - ჩარევების განხორციელება;

ეტაპი 2.6 - ჩარევების შედეგების შეფასება.

კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების მეცნიერული გზით გადაჭრისას ფოკუსირება მხოლოდ ორ ეტაპზე ხდება: სცენარის შემუშავება და შეფასება და რჩევები ჩარევების შესახებ. ეს ეტაპები მაშინ უნდა განხორციელდეს, როდესაც სამეცნიერო საქმიანობა მივა იმ ეტაპზე, როდესაც უკვე გადაწყვეტილება უნდა მიიღონ და არსებული ალტერნატივებიდან საუკეთესო უნდა აარჩიონ. რეალურად კი ეს ეტაპები არის პრობლემების მეცნიერულად გადაჭრის მეთოდის შემადგენლები. პირველ ეტაპზე განსახორციელებელი რომელიმე ეტაპის ამოგდება იწვევს ნაკლებად სარწმუნო შედეგების მიღებას პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას და საერთოდ, ამ 12 ეტაპიდან რომელიმეს გამოტოვებამ შესაძლოა სულ სხვა პრობლემის გადაჭრამდე მიგვიყვანოს და არა რეალურად არსებულის.

**პრობლემის გაცნობიერება და დღის წესრიგში დაყენება**

სანამ საზოგადოებრივი პრობლემის გამკლავება მოხდება, მანამდე პრობლემა უნდა გაცნობიერდეს საზოგადოებრივ დონეზე. პრობლემის გაცნობიერება დამოკიდებულია კულტურულ გარემოებებზე. ბევრი რამ, რაც დღევანდელ დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებულია როგორც საზოგადოებრივი პრობლემა, უახლოეს ისტორიულ წარსულში მიიჩნეოდა, რომ „ეს იყო ის, რაც უნდა მომხდარიყო” და საერთოდ არ განიხილებოდა როგორც პრობლემა. თუ რამდენად გააცნობიერებს პრობლემას საზოგადოება, დამოკიდებულია

იმაზე, თუ რა ძალაუფლებას ფლობს ის ჯგუფი, რომელზეც პრობლემა ახდენს გავლენას. ეს შესაძლოა იყოს რეალური ან მოჩვენებითი ძალაუფლება. თვალსაჩინო მაგალითია ქალების მიმართ დამოკიდებულება მსოფლიოში. პოლიტიკის სფეროში ქალების დაბალ მდგომარეობას უპირისპირდება დიდი მოცულობის სამუშაო, რომელსაც ქალები ასრულებენ. ის გენდერული უთანასწორობა, რომელიც დღეს განიხილება როგორც კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემა, დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ არ მიიჩნეოდა პრობლემად.

პრობლემის გამკლავების მეორე ეტაპზე აზრობრივად ჩამოყალიბებული იდეის განგრცობა ხდება მოსაზრებებითა და კვლევებით. კერძოდ: მოსმენით, ფიქრით, კითხვით, განხილვით, საუბრით და შეკითხვების დასმით პრობლემის შესახებ. ეს ხშირად იმ ხალხის მიერ ხდება, ვისზეც პრობლემა ახდენს გავლენას. ყალიბდება სადისკუსიო ჯგუფები და ისინი შესაძლოა გახდნენ სამოქმედო ჯგუფები, რათა შექმნან ერთიანი ძალა. სამოქმედო ჯგუფების მაგალითია ფემინისტების ჯგუფები 1970-80-იან წლებში, პომოსექსუალების ემანსიპაციის ჯგუფები და გარემოზე მზრუნველი ჯგუფები. ეს ჯგუფები ცდილობენ იმ საზოგადოების ყურადღება მიიქციონ, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ეს პრობლემა. ისინი ცდილობენ პრობლემის წამოწეას დემონსტრაციებისა და სხვადასხვა პირდაპირი მოქმედებების საშუალებით, რათა მიიქციონ მედიის ყურადღება და ამით ზეწოლა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე. პრობლემის გაცნობიერების ეტაპიდან იმ ეტაპის მიღწევა, როდესაც ეს პრობლემა პოლიტიკური განხილვის დღის წესრიგში დადგება, დიდ ბრძოლას საჭიროებს.

დიდი ბრძოლა დასჭირდა ისეთი კრიტიკული მუხტის შექმნას, რომელმაც გენდერული უთანასწორობის პრობლემა დააყენა პოლიტიკურ დღის წესრიგში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პოზიტიური ცვლილებებია ქალების მიმართ, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში, მაგრამ ფული და

(საჯარო და კერძო) ძალაუფლება კვლავ თითქმის მთლიანად მამაკაცის კონტროლოს ქვეშაა. ეს პრობლემა არის ეტაპობრივად გადასატრეული სოციალური პრობლემა და არა მხოლოდ ქალების პოზიციის პრობლემა. აბორტი არის მაგალითი ქალის დაბალი პოზიციის გამოვლინებისა საზოგადოებაში. დიდი ხნის განმავლობაში აბორტი ითვლებოდა მხოლოდ ქალის პრობლემად, ვიდრე ის არ დადგა პოლიტიკურ დღის წესრიგში და ის არ გადაიტრება როგორც სოციალური პრობლემა, თუ არ მოიძებნა მისი გადაჭრის გზა სოციალურ დონეზე.

სხვა მაგალითი იმისა, თუ რამდენად დიდი დრო სჭირდება საზოგადოების მიერ იმის გაცნობიერებას, რომ არსებობს კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემა, არის წყალდიდობის პრობლემა ნიდერლანდებში. ნიდერლანდებში არის მდინარე რაინისა და მდინარე მაასის დელტები. ამ ორი ისედაც დიდი მდინარის დინება უფრო იმატებს გაზაფხულის დადგომისას, როდესაც გახშირებულია წვიმები და თოვლი იწყებს დნობას. ზოგჯერ მდინარე იმხელაზე დიდდება, რომ იტბორება დიდი მოცულობის ტერიტორია. წარსულში ასეთი დიდი წყალდიდობები ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად განიხილებოდა. XVII საუკუნეში ჰოლანდიის მთავრობამ გადაწყვიტა გაეკონტროლებინა ეს წყალდიდობები. მათ გააგზავნეს სახელმწიფო მოხელეები ადგილობრივ მაცხოვრებლებთან და მათ წარმომადგენლებთან, რათა მიეღოთ გარკვეული ზომები. ძალიან დიდი ბრძოლისა და მცდელობის შედეგად სახელმწიფო მოხელეებმა შეძლეს დაერწმუნებინათ მოსახლეობა იმაში, რომ წყალდიდობები არ იყო ღვთისგან მოვლენილი სასჯელი, არამედ იყო საზოგადოებრივი პრობლემა, რომლის მოგვარება შესაძლებელი იყო და უნდა მოგვარებულიყო კიდევ[15]. შემდგომში ჰოლანდიელმა ინჟინრებმა დაადგინეს, რომ მდინარეების ჯებირები არ იყო მყარი და შექმნეს ეროვნული ნაპირსამაგრი პროგრამა. ამ პროგრამის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი

ოპოზიცია, თუმცა მათ აზრი შეაცვლევინა 1993-1995 წლების წყალდიდობებმა.

AIV ინფექცია, შიდსის მაგალითიც ანალოგიურია. ადრეული 1980-იან წლებში ითვლებოდა, რომ AIV შიდსი გამოწვეული იყო ჰომოსექსუალების მიერ. ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით აშშ-ში, მასში ხედავდა ღმერთის სასჯელს. ეს ნიშნავდა იმას, რომ პეტეროსექსუალ საზოგადოებას არ სურდა ამ პრობლემის სრულად გააზრება.

ზოგიერთი საზოგადოებრივი პრობლემა უფრო ადვილად ხვდება ყურადღების ცენტრში. განსაკუთრებით ისეთი, რომელიც საფრთხეს უქმნის მდიდარ ადამიანებს ან მმართველი კლასის ძალაუფლებას, იმსახურებს სწრაფ და ღიდ ყურადღებას. ამის მაგალითებია ვიეტნამის ომი, ე.წ. „ცივი ომი“, ნატოს ჩარევა კოსოვოში 1999 წელს და ტერორისტების შეტევა მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ნიუ იორკში (2001 წლის 11 სექტემბერი). ეს ქმედებები საკმაოდ ღიდი ფული ჯდება და ისინი ანადგურებენ სახლებს, მიწებს, საქონელს და სიცოცხლეს. ისინი ტოვებენ ქაოსს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში თაობების მანძილზე გრძელდება. თუ ერთმანეთს შევადარებთ სახელმწიფოს მიერ გაწეულ სამხედრო ხარჯებსა და ხარჯებს, რომლითაც ფინანსდება სოციალური მიზნები, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, ხანშიშესული ადამიანების დახმარება, მარტოხელა დედები და ა.შ მივხვდებით, რომ სამხედრო ხარჯები გაიწევა იმ ფენის დასაცავად, ვინც ფლობს ძალაუფლებასა და ეკონომიკურ უპირატესობებს.

**ცოდნა, ძალაუფლება და ემოცია**

კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების სამართვად არსებობს სამი ძირითადი ელემენტი: ცოდნა, ძალაუფლება, ემოცია. ცოდნა გულისხმობს პრობლემის შესახებ ინფორმაციის ქონას. ეს ცოდნა ზოგჯერ არ მოიცავს მნიშვნელოვან ელემენტებს. საჭირო ინფორმაცია ხშირად ან არ არსებობს ან შინაგანი წინააღმდეგობებითაა სავსე.

წარმოდგენილიც კი არის კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ ყველა სახის ინფორმაციის ქონა მათი დინამიკურობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე. ყოველთვის იარსებებს „თეთრი ლაქები“ და „შავი ლაქები“. თეთრი ლაქები გულისხმობს იმ ადგილებს, სადაც ვიცით, რომ გვაქვს ინფორმაციის ნაკლებობა და საჭიროა დრო და ფული მის მოსაგროვებლად, ხოლო შავი ლაქები გულისხმობს იმ ადგილებს სადაც ძალიან კარგი იქნებოდა ინფორმაციის ქონა, მაგრამ პრობლემის კომპლექსურობის გამო ეს ადგილები გამოტოვებულია.

კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების მართვა მოითხოვს სხვადასხვა მონაწილე მხარის ჩართვას. ამ ჯგუფურ პროცესში, ყველა სახის ძალაუფლება თამაშობს გარკვეულ როლს, განსაკუთრებით შეთანხმების მიღწევისას თავად პრობლემის განმარტებისა და ჩარევების შერჩევისას. არსებობს ფორმალური და არაფორმალური ძალაუფლება, კანონიერი და უკანონო ძალაუფლება, ინსტიტუციური და არაინსტიტუციური ძალაუფლება.

მესამე ძირითადი ელემენტი, რომელიც გავლენას ახდენს პრობლემის გადაჭრის პროცესზე, არის გაუცნობიერებელი გავლენა ემოციებისა. ემოციებმა შესაძლოა სტიმული მისცეს ან ხელი შეუშალოს ადამიანებს ან ჯგუფებს შორის თანამშრომლობას. ემოციები მოიცავს მღელვარებას, შიშს, სიხარულს, სიმპათიასა და სიძულვილს. შესაძლოა იყოს ემოციები, რაც დამყარებულია ცრურწმენებსა და დისკრიმინაციაზე. ემოციები შესაძლოა იყოს რაციონალური და ირაციონალური. ემოციები ჩნდება, როდესაც ვინმეს ინტერესებს საფრთხე ემუქრება, მაგალითად, როდესაც პრობლემის მოგვარების პროცესის მიზანი ან თავად პრობლემა ვინმესთვის არასასურველია.

### **პრობლემის მოგვარების მხარდაჭერა**

საზოგადოებრივ პრობლემებს საკმაოდ ადეკვატური მხარდაჭერა სჭირდება იმისათვის, რომ გაიზარდოს მათი გა-



დაჭრის ხარისხი და მცდელობებიც უფრო ეფექტიანი აღმონნდეს, ყოველივე ეს კი ფულისა და დროის დაზოგვას გამოიწვევს. ეს შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა სახის ტექნიკისა და საშუალებების გამოყენებით. კომპრამის მეთოდი (კომპლექსური პრობლემების გამკლავების მეთოდი), რომელიც განავითარა დეტომბემ[4;5;11], არის ასეთი მეთოდის მაგალითი. ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელია დიდი საზოგადოებრივი პრობლემების ადეკვატურად, გამჭვირვალედ და კარგად სტრუქტურირებულად გადაჭრა. კომპრამი იმით გამოირჩევა სხვა მეთოდებისაგან, რომ მოიცავს პრობლემის გამკლავების პროცესის ბევრ ეტაპს. იგი კვალდაკვალ მიყვება პრობლემის გადაჭრის პროცესს იმ მომენტიდან, როდესაც პრობლემა პოლიტიკური განხილვის დღის წესრიგში დადგება.

კომპრამი დაფუძნებულია ისეთი მეცნიერებების თეორიულ-სამეცნიერო შეხედულებებზე, როგორცაა: შემეცნებითი ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კომპიუტერული მეცნიერებები, თეორიები ჯგუფური პროცესების შესახებ, ასევე სოციო-კიბერნეტიკა, ქაოსის თეორია და სისტემების თეორია. კომპრამი მრავალდისციპლინარულია ორი მიზეზის გამო: 1) პრობლემების ბუნებიდან გამომდინარე ის მოიცავს მრავალ დარგს, მოვლენასა და მონაწილეს; 2) მეთოდი მოითხოვს რამდენიმე სამეცნიერო დარგის ცოდნის გამოყენებას. კომპრამის მეთოდი, თავისი მიდგომებიდან გამომდინარე, არის ეფექტიანი, გამჭვირვალე და დემოკრატიული ანალიზის, გადაწყვეტილების მიღების, ჩარევებისა და შეფასების პროცესში. მეთოდი განვითარდა 1990-1994 წლებში დეტომბეს მიერ და საგულდაგულოდ დამუშავდა 1994-2001 წლებში[11].

ის, რომ მრავალი მეცნიერული დისციპლინა ასოცირდება ერთ პრობლემასთან, ის, თუ როგორ ახდენს გავლენას საზოგადოებაზე ეს პრობლემა და ის, რომ ბევრი მონაწილე მხარე არსებობს, მიანიშნებს იმაზე, რომ პრობლემის გადაწყვეტის პროცესი ჯგუფური უნდა იყოს. კომპრამის მეთოდი



იწყება მაშინ, როდესაც პრობლემის ლეგიტიმურად მქონე მხარე, რომელსაც მხარს უჭერს რამდენიმე პრობლემაში გაცნობიერებული ექსპერტი, კურატორებთან ერთად პატიულობს პრობლემაში ჩართულ სხვა მხარეებს იმისათვის, რომ შეიქმნას ჯგუფი პრობლემის მოსაგვარებლად. აქ ერთგვებორი ჯგუფი: ერთი ჯგუფი შედგება პრობლემაში გაცნობიერებული ექსპერტებისაგან, რომელთაც აქვთ ცოდნა პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებში, ამასთან, ისინი ნეიტრალური არიან პრობლემის მიმართ; მეორე ჯგუფი შედგება იმ ადამიანებისაგან, რომელთაც უშუალოდ ეხებათ პრობლემა. მათ პირდაპირი ინტერესები აქვთ პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

**პრობლემის ლეგიტიმურად მქონე მხარე:** ტერმინი – „პრობლემის მქონე მხარე“ – გულისხმობს მხარეს რომელსაც ლეგიტიმურად აქვს/ეხება პრობლემა. „ლეგიტიმურად“ ნიშნავს, რომ პრობლემის მქონეს აქვს კანონიერი, ჩვევით ან ხელშეკრულებით მინიჭებული ლეგიტიმური დავალება, უფლება ან მოვალეობა იმისათვის, რომ გაუმკლავდეს პრობლემას. ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემის ისეთი მხარის არსებობა, რომელსაც აქვს უფლება და პასუხისმგებლობა იმისა, რომ მოაგვაროს პრობლემა იმიტომ, რომ ეს ზრდის იმის შანსს, რომ ექსპერტები და სხვა მონაწილე მხარეები გამოთქვამენ სურვილს მონაწილეობა მიიღონ პრობლემის მოგვარების პროცესში. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს საშუალებას იძლევა პრობლემის მოგვარების შემუშავებული გზა რეალურად განხორციელდეს. პრობლემის ლეგიტიმურად მქონე მხარე შესაძლოა იყოს როგორც ჯგუფი ან ინსტიტუტი, ასევე ინდივიდი. ზოგჯერ პასუხისმგებლობის მქონე მონაწილე მხარეები ერთ ჯგუფად ერთიანდებიან და ამით ზრდიან თავიანთ ავტორიტეტს, რათა უფრო ადვილად მოგვარდეს პრობლემა.

**ექსპერტები:** პრობლემის ერთობლივი გადაწყვეტა იწყება ნეიტრალური ექსპერტების ჯგუფის შერჩევით, რაც

ხდება კურატორის მიერ მონაწილე მხარეებთან თანამშრობლობით. ექსპერტების შერჩევა დამოკიდებულია ძირითად სამეცნიერო სფეროზე, მოვლენებზე, მონაწილეებსა და სხვა ჯგუფებზე, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პრობლემაში. პროცესის დასაწყისში, შესაძლოა არ იყოს ნათელი რომელი დარგი, მოვლენა, მონაწილე მხარე ან ჯგუფი არის ჩართული პრობლემაში. ასეთ შემთხვევაში კურატორი აწარმოებს სიღრმისეულ გამოკითხვებს ექსპერტებისა და იმ მონაწილეებისა, რომლებიც ამ მომენტში სახეზე არიან, იმისათვის, რომ მოგროვდეს მეტი ინფორმაცია იმ ელემენტების შესახებ, რომლებიც უნდა იყოს ჩართული პრობლემის გადაჭრის პროცესში.

**მონაწილეები და ჯგუფები:** ის, თუ რა მიზანს ემსახურება პრობლემის მოგვარება და რა შედეგები მოყვება მას, პრობლემის მონაწილეების პირდაპირი ინტერესების საგანია. ეს პროცესი მათზე პირდაპირ ახდენს გავლენას. შესაძლებელია განვასხვაოთ ორი სახეობის მონაწილეები: კარგად ორგანიზებული გუნდები და არაორგანიზებული გუნდები, რომლებიც ხშირად მივიწყებული რჩება. თუმცა, ორივე ჯგუფზე ახდენს ზემოქმედებას პრობლემის მოგვარების პროცესი. კარგად ორგანიზებული მონაწილე მხარე კოორდინირებას უწევს თავისი ყველა წევრის ინტერესებს და ცდილობს გავლენა მოახდინოს პროცესზე, ხოლო არაორგანიზებულ ან ნაკლებ ორგანიზებულ მონაწილე მხარეს (მოხუცები, ბავშვები, პატიმრები და ა.შ.) კი აქვთ თავიანთი ინტერესები პრობლემის მოგვარების შედეგთან მიმართებით, მაგრამ მათ არ ყავთ თავიანთი ინტერესების დამცველები იმისათვის, რომ ეს ინტერესები გაითვალისწინონ პრობლემის გადაჭრისას. თეორიულად, პოლიტიკოსები უნდა იცავდნენ ორივე მონაწილე მხარის ინტერესებს, რეალურად კი იშვიათად ხდება ისე, რომ არაორგანიზებული მხარის ინტერესებიც ისევე გაითვალისწინონ, როგორც ორგანიზებული მხარის. ყველა მონაწილე მხარეს აქვს პრობლემის საკუთარი

ხედვა, პრობლემის საკუთარი განმარტება და საკუთარი მიზნები. ხშირად მონაწილეებს აქვთ ფარული მიზნები. კომპრამის მეთოდის გამოყენებისას ორივე, ორგანიზებულ და არაორგანიზებულ მხარეს სთავაზობენ პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობის მიღებას საწყისი ეტაპიდანვე[8]. პრობლემის მქონე მხარე, მთავარ მონაწილე მხარეებთან უნდა შეთანხმდეს იმაზე, თუ როგორი გზით წარიმართება პრობლემის მოგვარება[10]. სანამ პრობლემის მოგვარების პროცესი დაიწყება, პრობლემის მქონე და პრობლემის მონაწილე მხარეებს უნდა გააცნონ მეთოდები, რომლებსაც გამოიყენებენ პრობლემის გადაჭრისას.

### **კომპრამის მეთოდის ექვსი საფეხური**

კომპრამის მეთოდი შედგება ექვსი საფეხურისაგან, რომელიც არ უნდა აგვერიოს პრობლემის მოგვარების ეტაპებში. პირველ საფეხურზე პრობლემას ანალიზი უკეთდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. მეორე საფეხურზე სხვადასხვა მონაწილე მხარე აანალიზებს და განსაზღვრავს პრობლემას. მესამე საფეხურზე ექსპერტები და მონაწილე მხარეები ცდილობენ იპოვონ ჩარევის ისეთი გზები, რომლებიც მისაღებია ორივე მხარისათვის. მეოთხე საფეხურზე ხდება საზოგადოების მოსალოდნელი რეაქციის განჭვრეტა, რომელიც ჩარევებს მოყვება. მეხუთე საფეხურზე ხორციელდება ჩარევები. დაბოლოს, ხდება შედეგების შეფასება, როგორც ზოგადად, ასევე იმის მიხედვით, თუ პრობლემის მოგვარების პროცესმა რა გავლენა მოახდინა პრობლემაზე. მაშასადამე, ეს საფეხურებია:

საფეხური 1. დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ პრობლემის გაანალიზება და აღწერა;

საფეხური 2. მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ პრობლემის ანალიზი და აღწერა;

საფეხური 3. ექსპერტებისა და მონაწილეების მიერ ჩარევების განსაზღვრა;

საფეხური 4. საზოგადოების რეაქციების განსაზღვრა;

საფეხური 5. ჩარევების განხორციელება;

საფეხური 6. შედეგების შეფასება.

**კომპრამი: სტრუქტურული მეთოდი**

კომპრამი სტრუქტურული მეთოდაა, რაც ნიშნავს, რომ მოდელი გვთავაზობს პრობლემის მოგვარების ერთიან მიდგომას. მონაცემთა ანალიზისა და ცოდნის გამოყენების სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა გონებრივი განჭვრეტა და გამოკითხვები, გამოიყენება ინფორმაციის შეგროვების, გამოყენებისა და ანალიზისათვის. არსებობს სპეციალური მეთოდები მონაწილეთა შესარჩევად, ინფორმაციის შესაგროვებლად, ინფორმაციის გამოყენებისათვის, სიმულაციებისათვის და შედეგებზე გავლენის მოსახდენად. თამაშები საკმაოდ სანდო ინსტრუმენტია ჩარევების შედეგების გასაანალიზებლად. ზოგიერთი მეთოდი, მაგალითად შვიდფენიანი მოდელი [4], შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ცოდნის გაცვლასა და კომუნიკაციას ინტერდისციპლინარული ჯგუფების წევრებს შორის.

კურატორებმა უნდა გადაწყვიტონ რა მეთოდები და ხერხები შეიძლება გამოიყენონ პრობლემის გამკლავების პროცესში. ასევე, ზემოთ აღწერილი საფეხურების განხორციელება დამოკიდებულია სხვადასხვა პრობლემის სპეციფიკურობაზე, პრობლემის გადასაჭრელად შექმნილ ჯგუფზე, სხვადასხვა მომენტზე პრობლემის გამკლავების ფაზაში, დროსა და თანხებზე. ეს ყველაფერი კი ნიშნავს იმას, რომ კურატორებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა პრობლემის გამკლავების სხვადასხვა მეთოდის შესახებ. მეთოდოლოგიური ცოდნის გარდა აუცილებელია კომპიუტერის ცოდნა. ასევე აუცილებელია ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა ვუხელმძღვანელოთ ჯგუფურ პროცესებს. ასევე უნდა ვერკვეოდეთ იმაში, რომ შესაძლოა ცოდნა, რომელიც პრობლემის გადასაჭრელად არის საჭირო, იყოს საკმაოდ რთული და არეული სხვა სახეობის ცოდნასთან, უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას სხვადასხვა ძალაუფლებისა და ემოციების შესახებ. ასევე ისეთი თემების

შესახებ, როგორებიცაა ფარული მიზნები, შური და ჯგუფური აზროვნება. ჯგუფური აზროვნება გადაწყვეტილების მიღების პროცესია, კონტექსტით იგი გულისხმობს ნეგატიურ დამოკიდებულებას განსახილველი თემისადმი: ჯგუფური აზროვნება გულისხმობს საკითხისადმი კრიტიკულად დამოკიდებული ინდივიდების გაერთიანებას ერთ ჯგუფად, რათა მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილება. როდესაც გასამკლავებელი პრობლემა საკმაოდ დიდი მასშტაბისაა, კურატორებს არ მოეთხოვებათ იცოდნენ გადაჭრის ყველა მეთოდი და ხერხი, მათ ასისტენტებად უნდა ჰყავდეთ სპეციალიზებული თანაშემწე-კურატორები, რომლებიც უხელმძღვანელებენ პრობლემის გადასაჭრელად შექმნილი მთლიანი გუნდის რომელიმე ქვედანაყოფს, რომელიც იყენებს გარკვეულ მეთოდებს პრობლემის გადასაჭრელად.

**კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემის მაგალითი: AIV ინფექცია/ შიდსი სამხრეთ აფრიკაში**

დიდი ხნის განმავლობაში შიდსი განიხილებოდა როგორც სამედიცინო პრობლემა, რომლის გადაჭრაც მხოლოდ სამედიცინო გზით იყო შესაძლებელი. 1990-იან წლებში უკვე ნათელი გახდა, რომ მედიცინას არ ჰქონდა ამ საკითხის გადასაჭრელი საშუალებები. ძირითადად სამედიცინო აქცენტზე ყურადღების გამახვილებამ ხელი შეუშალა იმას, რომ პრობლემის მოგვარების განხილვა დაწყებულიყო არასამედიცინო გზებითაც. ამან პრობლემას მისცა დიდი მასშტაბი, განსაკუთრებით კი აფრიკულ ქვეყნებში. საბედნიეროდ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ის ორგანოები, რომელთაც ეხებათ ეს პრობლემა, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამა შიდსის შესაჩერებლად და ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს იყო საზოგადოებრივი მოვლენა, მიუხედავად მისი სამედიცინო ასპექტებისა და აღიარეს იგი როგორც კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემა, რამაც შესაძლებელი გახდა მის მოსაგვარებლად კომპრამის მეთოდის გა-

მოყენება.

შიდსით დაავადებული ადამიანების 90% ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში. ბევრ მათგანს არ აქვს წვდომა იმ სამედიცინო საშუალებებთან, რომელიც ინდუსტრიულ სამყაროშია. იმის გათვალისწინებით, თუ ადამიანების რამდენი პროცენტია შიდსით დაავადებული და თუ რა გავლენას ახდენს ეს ეპიდემია საზოგადოებაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შიდსის ეპიდემია არის განვითარებადი ქვეყნებისათვის უმთავრესი საფრთხე. აფრიკაში შიდსის ეპიდემია მიქინვარებს. შიდსით დაინფიცირებულია აფრიკის ზრდასრული მოსახლეობის 22% [18]. 300,000 უკვე გარდაიცვალა შიდსით.

❖ შექნილი იმუნოდეფიციტური ვირუსი (შიდსი) გამოწვეულია ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსით. იგი ხშირად გადადის დაინფიცირებული ნემსების გამოყენებით, სისხლის გადასხმით, ასევე ჰეტეროსექსუალური კონტაქტით და სწორედ მისი საშუალებით ვრცელდება შიდსი ასე სწრაფად. ის, რომ შიდსი ძირითადად ჰეტეროსექსუალური გზით ვრცელდება, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჰომოსექსუალები არ არიან ამ ინფექციის მატარებლები. შიდსი არის დაავადება, რომელიც არ იკურნება, არ ექვემდებარება ვაქცინაციას და არ არის საკმარისი სამედიცინო საშუალებები მის სამკურნალოდ. მკურნალობის საშუალებები, რომლებიც ხელმისაწვდომია, რათა ებრძოლონ სიმპტომებს და შეანელონ სიკვდილის პროცესი, სამხრეთ აფრიკის მოსახლეობისათვის საკმაოდ ძვირია, თუნდაც შემცირებული ფასით[20]. AIV ინფექცია/შიდსი არის ინფიცირებულთა მრავალი ტანჯვის მიზეზი. დაავადება ასევე გავლენას ახდენს პაციენტის ოჯახის წევრებსა და მეგობრებზე, რომლებიც ხედავენ როგორ იტანჯება და კვდება მათი ახლობელი, იკარგება ოჯახის შემოსავალი და ოჯახის მომვლელი. დიდი ხნის განმავლობაში მამაკაცები და ქალები რჩებიან პარტნიორის გარეშე, რაც იწვევს ბავშვების დატოვებას მშობლების

მზრუნველობის გარეშე. სამხრეთ აფრიკაში, დაავადებულ ადამიანების უმრავლესობა შავკანიანია. სწორედ ამ ვირუსის გამო მოსალოდნელია, რომ სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები შავკანიანი ადამიანების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაეცეს 62-დან 35 წლამდე[2;22;23]. შრომისუნარიანი მოსახლეობის ადამიანების უმეტესობა იქნება უძლური იმისათვის, რომ სამუშაო შეასრულოს და გარდაიცვლება 50 წელს მიღწეული. საზოგადოება დარჩება ახალგაზრდა, ჯანმრთელი მუშა ძალის გარეშე, რაც საფუძველია ეკონომიკური წინსვლისა და მომავალი თაობების გაჩენისა. ასეთი დიდი გავლენის გამო ეს დაავადება საფრთხეა მთელი საზოგადოებისათვის. იმუნოდეფიციტის ვირუსით დაავადებულ ორსულ ქალთა (დურბანში ეს ორსულების 33%ია) შვილების 11% იქნება იმუნოდეფიციტური ვირუსით დაავადებული და გარდაიცვლება 7-9 წლის ასაკში[2;22;23]. ის ბავშვები, რომლებიც ჯანმრთელები დაიბადებიან, რამდენიმე წელიწადში დარჩებიან უდელოდ. იქიდან გამომდინარე, რომ იმუნოდეფიციტის ვირუსის შექენიდან ადამიანი 7-9 წელიწადში კვდება, ეს ბავშვები 10 წლისაც კი არ იქნებიან, როდესაც დედა გარდაეცვლება. ამ დედების უმეტესობა მარტოხელაა, რაც ნიშნავს, რომ ბავშვების უმეტესობა ადრეულ ასაკში დარჩება მშობლების მზრუნველობის გარეშე. შესაძლოა ოჯახური მზრუნველობა გაუწიონ ბებიებმა, მაგრამ მათი სახსრებიც შეზღუდულია. 20 წლის შემდეგ ბებიის ასაკის ქალების ნაკლებობა იქნება, რაც დაობლებულ ბავშვებს საერთოდ ოჯახის გარეშე დატოვებს.

არსებობს იმის რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ არ იმუშავა საშუალებებმა, რომელიც ინფექციის შესამცირებლად გამოიყენეს, ასეთებია:

- ❖ სექსუალური თემების განხილვაზე ტაბუს დადება: მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ქცევები მიიჩნევა ნორმალურად, განსაკუთრებით შავკანიან საზოგადოება-



## **ღორიან ღებობა**

---

ში, სექსუალური ქცევების განხილვა ტაბუდადებულია. ეს გარემოება ხელს უშლის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;

- ❖ კრიმინალი: ცხოვრების დაბალი დონე ზრდის კრიმინალურ ქცევებს, მათ შორის გაუპატიურების შემთხვევებს ქალებსა და ბავშვებში;
- ❖ სამხრეთი აფრიკა რელიგიური ქვეყანაა: რელიგიის ძალა სამხრეთ აფრიკაში ხელს უშლის ქალისა და კაცის სექსუალური ქცევის განხილვასა და შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვას მოსახლეობამ თავი. ზოგიერთი თავდაცვის მეთოდი სამხრეთ აფრიკაში არსებული ეკლესიის მიერ აკრძალულია;
- ❖ შიდსით დაავადებული ადამიანები დადღასმულები არიან: ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო შიდსით დაავადებული ადამიანი ხშირად ხდება საზოგადოების მიერ გააკიცხული და უარყოფილი. ეს იმას ნიშნავს, რომ შიდსით დაავადებული ადამიანი არ ამხელს იმას, რომ მას შიდსი აქვს, რაც ხელს უწყობს დაავადების კიდევ უფრო გავრცელებას. ყოველივე ამის გამო, ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ დაავადებას მანამ, სანამ გარდაუვალი არ გახდება სამედიცინო ჩარევა. ზოგადად, შავკანიანები მკურნალობის დასავლურ მეთოდებს უფრო ექიმბაშების მეთოდებით მკურნალობას ამჯობინებენ;
- ❖ პრობლემის გაუცნობიერებლობა: ბევრ ადამიანს არ აქვს გაცნობიერებული პრობლემის საფრთხე, რაც გამოწვეულია თემის ტაბუდადებით და არასაჯაროობით. შემდგომში კი ეს იწვევს შიდსით დაავადებული საზოგადოების წილის ზრდას;
- ❖ არ ხდება თავდაცვა სქესობრივი კავშირით გადამდები დაავადებებისაგან;
- ❖ სიღარიბე და პროსტიტუცია: სიღარიბის მაღალი დონე



და სამხრეთ აფრიკული საზოგადოების კიდევ სხვა ასპექტები აჩვენებს, რომ სამხრეთ აფრიკაში არის პროსტიტუციის მაღალი დონე;

- ❖ არაორთოდოქსული შეხედულებები და მთავრობის როლი: სამხრეთ აფრიკის ჯანდაცვის სამინისტროს არ აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები ამ ეპიდემიის გასამკლავებლად. ასევე, მთავრობის წევრებში არსებობს გარკვეული სახეობის არაორთოდოქსული შეხედულებები, მაგალითად ის, რომ შიდსს იმუნოდეფიციტის ვირუსი კი არ იწვევს, არამედ ნარკოტიკების მოხმარება და სიღარიბე;
- ❖ რეალური თავდაცვის პროგრამის არარსებობა. AIV/შიდსის საწინააღმდეგო დღევანდელი ოფიციალური პოლიტიკაა: თავის შეკავება, ერთგულება, გონდომის გამოყენება და დაავადებაზე მზრუნველობა. ასეთი პოლიტიკა არ არის მთლად წარმატებული, რადგან რეალურად ვერ ვაფასებთ სექსუალურ აქტივობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

სამხრეთ აფრიკაში, ბოლო წლების განმავლობაში, ბევრი საინტერესო ჩარევა განხორციელდა იმუნოდეფიციტის ვირუსის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის – უფასო თავდაცვის საშუალებების გავრცელება ბარებში, სასტუმროებში, კაფეებში, სატელევიზიო რეკლამების საშუალებით თავდაუცავი კონტაქტით გამოწვეული საშიშროებების ხაზგასმა და ასევე ცნობილი მსახიობების გამოყენება საზოგადოებამდე პრობლემის უფრო ადვილად მისატანად. შიდსით დაავადებული ადამიანები სახელმწიფო საავადმყოფოებში მკურნალობენ, თუმცა რესურსები შეზღუდულია. განხორციელებულმა ჩარევებმა ვერ მოიტანა სასურველი ეფექტი. იმისათვის, რომ განვითარდეს ეფექტიანი ჩარევის სტრატეგია, საჭიროა ჩატარდეს პრობლემის დაწვრილებითი ანალიზი ექსპერტებსა და პრობლემის მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლის საშუალებით.

**კომპრამის მეთოდის ჰიპოთეკური გამოყენება შიდსის საკითხის გადაწყვეტაში**

შიდსის ვირუსი არის კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად კარგი იქნებოდა კომპრამის მეთოდის გამოყენება. ქვემოთ წარმოდგენილია ამ საკითხის კომპრამის მეთოდით გადაწყვეტა ზემოთ მოყვანილი ექვსივე საფეხურის გავლით. პირველი საფეხური გულისხმობს საკითხის შესახებ ცოდნის განვითარებას. შიდსთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროს კომპეტენტური ექსპერტები პრობლემას სრულად აღწერენ, რათა გაიგონ: (1) როგორ არის ყველა მოქმედი ფაქტორი ურთიერთდაკავშირებული; (2) ვინაა ჩართული პრობლემაში: ორგანიზებული და არაორგანიზებული ჯგუფები, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები; (3) განისაზღვროს შესაძლო ჩარევები; (4) გამოჩნდეს პრობლემის გამომწვევი მიზეზები და ეფექტები; (5) გაანალიზდეს წარსული, ახლანდელი და მომავალი სიტუაციები. კურატორი ხელს უწყობს ინტერდისციპლინარული ცოდნის გაცვლას. პრობლემასთან დაკავშირებული ექსპერტები უნდა მოიცავდნენ შემდეგ დარგებს: ჯანდაცვა, განათლება, ეკონომიკა, კანონმდებლობა, ფსიქოლოგია, რელიგიური წარმომადგენლები, ადგილობრივი, მუნიციპალური და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და ა.შ. განხილვისას ექსპერტებს მოეთხოვებათ აღწერონ პრობლემა რაც შეიძლება სრულად. ამ პროცესს დასჭირდება დაახლოებით 2 თვე. ამ ეტაპის შედეგი იქნება მოხსენება, რომელიც შეიცავს ძირითად ასპექტებსა და დამოკიდებულებებს შიდსის ვირუსის მიმართ სამხრეთ აფრიკაში. მეორე საფეხური ეხება იმის გარკვევას, თუ რა ძალა მოქმედებს და როგორ ზეგავლენას ახდენს ეს ძალა პრობლემაზე. ამ ეტაპზე ხდება ყველა მონაწილის მიერ ჩამოყალიბებული პრობლემის აღწერის კონსტრუირება. პრობლემის გამკლავების პროცესი გრძელდება შიდსის პრობლემაში მონაწილე ყველა მხარის მოწვევით. მაგალითად, სადაზღვევო კომპანი-

ბი, ადგილობრივი, მუნიციპალური და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლები, წარმოება, ფერმერები, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, რელიგიების წარმომადგენლები, ექიმბაშები და ა.შ. ეს ჯგუფები მოწვეულია კურატორის მიერ, რათა ერთმანეთში განიხილონ პრობლემა, წარმოადგინონ პრობლემის საკუთარი ხედვა და მიუთითონ პრობლემის გადაჭრის იმ მეთოდებზე, რომლებსაც მხარს დაუჭერენ ან არ დაუჭერენ. ეს პროცესიც ორ თვეს წაიღებს, აქედან 16 სამუშაო დღე სჭირდება კურატორს მუშაობისთვის და 2 დღე კი თითოეულ მონაწილე მხარეს. ამ ეტაპზე მომზადდება ანგარიში, სადაც წარმოდგენილი იქნება თითოეული მონაწილის მიერ პრობლემის საკუთარი ხედვა და აგრეთვე, თუ რა სახის ემოციები და რა ძალა ახდენს გავლენას მოცემულ პრობლემაზე. მესამე საფეხური მოიცავს იმ ჩარევების განსაზღვრას, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღებია. ექსპერტები და მონაწილე მხარეების წარმომადგენლები განიხილავენ შესაძლო კომბინირებულ ჩარევებს პრობლემის ყველა ასპექტით. ამას მიყვარათ ჩარევის იმ მეთოდამდე, რომელიც კომბინირებული და ორივე მხარის მიერ შეთანხმებულად ჩამოყალიბებულია. საჭიროა ორი თვე, აქედან 16 სამუშაო დღე კურატორისათვის, ხოლო 8 თითოეული ექსპერტისა და მონაწილესათვის. ამ ეტაპის შედეგი არის მოხსენება იმ მთავარი ჩარევების შესახებ, რომელიც უნდა გატარდეს შიდსის პრობლემის მოსაგვარებლად სამხრეთ აფრიკაში. ასევე, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ამ ჩარევებს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე. ჩარევები უნდა მოიცავდეს სასკოლო და სამოქალაქო განათლებას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ოჯახების გაერთიანებას, ობლების საკითხს, სამედიცინო დახმარებას დაავადებული ადამიანებისათვის და სიკვდილიანობის თავიდან ასაცილებლად ზომების მიღებას. მეოთხე საფეხურია იმის გამოკვლევა, თუ როგორი რეაქცია ექნება საზოგადოებას განხორციელებულ ჩარევებზე. ეს ეტაპი საშუალებას იძლევა ზოგიერთი ჩარევის ფორმა შეიცვალოს

საჭიროებისამებრ, სანამ უშუალოდ მათი განხორციელება დაიწყება. ეს პროცესი მოიცავს ორ თვეს: 16 დღეს კურატორებისათვის და 4 დღეს თითოეული მონაწილისათვის. ეტაპის შედეგი არის მოხსენება, სადაც აღნიშნულია საკითხები, რომლებიც მისაღებია ყველა მხარისათვის და საკითხები, რომლებიც წინააღმდეგობრივია. მეხუთე საფეხურზე ხდება ჩარევების განხორციელება იმ სტრატეგიის მიხედვით, რომელიც შეიმუშავა პრობლემის გადამჭრელმა გუნდმა. ჩარევების განხორციელების პერიოდი დამოკიდებულია ჩარევების სქემაზე, როგორც წესი, იგი გრძელდება თორმეტი თვე ან მეტი. იქიდან გამომდინარე, რომ განხორციელების პროცესში მონაწილეებზე გადადის დიდი პასუხისმგებლობა კურატორის სამუშაო დღეთა რაოდენობა შემცირდება (დაახლოებით 20 დღე 12 თვეში). ამ საფეხურის შედეგია დაგეგმილი ჩარევების წარმატებით განხორციელება. მეექვსე საფეხური შეფასების ეტაპია. მოიცავს ორი თვის პერიოდს, საიდანაც 16 დღე მუშაობს კურატორი. მოხსენებაში შედის შემდეგი დეტალები: (1) სამხრეთ აფრიკაში შიდსის ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლისას განხორციელებული ჩარევების წამრატება ან მარცხი. (2) რამდენად კარგად განხორციელდა ჩარევები და (3) რამდენად ეფექტიანი იყო პრობლემის გამკლავების პროცესი. აუცილებელია იმის აღქმა, რომ ყველა ამ პროცესის გავლის შემდეგ, რაც არ უნდა წარმატებით დაინერგოს შემუშავებული მეთოდი, ეს არ ნიშნავს, რომ შიდსის პრობლემა მოგვარდება ორ წელიწადში, მაგრამ, ეს მიდგომა საფუძველს ჩაუყრის ფუნდამენტურ ცვლილებებს შიდსთან მიმართებით და შეამცირებს გავრცელების სიჩქარეს. ასევე, უზრუნველყოფს იმათთვის დახმარების გაწევას, ვისზეც პირდაპირ და არაპირდაპირ ახდენს გავლენას შიდსის პრობლემა.

## **Handling Complex Societal Problems**

**Dorien Detombe**

The Compram method is a method for handling complex societal problems in a transparent and structured way. Handling in this case means analyzing, policymaking, decision making and guiding and evaluating the interventions. The Compram method is developed by De-Tombe (1994). Most problem handling methods focus on a part of the problem handling process. The Compram method, however, focuses on the whole spectrum of the problem handling process.

Because of their complexity societal problems are difficult to handle. These problems have often a huge impact on society, because they involve a great number of phenomena and actors. Each actor has his or her own goals, interest and power. In a democracy handling these problems includes dealing with all the actors. In order to do this efficiently and fruitful these problems should be handled in cooperation with the actors. The Compram method guides this process from the moment the problem is put on the (political) agenda till the evaluation of the interventions. The Compram method distinguishes six steps in the problem handling process. For supporting this process it uses all kinds of supportive methods and tools. The method is based on the three basic elements in handling complex societal problems: knowledge, power and emotion. The Compram method can be applied for all kind of policy problems like transport, environmental, healthcare, poverty and unemployment problems. An example of the application of the method is given on handling the Aids problem in South Africa.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Abley, M. (ed.) 1999. *Stories from the Ice Storm*. Toronto: Canadian Publishers;**
2. African Development Forum 2000. *AIDS in Africa*. Geneva: UN-AIDS;
3. DeTombe, D.J. 1993. □An interdisciplinary process of problem handling for policy making on environmental problems□. In E. A. Stuhler & M. O’Súilleabháin (eds), *Enhancing Human Capacity to solve Ecological and Socio-economic Problems* (Vol 2), Mering: Hampp Verlag. pp. 30-46;
4. DeTombe, D.J. 1994. *Defining Complex Interdisciplinary Societal Problems: A theoretical study for constructing a co-operative problem analyzing method*. Amsterdam: Thesis Publishers;
5. DeTombe, D.J. 1996. “COMPRAM: a method for analysing complex interdisciplinary societal problems”, in D.J. DeTombe & C. van Dijkum (eds) *Analyzing Societal Problems*. Mering: Hampp Verlag, pp.7-29;
6. DeTombe, D.J. 1997. “Experiments with groupware for analyzing complex technical environmental policy problems”, in Vezjak, M, E.A. Stuhler & M. Mulej (eds) *Environmental Problem Solving: From Cases and Experiments to Concepts, Knowledge, Tools and Motivation*. (Proceedings of the 12th International Conference on Case Method and Research and Case Method Application). Munchen/Mering: Rainer Hampp Verlag.pp.36-43;
7. DeTombe, D.J. 1999. “Facilitating complex technical policy problems”. In Stuhler, E. & D.J. DeTombe (eds) *Cognitive Psychological Issues and Environment Policy Application: Research on Cases and Theories*. Munchen/Mering: Hampp Verlag. Pp.119-128;
8. DeTombe, D.J. 2000a. “Anticipating and avoiding opposition in

- large technological projects”, *International Journal of Technology Management* 19(3/4/5): pp.301-312;
9. DeTombe, D.J. 2000b. “A new method for handling complex spatial problems”. In A. Reggiani (ed.). *Spatial Economic Science: New Frontiers in Theory and Methodology*. Berlin: Springer Verlag, pp.212-240;
  10. DeTombe, D.J. 2000c. “Testing methods for complex real life problems”. In Blasius, J. et al. (eds) *Social Science methodology in the New Millennium: Proceedings of the Fifth International Conference on Logic and Methodology*. Cologne: T-T Publikaties, pp.1-14;
  11. DeTombe, D.J. 2001. “COMPRAM, a method for handling complex societal problems”, *European Journal of Operational Research* 128(1): 266-282;
  12. Forrester, J.W. 1987. “Lessons from system dynamics modeling”. *System Dynamics Review* 3(2): 136-149;
  13. Geyer, R. F. & J. van der Zouwen (eds) 1986. *Sociocybernetic Paradoxes. Observation, Control and Evolution of Self-Steering Systems*. London: Sage;
  14. Glasbergen, P. 1989. *Beleidsnetwerken rond milieuproblemen. Een beschouwing over de relevantie van het denken in termen van beleidsnetwerken voor het analyseren en oplossen van milieuproblemen*. ‘s-Gravenhage: VUGA;
  15. Lintsen, H.W. 1980. *Ingenieurs in Nederland in de negentiende eeuw*. Uitgever eigen beheer. Delft. The Netherlands;
  16. Mintzberg, H. 1983. *Power in and around Organizations*. Englewood Cliffs: Prentice-Hall;
  17. Newell, A. & Simon, H.A. 1972. *Human Problem Solving*. Englewood Cliffs: Prentice-Hall;
  18. NRC 2000a. “AIDS in Zuid Afrika”, *NRC Dutch Daily Newspaper*, 9.10, 11 March 2000;
  19. NRC 2000b. “Oorlogen in Africa”, *NRC Dutch Daily Newspaper*,

May 2000;

20. NRC 2001. “Pharmaceutische industrie verlaagd prijs AIDS medicijnen in Africa”. *NRC Dutch Daily Newspaper*, Spring 2001;
21. Shilts, R. 1986. *And the Band played on. Politics, People, and the AIDS Epidemic*. New York: St. Martin’s Press;
22. UNAIDS 2000a. *Enhancing the greater Involvement of People LIVING with or affected by HIV/AIDS in Sub-Saharan Africa*. Geneva: UNAIDS;
23. UNAIDS 2000b. *The International Partnership Against AIDS In Africa*. Geneva: UNAIDS;
24. World Bank 1999. *Confronting AIDS. Public Priorities in a Global Epidemic* (rev edn). New York: Oxford University Press.



**ეკონომიკური ლიბერალიზმისა და  
სახელმწიფოს როლის შესახებ**

**რომან ხარბულია**

**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის  
ხელმძღვანელის კონსულტანტი**

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, ქართულ საზოგადოებაში მუდმივად მიმდინარეობს დისკუსია იმის თაობაზე, თუ რომელი ეკონომიკური მოდელი უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაბილურობასა და შემდგომ პროგრესს.

ხელისუფლების ძალისხმევითა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციებით, ბოლო ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, მიუხედავად ურთულესი ეკონომიკური და სოციალური პირობებისა, საქართველო ზიგზაგებით, მაგრამ მაინც ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობის გზას ადგას და ეს გზა დღესაც გრძელდება. თუმცა, აკად. ვლ. პაპავას აზრით, „დამოუკიდებლობისგამოცხადებისმომენტიდან საქართველომ მაინც ვერ შეძლო შეექმნა ეკონომიკური სისტემა, რომელიც შეიძლებოდა სტაბილური ეკონომიკური განვითარების საფუძველი გამხდარიყო და ჩამოყალიბებული მოდელი ემყარება არა იმდენად წარმოების ზრდას, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებას“ [1, გვ.47,51].

იმის გასააზრებლად, თუ რომელი ეკონომიკური მოდელი უნდა დაედოს საფუძვლად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და რა არის ის ფუნდამენტური ფასეულობები, რაც აღიარებულ და დამკვიდრებულ უნდა იქნეს, აუცილებელია ამოვიდეთ

## **რომან ხარბელია**

იქიდან, რომ „საქართველოს ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობს გლობალურ გარემოში, მსოფლიო ბაზრის კანონზომიერებათა რეალური ზემოქმედებით“ [2, გვ:73]. ვიზიარებთ რა პროფ. დ. იაკობიძის აღნიშნულ მოსაზრებას, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მას იმაშიც, რომ „გლობალიზაცია ... თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა. განვითარების ანტიგლობალური კურსი განწირულია ეკონომიკური ავტარკიზმისა და საზოგადოებრივი რუტინისადმი ... **საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებს, სამომავლოდ, გარდა გლობალურ გარემოში გონიერი ინტეგრაციისა, სხვა გზა არ გააჩნია.**“ [2, გვ. 89. ხაზგასმა ჩემია – რ.ხ].

გლობალიზმი, როგორც რეალური მოვლენა, შემოდის ჩვენში და მისი გაჩერება, ან „არ შემოშვება“ შეუძლებელია. ცნობილი ფილოსოფოსის მ. მამარდაშვილის სიტყვების პერფერაზირება რომ მოვახდინოთ, ამ გლობალურ სითხეს სწავლა არ სჭირდება, ის ვრცელდება არა გარკვეული განათლების ან სწავლის მეშვეობით, არამედ როგორც ჯაჭვური რეაქცია, უთვლად მომენტში [3, გვ. 64]. ის რეალობა, რასაც ჩვენ გლობალიზმს ვუწოდებთ, გადმოდის ქართულ სივრცეზე, საქართველოში, მიუხედავად საზოგადოების გარკვეული ფენების წინააღმდეგობისა თუ მისდამი ნეგატიური დამოკიდებულებისა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, გადმოდის იმიტომაც, რომ შეუძლებელია ვინმემ გარედან მოგახვიოს რაიმე თავზე, თუ შინაგანად რაღაც ზომით მაინც არა ხარ მზად მის მისაღებად.

ლიბერალურმა ეკონომიკამ, ანუ მას როგორც სხვანაირად უწოდებენ, თავისუფალმა ბაზარმა, ფართო გავრცელება ჰპოვა როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ასევე ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში და ხელი შეუწყო მატერიალური წარმოების ისეთ ზრდას და ეკონომიკის ისეთ განვითარებას, რასაც ადრე, მანამდე ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალური

მიდგომა ეკონომიკაში არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ საზოგადოების ისტორიულ ფესვებსა თუ კულტურულ მემკვიდრეობაზე და, ამდენად, არ იქნება მართებული ამა თუ იმ ეკონომიკური მოდელის ეროვნული ნიშნით დაყოფა და ამ „ეროვნულობისთვის“ განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება (რაც შეეხება გავრცელებულ ტერმინებს - „შვედური მოდელი“, „გერმანული მოდელი“, „ამერიკული მოდელი“ და ა.შ. , ეს კონკრეტულად ამ ქვეყნებში ჩამოყალიბებულ, სპეციფიკურ მოდელებს გულისხმობს და მათ არანაირი კავშირი არა აქვთ მოცემულ ქვეყნებში მცხოვრებ ძირითად ეთნოსთან).

ეკონომიკური თვალსაზრისით, ზოგადად ლიბერალიზმი შეიძლება გავიგოთ, როგორც თავისუფალი ეკონომიკური აქტივობის უფლების აღიარება კერძო საკუთრებისა და ბაზრის საფუძველზე.

ლიბერალური ეკონომიკის (ეკონომიკური ლიბერალიზმის) ჩამოყალიბება ვერ მოხერხდება ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების აღიარებისა და დამკვიდრების გარეშე; არადემოკრატიული და არალიბერალური საზოგადოება ვერ შექმნის ლიბერალურ ეკონომიკას. ამდენად, ის, რასაც ემყარება ზოგადად ლიბერალიზმის პრინციპის წარმატება ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეიძლება განვავრცოთ ეკონომიკის სფეროზე. ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო და ყურადსაღებია ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთი აღიარებული იდეოლოგის, ფ.ფუკუიამას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ლიბერალური ეკონომიკა ვითარდება არა უბრალოდ ლიბერალური პრინციპების საფუძველზე, არამედ ის თიმოსის (ადამიანის სულიერი მისწრაფება – საკუთარი ფასეულობები სხვათა მიერ იქნეს აღიარებული; საკუთარი თავის პატივისცემის განცდის სურვილი. – რ.ხ.) ირაციონალურ ფორმებსაც გულისხმობს“ [4, გვ. 14].

ლიბერალური დემოკრატიისა და ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობა მეტად ხანგრძლივი და რთული

პროცესია. დასავლეთის ცივილიზებულმა ქვეყნებმა ძალიან დიდი გზა განვლეს და ეს გზა არ ყოფილა მარტივი და ადვილად მისაღწევი. ხოლო იმ ქვეყნებისთვის და, მათ შორის, საქართველოსთვისაც, რომლებიც ადგანან და აღიარებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ლიბერალურ ფასეულობებს, ძალიან რთული და, ხშირ შემთხვევაში, მტკივნეულია დასავლური ინსტიტუტების რეკომენდაციებისა და მოთხოვნების უპირობოდ მიღება და პრაქტიკული განხორციელება. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ე.წ. „აზიური (სინგაპურის) სასწაულის“ შემოქმედი ლი კუან იუ, როდესაც იგი ანალიზებს სინგაპურში მისი მმართველობის პერიოდში ჩატარებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს: „დიდი ხნის წინ წარმოშობილ დასავლეთის ერებს აქვთ სერიოზული საშიშროება, დასავლური ცივილიზაციის კრიტიკიუმებით შეაფასონ ყოველი ახალი სახელმწიფო, მათი ისტორიის გათვალისწინების გარეშე. ამდროს ხშირად მხედველობის მიღმა რჩება, რომ დასავლეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ერთ საათში თანამედროვეობის თვალწინ კი არ შექმნილა, არამედ საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, კანონების, კონსტიტუციისა და საზოგადოების ძირითადი ღირებულებების კვალდაკვალ“ [5-5]. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ეკონომიკური თეორია შეიძლება გადაიქცეს წინსვლის შემაფერხებელ მექანიზმად, თუ არ მოხდა მისი სათანადო ადაპტაცია მოცემული ადგილისა და დროის გათვალისწინებით. შესაბამისად, საჭიროა სხვა ხალხის ძალისხმევითა და სხვა ეკონომიკური სინამდვილის პირობებში წარმოქმნილი თეორიების შემოქმედებითი გააზრება, რაც, უპირველეს ყოვლისა, არსებული სინამდვილისადმი მათ ადაპტაციას ნიშნავს [2.გვ:251].

ლიბერალიზმის უმთავრესი პრინციპიდან გამომდინარე, რამდენადაც ლიბერალური დემოკრატია სხვებზე აღმატების ირაციონალურ სურვილს, თანასწორად

აღიარების რაციონალური სურვილით ცვლის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზრის სხვადასხვა „მოთამაშის“ ურთიერთობა, მიუხედავად ერთმანეთის მიმართ გამძაფრებულ კონკურენციული ბრძოლისა, უნდა აიგოს ურთიერთდებიმურობის აღიარების ურყევ პრინციპზე.

ლიბერალური ეკონომიკის დამკვიდრებას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.) უწყობს ხელს და ეს გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ გამოვლინებადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. მათ მიერ ხდება ცალკეულ ქვეყნებში ლიბერალური ეკონომიკის პრინციპების დანერგვის წახალისება და მათი გლობალურ მსოფლიოში ურთიერთთანამშრომლობის საერთო მექანიზმის ჩამოყალიბება ისეთი პრინციპების საფუძველზე, როგორცაა: საგადასახადო განაკვეთის ზღვართა დაახლოება; განათლების, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურის ბიუჯეტის პრიორიტეტებად აღიარება; ფინანსური სისტემის ლიბერალიზაცია; ლიბერალური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება; ვაჭრობის ლიბერალიზაცია; კერძო საკუთრების უფლებების დაცვა და სხვ. [2, გვ.101,102,103, 365, 374,375].

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი საკმაოდ ფართო ცნებაა და იგი არ გამორიცხავს ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის, ე.წ. სახელმწიფო ეკონომიკის გარკვეული დოზით არსებობას. მაგრამ ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის დომინანტობის პირობებში, ბუნებრივია, ძნელია მსჯელობა ეკონომიკის ლიბერალიზმზე. აქ მთავარი იმდენად ის კი არ არის, რამდენი პროცენტი უჭირავს სახელმწიფო სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ ის, თუ რამდენად უწყობს ხელს და იცავს სახელმწიფო კერძო სექტორის განვითარებასა და მის ინტერესებს.

საბაზრო ეკონომიკებზე დაფუძნებულ საზოგადოებებში, საბაზრო ეკონომიკის რომელ მოდელს არ უნდა

აღიარებდეს იგი, ყოველთვის წარმოიშობა წინააღმდეგობა სახელმწიფოსა და ბაზარს შორის. ისევე, როგორც ადამიანი, რომელსაც აქვს სურვილი, გონი და მოთხოვნილება იმისა, რომ იგი აღიარებული და დაფასებული იყოს საზოგადოების მიერ და მშვიდად ვერ ეგუება ავტორიტარიზმსა და, მით უფრო, ტოტალიტარიზმს, ასევე ბაზარი ვერ ეგუება სახელმწიფოს მხრიდან მუდმივ ჩარევებსა და მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას, რასაც, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკაში არაჯანსაღ და ზოგჯერ კრიზისულ სიტუაციამდე მიყვავართ ხოლმე.

შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის სურვილი, უფრო მეტად ჩაერიოს ეკონომიკაში, უფრო გარდამავალი პერიოდის ავადმყოფობაა, შექმნილი განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნებით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში.

რამდენადაც კონკურენცია კაპიტალისტურ ეკონომიკაში განაპირობებს რესურსების გამოყენებისა და განაწილების მაღალ ხარისხს, ბუნებრივია, ჩნდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს (მთავრობის) ჩარევის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. ეს არის ე.წ. „წმინდა კაპიტალიზმის“ როგორც თვითრეგულირებადი და თვითკონტროლირებადი ეკონომიკური სისტემის კონცეფცია, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოს (მთავრობის) მეტნაკლებად მნიშვნელოვან როლს ბაზრის ფუნქციონირებაში. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიბერალური ეკონომიკის მოდელი, ესაა თეორიული კონსტრუქცია, აბსტრაქტული მოდელი წმინდა კაპიტალიზმისა, რომელიც სუფთა სახით არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა და არსად არ არსებობს. ყველა თვითრეგულირებადი ეკონომიკური სისტემა, შეიძლება ითქვას, შერეული მოდელია, სადაც მთავრობა (სახელმწიფო) და საბაზრო სისტემები თანაფუნქციონირებენ და სადაც მთავრობა საბაზრო სისტემის

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ფუნქციონირების ხელშეწყობის, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის, თავისუფალი კონკურენციის დაცვის, დასაქმებისა და ინფლაციის კონტროლის მიმართულებით და ა.შ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში.

როდესაც ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიების მიერ მსჯელობაა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობაზე და ამით ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, ყურადღების მიღმაა დარჩენილი ის გარემოება, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაახორციელებს კიდევაც უშუალო ჩარევას ისეთ სფეროებში, რომელიც საკუთრივ ეკონომიკის სფეროს არ განეკუთვნება, მაგრამ პირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკასთან. ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, ამ თვალსაზრისით, არის განათლება. სწავლა-განათლებაში სახელმწიფოს მიერ ჩადებული კაპიტალდაბანდების ეფექტიანობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა სახეობის კაპიტალდაბანდებებისა. აქედან გამომდინარე, განათლებისა და სხვა სფეროებში უშუალო ჩარევის შედეგად სახელმწიფო, ყველა შემთხვევაში, არაპირდაპირ ერევა ეკონომიკის სფეროში და ირიბ გავლენას ახდენს ბაზრის ფუნქციონირებაზე.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს უჩნდება ცდუნება, და ამ ცდუნების წინაშე მეტნაკლებად ყველა მთავრობა დგას, ე.წ. სამართლიანობის ინტერესებიდან და პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, გამოიყენოს სახელმწიფო ეკონომიკური აქტივობების დამაჩქარებელ ინსტრუმენტად და სახელმწიფოებრივი რეგულაციები აქციოს მისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, იგი თითქმის ყოველთვის სხვადასხვა ფორმას იძენს ხოლმე და ხელს უშლის ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას. როდესაც, ე.წ. „კეთილშობილური მიზნებიდან“ გამომდინარე, მიიღება გადაწყვეტილება



ეკონომიკაში მთავრობის აქტიური ჩარევის აუცილებლობის შესახებ, ეს ყველა შემთხვევაში გამოიწვევს დამატებითი სახელმწიფო სტრუქტურის წარმოქმნას, სახელმწიფო აპარატის გაბერვას, მის არაეფექტიანობას, სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტით ეკონომიკური საქმიანობის კიდევ უფრო დამძიმებას. ავითარებს რა მსგავს მოსაზრებას, ლიბერალური ეკონომიკის კონცეფციის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი მ. ფრიდმანი ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმით ჩარევის მინიმიზაციის დასაბუთებამდე მიდის. აშშ-ის მაგალითზე იგი ასაბუთებს, რომ მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები, მის მიერ განხორციელებული ინვესტიციები, უმუშევრობის შემცირების ან თუნდაც იმ მოტივით, რომ ეკონომიკა „გადამწიფდა“ და ახალი კერძო კაპიტალდაბანდებათა შესაძლებლობები ამოიწურა, ვერანაირ დადებით შედეგს ვერ იძლევა.

რამდენად შეიძლება მსგავსი ლიბერალური მიდგომა მიუხედავად დღევანდელი საქართველოს მდგომარეობის? მ.ფრიდმანის კვლევის ობიექტი აშშ-ის ჩამოყალიბებული საბაზრო ურთიერთობებია და ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას იგი ასაბუთებს XX საუკუნის აშშ-ის მაგალითზე, როდესაც თვით ამერიკული პოლიტიკური ელიტა და სახელმწიფო სამსახურები, საერთოდ აშშ-ის მთავრობა არ იკავებდა თავს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისაგან, სადაც საქართველოსაგან განსხვავებით, მ.ფრიდმანის ტერმინი რომ ვიხმართ, ჩამოყალიბდა ე.წ. „სეკულარული სტაგნაციის“ თეორია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკა გადამწიფდა, ამოიწურა კაპიტალდაბანდებათა შესაძლებლობები და ინვესტიციებისათვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შესაძლებლობები აღარ ჩნდება. სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე საქართველოში, სადაც პრობლემებია ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფომ წაახალისოს კერძო ინვესტიციები და მას არ სჭირდება ისეთი აქტივობები, რასაც დასავლეთის



განვითარებულ ქვეყნებში ახორციელებენ სახელისუფლებო სტრუქტურები ე.წ. ეკონომიკური გადამწიფების პერიოდში, როდესაც მთავრობა გვევლინება „ინვესტიციების დეფიციტის“ აღმოფხვრის მთავარ რგოლად.

საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები სახელმწიფო დაფინანსების თვალსაზრისით (იგულისხმება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება და სხვ., რაც ძირითადად სახელმწიფოს პრეროგატივაა) ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების შედარებით დაბალი დონითა და უცხოური ინვესტიციებისათვის არახელსაყრელი გარემოთი იყო განპირობებული. გარდა ამისა, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების შემცირების პირობებში მოკლევადიან პერიოდში, მთავრობა იძულებული ხდება გაზარდოს საკუთარი დაბანდებები (ე.წ. „დაბალანსების თეორია“) და ეს მარტო საქართველოში როდი ხდება, მსგავს ქმედებებს ბევრ ქვეყანაში ჰქონია ადგილი და, ალბათ, მომავალშიც ექნება და ამას შეიძლება ხელი შეუწყოს „პოლიტიკური მიზანშეწონილობის“ ფაქტორმაც. მ.ფრიდმანის მიდგომა ამ თვალსაზრისით, რადიკალურად საპირისპიროა, მისი აზრით, მსგავსი ქმედებები უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე და ვერ ანელებს მისი დაცემის ტენდენციას.

ე.წ. „დაბალანსების თეორიის“ უმთავრეს ნაკლს მ. ფრიდმანი ეკონომიკის ზრდის სამთავრობო ზრუნვის რანგში აყვანაში ხედავს. „...დაბალანსების თეორიის მთავარი ზიანი ის კი არ არის, რომ მისით რეცესიის შეჩერება ვერ მიიღწევა, რაც წესით უნდა მომხდარიყო და არც ის, რომ მას ინფლაციური ელემენტი შეაქვს სამთავრობო პოლიტიკაში, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა, არამედ ის, რომ ამ თეორიას ეკონომიკის ზრდა სამთავრობო ზრუნვის რანგში აყვავს ფედერალურ დონეზე და ასევე, ფედერალური სახსრების ხარჯვით ცდილობს წინ აღუდგეს რეცესიას“ [6, გვ. 76. ხაზგასმა ჩემია – რ.ხ]. უფრო მეტიც, მისი აზრით, „დამაბალანსებელ ინსტრუმენტად ფედერალური ბიუჯეტის გამოყენების განხილვისას, მთელი

ირონია იმაშია, რომ ეროვნულ შემოსავალთა ყველაზე არასტაბილური კომპონენტი ომისშემდგომ პერიოდში (მსჯელობა აშშ-ზე – რ.ხ.) სწორედ ფედერალური ხარჯებია და ეს არასტაბილურობა საერთოდ ვერ ახდენს გავლენას ბიუჯეტის სხვა კომპონენტების სტაბილურობისაკენ სვლაზე. ფედერალური ბიუჯეტი შორს არის იმისგან, რომ დამახალანსებელ ინსტრუმენტად გადაიქცეს, რომელიც შეძლებდა მერყეობის გამომწვევი ძალების დათრგუნვას და **თვითონვე გვევლინება არეულობისა და არასტაბილურობის მთავარ მიზეზად** [6, გვ. 76. ხაზგასმა ჩემია – რ.ხ].

ნებისმიერი მეტ-ნაკლებად სერიოზული კრიზისული სიტუაცია ეკონომიკაში, თუკი იგი არ გამომდინარეობს მნიშვნელოვანი გარეშე ფაქტორებიდან, ეჭვქვეშ აყენებს ამა თუ იმ ეკონომიკური მოდელის სიცოცხლისუნარიანობასა და იგი საზოგადოებისა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მხრიდან კრიტიკის ობიექტი ხდება. თვით აშშ-შიც კი, გასული საუკუნის ე.წ. „დიდი დეპრესიის“ დროს, არა მარტო უბრალო მოქალაქეების, არამედ დიდ ინტელექტუალთა მხრიდანაც, ეჭვქვეშ დადგა არა მხოლოდ ეკონომიკური მოდელის, არამედ მთლიანად საზოგადოებრივ ეკონომიკური წყობის ავტორიანობაც კი.

მთავრობის მხრიდან სურვილი იმისა, რომ პოზიტიური ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე, ბუნებრივად უბიძგებს მას ეკონომიკურ პროცესებში რადიკალური ჩარევისკენ, რაც ხშირ შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა, ნეგატიური შედეგების მომტანი ხდება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მ.ფრიდმანი, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის რამდენიმე ათწლეულის გამოცდილებიდან გამომდინარე, აშშ-ში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების გაანალიზებით, ასკვნის, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომების უმეტესი ნაწილი ფუჭი იყო და ვერ მიაღწია საწადელს. მისი აზრით, ის, რომ შეერთებულმა შტატებმა დიდი პროგრესს მიაღწია, გამოწვეული იყო არა იმდენად მთავრობის საქმიანობით, არამედ თავისუფალი

ბაზრის პირობებში ცალკეულ პიროვნებათა ინიციატივითა და ინდივიდუალური სწრაფვით. „იმას, რომ ჩვენ მაინც ვიღებთ დადებით შედეგს, ბაზრის ჩვეულებრივ ნაყოფიერებას უნდა ვუმადლოდეთ. წინსვლის საკითხში მისი უჩინარი ხელი უფრო მარჯვეა, ვიდრე უკუსვლის ხილული ხელი“ [6.გვ:193].

მ. ფრიდმანის მოძღვრების მთელი აპოთეოზი მოცემულია მის წმინდა ულტრალიბერალურ მოსაზრებაში იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს სერიოზული ჩარევა ეკონომიკაში და, ამ მიზნით, მის მიერ გატარებული ღონისძიებები, განიხილება როგორც მთავრობის მხრიდან ადამიანებისადმი მათივე უშუალო ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად. „ადამიანების ერთ ნაწილს სხვა ადამიანები, ან მთავრობა უწევს, თუ რა არის მათთვის კარგი და რა – ცუდი. მთავრობა ართმევს ერთს და აძლევს მეორეს. ამიტომაც უპირისპირდება ამ ღონისძიებებს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და შემოქმედებითი ძალა – მილიონობით ადამიანის პირადი ინტერესი, რომ ადამიანმა განვლოს საკუთარი ცხოვრება თავისი წარმოდგენის მიხედვით. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ამ ღონისძიებებს ხშირად საპირისპირო ეფექტი აქვთ“ [6.გვ:194].

მიუხედავად ასეთი „რადიკალიზმისა“, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის ფუძემდებლები საერთოდ უარყოფენ სახელმწიფოს როლს ეკონომიკის განვითარებაში, ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. დ. იაკობიძეს, რომელიც მ.ფრიდმანის მოძღვრების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ „იგი უმოქმედობისკენ კი არ მოუწოდებს ხელისუფლებას, არამედ კომპეტენტური ჩარევის მომხრეა, რომელიც დამყარებული იქნება პროდენციულ (კეთილგონიერ და ფრთხილ, ობიექტური პროცესების შეცნობის საფუძველზე შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემა) პოლიტიკაზე ... საბაზრო პროცესებში ხელისუფლების ჩაურევლობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკა დამოუკიდებელია პოლიტიკისაგან, პირიქით, ეს ნიშნავს საბაზრო საქმეებში ცუდად ჩარევას ... ეკონომიკაში

## **რომან ხარბელია**

სახელმწიფოს ჩარევის უარყოფა თვით არის ჩარევა, რადგანაც მივეყავართ რუტინისკენ და სინამდვილისადმი რეტროგრადიული დამოკიდებულებისკენ“ [2, გვ. 103,194].

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის საკითხის გარკვევისას მეტად ორიგინალურია აკად. ვლ. პაპავას მიდგომა, როდესაც იგი ასაბუთებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ბაზრის შინაგანი, იმანენტური ნაწილის სახითაც შეიძლება იქნეს განხილული. „საკითხის ასეთი დასმიდან გამომდინარე, შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების პრობლემის პრინციპულად განსხვავებული გზით გადაწყვეტა, როცა ისინი ეკონომიკის სხვა აგენტების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდებისაგან პრაქტიკულად არაფრით იქნება განსხვავებული“ [7, გვ. 146]. უფრო მეტიც, სათანადო თეორიული მსჯელობის შედეგად იგი ასკვნის, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების ერთ-ერთი, კერძოდ, მეხუთე ფაქტორია [7, გვ. 149,150,151,152], მიწას, კაპიტალს, შრომასა და სამეწარმეო უნართან ერთად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური ლიბერალიზმის პოლიტიკის განხორციელების პროცესში, სახელმწიფოს როლი განისაზღვრება არა უშუალოდ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობითა და ამის მეშვეობით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებით, რისი სურვილი და მოლოდინი ჯერ კიდევ საკმაოდაა გამჭდარი ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ფენებში, არამედ ისეთი მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტებისა და პოლიტიკური გარემოს შექმნით, რაც მაქსიმალურად შესაძლებელს გახდის კერძო მეწარმეობისა და კერძო ინიციატივის გაფართოებას. ამდენად, დაპირება და აქედან გამომდინარე, მოთხოვნა იმისა, რომ მთავრობამ გახსნას (ააშენოს) საწარმოები აბსოლუტურად მიუღებელია ლიბერალური ეკონომიკისათვის და იგი ვერც განხორციელდება. ამდენად, ეკონომიკური ლიბერალიზმი, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო მისაღები გზაა

საზოგადოების სხვადასხვა ფენისათვის კეთილდღეობის შედარებით მაღალ დონის მისაღწევად. საქართველოსთვის ჯერ კიდევ პრობლემად რჩება სწორი საბაზრო ორიენტაციის პოლიტიკის აღიარება, გათავისება და მისგან არ გადახვევა. ეს პოლიტიკა კი ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გარკვევისას, საინტერესოა როგორი კორელაცია არსებობს მთავრობის მიერ გაწეულ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. ამ კუთხით ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთიანი პოზიცია არ არის ჩამოყალიბებული და მით უფრო დიამეტრულად განსხვავდება კეინზიანური მიდგომა ფრიდმანისეული მიდგომისაგან. ლიბერალური ეკონომიკის ფრიდმანისეული მოძღვრება აშკარად უპირისპირდება კეინზიანიზმს, როგორც XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ეკონომიკურ კონცეფციას, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში აუცილებელია. ლიბერალური ეკონომიკის კონცეფციით (განსაკუთრებით, ფრიდმანის მოძღვრებით) მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეკონომიკის დაბაღანსების მიზნით სამთავრობო ხარჯების (ინვესტიციების) გაწევა დადებითი შედეგების მომტანია, პრაქტიკული გამოცდილებით არ დასტურდება და თეორიულადაც შეუძლებელია მისი დადასტურება. თუმცა, საქართველოს ბოლო რამდენიმე წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთავრობის მიერ განხორციელებულ ხარჯებს ეკონომიკის საერთო ზრდის პროცესში უარყოფითი როლი არ შეუსრულებია. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში ჩვენთვის უცნობია გამოცდილების სხვა, ასე თუ ისე დალაგებული და ღრმა ანალიზი, რომელიც გაამართლებდა სახელმწიფოს ამ ფისკალურ პოლიტიკას. ხოლო ზოგიერთი ჩვენი „ეკონომიკის ექსპერტის“ მიერ გაქვადრებული მოსაზრებები კი უფრო ეკონომიკური მითოლოგიის ნაწილია და არა სერიოზული ეკონომიკური კვლევისა და ანალიზის შედეგი. აქვე დავძენთ, რომ მოსაზრება ეკონომიკურ პროცესებში

## **რომან ხარბელია**

---

სახელმწიფოს ფართოდ ჩარევის აუცილებლობის თაობაზე მაინც დიდი გავლენით სარგებლობს საზოგადოებაში, თუმცა, დაუსაბუთებლად და ყოველგვარი სერიოზული ეკონომიკური ანალიზის გარეშე.

ხემოთ მოყვანილი მსჯელობა არ გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების როლის სრულ უგულვებელყოფას ეკონომიკურ პროცესებში, პირიქით, ბიუჯეტმა, გარკვეული დოზით, შეიძლება ეკონომიკის დამბალანსებლის როლი შეასრულოს და ამ როლის აღსრულების პროცესში, როგორც ამას ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიები მიიჩნევენ, სრულებით არაა აუცილებელი ეს დაბალანსება განხორციელდეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მეშვეობით. ამისთვის საშემოსავლო მხარე არსებობს. რამდენადაც ეკონომიკური სტაგნაციის ან რეცესიის პირობებში მცირდება მთავრობის მიერ აკრეფილი გადასახადების მოცულობა, რაც წარმოქმნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დეფიციტს, ხოლო ეკონომიკის მკვეთრი ზრდისას კი პირიქით ხდება, სწორად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ საჭიროა შემცირდეს საგადასახადო განაკვეთები კრიზისულ პერიოდებში და გაიზარდოს ეკონომიკური აღმავლობის დროს. რასაკვირველია, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებების მიმართ ინვესტიციების გაზრდილი მგრძობიარობის გამო, ეს ცვლილებები არ უნდა იყოს ხშირი, პოტენციური ინვესტორების მიერ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობის აღქმის შენარჩუნების მიზნით.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებას ყოველთვის ბეზრდება ხოლმე სამოქალაქო ცხოვრების ერთფეროვნება (ეს ეხება ეკონომიკის სფეროსაც) და იგი ცვლილებებს ითხოვს, მიუხედავად იმისა, კარგად აქვს თუ არა გააზრებული ამ ცვლილებების საბოლოო შედეგები. პრობლემას ართულებს ისიც, რომ ცვლილებების, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, კეთილშობილური მიზნებით განპირობებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელება

წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლებას ექნება საკმარისი ნდობა მოსახლეობის მხრიდან და მიღწეული იქნება საზოგადოების ძირითადი ჯგუფების კონსენსუსი. ეს უკანასკნელი კი მეტად ეფემერულია და, შედარებით ხანგძლივ პერიოდში კი, – ძნელად მისაღწევი. სინამდვილეში სერიოზული ეკონომიკური რეფორმა არასოდეს არ იძლევა მყისიერად დადებით შედეგს, პირიქით, საწყის ეტაპზე მან შესაძლოა ეკონომიკური სტაგნაცია (გარკვეულად რეცესია) კი გამოიწვიოს.

## **On Economic Liberalism and the State Role**

**R. Kharbedia**

Since the restoration of state independence there has been discussion in Georgian society on which economic model will provide stability of the country's socio-economic development and further progress. By the efforts of the authorities and on the recommendations of the international financial organizations, Georgia in a zigzag fashion is on the road to building liberal economy and this continues today.

From the economic point of view, liberalism generally can be perceived as **the recognition of the right of free economic activity based on private property and markets. The formation of liberal economy (economic liberalism) cannot take place in a country without recognition and inculcation of liberal democratic principles. Nondemocratic and nonliberal society cannot create liberal economy.**

It should be noted that economic liberalism is a rather wide concept and doesn't exclude the existence of state sector in economy, so called a certain dose of state economy. But in the conditions of the domination of state sector in economy, naturally, it is difficult to talk about liberalism of economy. Here the main thing is not how many percent is



with state sector in country's economy, but how the state contributes and protects the development of private sector and its interests.

In the societies based on market economies, which model of market economy it shouldn't acknowledge, the market cannot accept government's permanent interventions and interference for its perfect functioning that in the long run engender unhealthy and sometimes crisis situation.

The governments' desire to get involved overly in economy, this is basically an illness of transitional period, created by particular political, economic and social demands, in the countries which are comparatively at a low stage of socio-economic development. Here we should also note that the opinion about the necessity of state's wide involvement in economic processes is of great importance in the society, though, it is unfounded and without economic analysis. This is not meant to ignore totally the role of budget means in economic processes. On the contrary, the budget even can play a balancing role of economy in a certain dose.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. В.Папова, Экономика Грузии: в поиске модели развития, журн. Мир перемен, N.3, 2013;
2. დ.იაკობიძე, გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე, თბ., 2011;
3. მერაბ მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე. თბ.,199;
4. ფ.ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი აღამიანი. თბ., 1999;
5. ლი კუან იუ, მესამე სამყაროდან პირველში: სინგაპურის ისტორია:1965–2000, თბ.2012;
6. მილტონ ფრიდმანი, კაპიტალიზმი და თავისუფლება, თბ., 2002;
7. ვლადიმერ პაპავა, არატრადიციული ეკონომიქსი, თბ.,2011.



**რელიგიისა და ეკონომიკის  
ურთიერთმიმართების კლასიკური  
და თანამედროვე სოციოლოგიური  
იმპლიკაციები**

**კახა ქვცხაია**

**ფილოსოფიის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის  
მიმართულების ასოცირებული პროფესორი**

რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების შესახებ კლასიკურ სოციოლოგიაში ძირითადად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაა ცნობილი. ამ მოსაზრებათა ავტორები სოციოლოგიის კლასიკოსები მარქსი და ვებერი არიან.

მარქსის მიხედვით, ეკონომიკა განსაზღვრავს ყოველივეს და მათ შორის რელიგიასაც (რელიგიურ ცხოვრებას). უფრო მეტიც, მისი აზრით, რელიგია ზოგჯერ ამუხრუჭებს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებას. თუმცა, მარქსის შეხედულება რელიგიასთან მიმართებით საქმის რეალურმა ვითარებამ არ დაადსტურა. მაგრამ, იმის მტკიცება, რომ რელიგიური ცხოვრება მთლიანად თავისუფალია ეკონომიკის გავლენისაგან, შეუძლებელია. უფრო მეტიც, ამ საკითხთან დაკავშირებით პოსტთანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრებული ბევრი მოსაზრება მარქსის ნააზრევთან მომდინარეობს.

მარქსისაგან განსხვავებით, ვებერმა აჩვენა, რომ ეკონომიკაზე დიდ გავლენას რელიგია ახდენს. მან შეამჩნია, რომ გერმანიაში საუკეთესო ეკონომიკური მიღწევები პროტეს-

ტანტებს აქვთ. მეწარმეთა და მაღალკვალიფიციურ ტექნიკურ სპეციალისტთა ბირთვს სწორედ ისინი წარმოადგენენ. ამასთან, დრომ აჩვენა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით სხვა ქვეყნებთან შედარებით პროტესტანტული ქვეყნები დინამიკური განვითარებით გამოირჩევიან; რომ დასავლური კულტურის არნახულ ეკონომიკურ მიღწევებს ღრმა რელიგიური (კათოლიკური და პროტესტანტული) საფანელი აქვს [შდრ. 6,გვ.54-64].

იმისათვის, რომ გავიგოთ ვებერის კონცეფცია რელიგიის სოციალური როლის შესახებ, აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ის წინაპირობები და ამოსავალი პრინციპები, რომლითაც ის ადამიანთა რელიგიური მოქმედებების ახსნისას ხელმძღვანელობდა. ეს სახელმძღვანელო პრინციპი ვებერის სოციალური მოქმედების თეორიაა. ვებერს მიაჩნდა, რომ სოციალური ინსტიტუტები, სტრუქტურები და ცალკეული აქტორები იმ საზრისების მიხედვით ფუნქციონირებს, რომელთაც მასში ადამიანები დებენ. ეს საზრისები კი მათ მიერ წინაწარ გააზრებულია (რაციონალიზებული) და გარკვეული მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული, ანდა ამ მოქმედებებს მთელი რიგი ღირებულებები განაპირობებს (ღირებულებებითრაციონალური მოქმედება). ამ გაგებით სოციალური მოქმედება რაციონალური ხდება. ეს ნიშნავს, რომ სოციალური მოქმედების გადამწყვეტი ფაქტორები ადამიანთა მიერ რაციონალიზებულ ქცევასა და ღირებულებით ორიენტაციებზეა დამოკიდებული. სწორედ ეს ამოსავალი პრინციპი უღვეს საფუძვლად ვებერის რელიგიის სოციოლოგიურ იმლიკაციას, რომლის მიხედვით, რელიგია განიხილება, როგორც მოქმედების რაციონალიზაციის პირობა. სწორედ ამ კონტექსტით იკეთება, ვებერის მიხედვით, რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი [1,გვ.344].

ვებერმა მარქსთან პოლემიკაში აჩვენა, რომ საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან წყაროს „იდეები“

წარმოადგენს, რომ არსებობს კაუზალური კავშირი ეთიკურ, რელიგიურ ნორმებსა და ეკონომიკას, პოლიტიკასა და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებს შორის. რელიგიის სპეციფიკურ ფუნქციად ვებერს მისი მასაზრისიანებელი ფუნქცია მიაჩნდა. რელიგიის სოციოლოგიის ამოცანად კი რელიგიასა და სოციალურ ცვლილებებს შორის კავშირების დადგენას თვლიდა [5, გვ. 163-173].

ვებერის მსჯელობა რელიგიის სოციოლოგიურ ასპექტებზე ძირითადად მსოფლიო რელიგიებს შეეხება. მას მიაჩნდა, რომ ყველაზე მეტი მიმდევრები მთელს მსოფლიოში ამ რელიგიებს ყავთ, ამიტომ მათზე ზედმეტ ყურადღებას ამ ფაქტით ხსნიდა. გარდა ამისა, ეს ის რელიგიებია რომელთაც გარკვეულწილად გავლენა მოახდინეს ისტორიის მსვლელობაზე. ამ მიზნით იკვლია ვებერმა ქრისტიანობა, ბუდიზმი, იუდაიზმი, ისლამი (ნაწილობრივ), ჩინური რელიგიები, ინდუიზმი. ამ რელიგიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე სამყაროსადმი სპეციფიკური მიდგომის თვალსაზრისით ვებერმა რელიგიების სამი ზოგადი ტიპი გამოყო. ყოველი ტიპი საკუთარი განწყობითა და სოციალური მოქმედების საკუთარი ვექტორით ხასიათდება.

რელიგიების პირველ ტიპს ცხოვრებისადმი შემგუებლობა ახასიათებს. მას მიეკუთვნება კონფუციანელობა და დაოსიზმი, ჩინური რელიგიები. ხოლო დანარჩენი ორი ტიპი ცხოვრებისადმი შეურიგებლობით გამოირჩევა [8, გვ. 96-107]. ინდუიზმი და ბუდიზმი, ინდური რელიგიები ცხოვრებისაგან გაქცევის რელიგიებია. იუდაიზმი და ქრისტიანობა კი ცხოვრების დაუფლებახეა ორიენტირებული. მსოფლიო რელიგიები ეთიკური რელიგიებია, ანუ ხსნის რელიგიებს წარმოადგენს. ყოველი მათგანი თავისებურად ასწავლის სიკეთის კეთებასა და ბოროტების უარყოფას. ყოველი მათგანი რაციონალობის საკუთარი ხარისხით არის გამორჩეული. ვებერს მიაჩნია, რომ საერთოდ უაზრობაა რელიგიის ფუნ-

ქციაზე საუბარი, რადგანაც სხვადასხვა რელიგიის ფუნქციონირების სოციალური შედეგები სხვადასხვა სოციალური კონტექსტით განსხვავებულია. მიტომ, რელიგიის ფუნქციაზე ზოგად საუბარს ვებერი ცალკეული რელიგიის სოციალურ ფუნაქციაზე ყურადღების გამახვილებას ამჯობინებს.

იუდაურ-ქრისტიანული ტრადიციით, ღმერთი მოქმედი ღმერთია, შემოქმედი. ადამიანი ამ შემთხვევაში განიხილება როგორც სამოქმედო იარაღი ღმერთის ხელში. აქედან სათავეს იღებს არა ამქვეყნიური საქმეებისაგან გაქცევის, არამედ აქტიური მოქმედების იდეა. რისტიანობა, ამ გაგებით, ხსნის რელიგიაა. იგი გამომდინარეობს რწმენიდან, რომლის მიხედვით ადამიანი ხსნას მოიპოვებს თუკი რელიგიურ დოგმებს მიიღებს და მორალურ პრინციპებით იცხოვრებს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ცოდვის ცნებას და მისგან გამოხსნის იდეას აქვს. სოციალური რეალობისადმი ამგვარი მიდგომა დაძაბულობასა და ემოციურ დინამიზმს წარმოშობს, რომელიც როგორც წესი, აღმოსავლურ რელიგიებში არ გვხვდება. ხსნის რელიგიებს „რევოლუციური“ ასპექტი აქვს, რაც ცოდვისადმი შეურიგებლობასა და ბრძოლაში ვლინდება. ამით ხსნის რელიგიები სოციალური გარდაქმნებს ასტიმულირებს და საზოგადოების მთელ რიგ სფეროში დიდ სოციალურ გარდაქმნებს უწყობს ხელს.

ინდურ რელიგიებში ღმერთი სამყაროს იმანენტურია, ამიტომ, ადამიანი აქ განიხილება როგორც ღმერთის, დეობაბრივი საწყისის სამყოფელი, სადგომი. აქედან სათავეს იღებს სამყაროსადმი მისტიკურ-მჭკვრეტელობითი მიდგომა. ცხოვრებისადმი ამგვარი მიდგომა კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებს, ამიტომ, აღმოსავლეთში კაპიტალიზმი ძნელად იკიდებს ფეხს. მსგავსი დასკვნები ვებერმა მსოფლიო რელიგიების შედარებითი ანალიზის გზით მიიღო. ამგვარი ანალიზის კლასიკური ნიმუშია მისი ნაშრომი „მსოფლიო რელიგიების სამეურნეო ეთიკა“. აქ მან ერთმანეთს სხვადასხვა

რელიგია იმის მიხედვით შეადარა, თუ რა კავშირშია მათი რელიგიურ-ეთიკური პრინციპები ეკონომიკური საქმიანობის ფორმებთან. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ამოსავალი რაციონალიზმის ხარისხია.

ნაშრომში – „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“, ვებერი ასაბუთებს, რომ პროტესტანტულმა რეფორმებმა თანამედროვე კაპიტალიზმს ჩაუყარა საფუძველი (სამუშაოსა და ინვესტირებისადმი ახალი დამოკიდებულება). ამ ნაშრომში მან აჩვენა, რომ კაპიტალიზმი ქრისტიანული ევროპის პირმოა და იგი აზიასა და აფრიკაში არ გვხვდება. ვებერმა დაადგინდა, რომ გამდიდრებისაკენ მისწრაფება პროტესტანტებს უფრო მეტად აქვთ, ვიდრე კათოლიკებს. შესაბამისად იგი იმის შესახებ საკითხით დაინტერესდა, თუ რით შეიძლება ეს ახსნილიყო. ამიტომ მან სიღრმისეულად შეისწავლა პროტესტანტული რელიგია, განსაკუთრებით კალვინისა და მის მიმდევართა რელიგიური დოქტრინა.

კალვინისტური რელიგიური დოქტრინა იმის რწმენაზეა დამყარებული, რომ ადამიანის ბედ-იღბალი, ანუ სიკვდილის შემდგომი ცხონება თუ წარწყმედა, იმთავითვე, დაბადებიდანვე განსაზღვრული. საუკუნო ცხოვრება უფლის მოწყალებაზეა დამოკიდებული და არა ადამიანის დამსახურებაზე. უფლის გეგმის შეცვლა არც ერთ ადამიანს არ შეუძლია. ერთადერთი გამოსავალი უფლის მოწყალების მისაღებად არის დაუღალავი შრომა, საკუთარი თავის უარყოფა (ვებერის გაგებით – ასკეტიზმი) და მომავალი სარგებლისათვის ინვესტიციების კარგად გათვლა. ამას ვებერი პროტესტანტულ მიწიერ ასკეტიზმს უწოდებს. კალვინისტების რწმენა გამოიხატება გამონათქვამში: „დაზოგილი პენი გამოიმუშავებული პენია“; „ზარმაცი ეშმაკის კერძია“. ამით ვლინდება პროტესტანტული ეთიკა, რომელმაც კაპიტალიზმის სულისკვეთება გააძლიერა, რომელიც ისეთი იდეებისაგან და დამოკიდებულებებისაგან შედგება, რამაც, თავის მხრივ, წაახალისა კერ-

ძო სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება. მოგებულ თანხა ფუფუნების საგნებზე კი არ უნდა გაეფლანგათ, არამედ საქმეში უნდა დაებანდებინათ. კალვინისტებს ამგვარი პირადი მსხვერპლის გაღებისაკენ თავიანთი რელიგიური ეთიკა მოუწოდებდა [2,გვ.62-63]. რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების ვებერიანულ გაგებას სათანადოდ აფასებდნენ ღვთისმეტყველების წარმომადგენლები, რომელთა შორის გამორჩეულია ალ. მენი, რომლის მიხედვით „რელიგია არა მხოლოდ საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, არამედ ეკონომიკაზეც. მაქს ვებერმა დაადგინა, რომ კაპიტალიზმის წარმოშობის პირობები არსებობდა ჯერ კიდევ ანტიკურობასა და შუასაუკუნეებში, ხოლო პროტესტანტიზმის გაჩენასთან ერთად იგი სწრაფად განვითარდა. ადრეული პროტესტანტული ლიტერატურის გამოკვლევისას ვებერმა შენიშნა, რომ ლუთერანის მსოფლმხედველობაში ის იდეოლოგიური იმპულსი („პროფესიული მოვალეობის“ იდეა) დევს, რომელმაც წარმოების კაპიტალისტრი წესის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით ვებერმა შეძლო ეჩვენებინა, რომ კაპიტალიზმი ყვავის იქ, სადაც პროტესტანტული სარწმუნოებაა გავრცელებული (ინგლისი, გერმანია, ამერიკა)“ [11,გვ.229].

ვებერის თეორიამ იმის შესახებ, რომ პროტესტანტულმა რელიგიურმა დოქტრინებმა სათავე დაუდეს კაპიტალიზმს და ეკონომიკის მოდერნიზება მოახდინეს, იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მისი ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებდა, რომ ვებერის აზრები არა მხოლოდ პროტესტანტიზმით, არამედ კათოლიციზმითაც იყო შემოფარგლული. სხვები კი მიიჩნევდნენ, რომ რელიგიური ტრანსფორმაციები კაპიტალიზმმა განაპირობა და არა პირიქით (ვერნერ ზომბარტი).

ნაშრომში – „ებრაელები და სამეურნეო ცხოვრება“, ვ.ზომბარტი მსჯელობს ებრაელებზე, როგორც სპეციფი-

კური ნიშან-თვისებების მქონე ეთნიკურ ჯგუფზე და მის გავლენაზე დასაველეთ-ვეროპულ საზოგადოებაში კაპიტალიზმის ფორმირებაზე. ებრაული ფენომენის ანალიზისას ზომბარტს იუდაიზმი აქვს მხედველობაში [10, გვ.34-45]. ბიზნესისა და საერთოდ წარმატებული ეკონომიკური საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და აზროვნების წესი ებრაელთა წმინდა წიგნებშია თავმოყრილი, ხოლო მეორე ნაშრომში – „ბურჟუა“, ის კაპიტალიზმის ერთ-ერთ საფუძვლად კათოლიციზმს ასახელებს. თუმცა ამავედროულად უარყოფს პროტესტანტიზმის ანალოგიურ როლს, რითიც უპირისპირდება ვებერის პოზიციას. უფრო მეტი, „პროტესტანტიზმი, მისი აზრით, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის კაპიტალიზმს და განსაკუთრებით კაპიტალისტურ-სამეურნეო ცხოვრების წესს“. რაც შეეხება პურიტანიზმს, ესაა არა წესი, არამედ მისგან გამონაკლისი, რაც აბსოლუტურად არ უარყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ კაპიტალიზმი ინდივიდუალური ფენომენია და არ არსებობს მისი წინასწარგანსაზღვრული, საყოველთაოდ წარმატებული ფორმა. ვ. ზომბარტი კაპიტალიზმს არ მოიაზრებს, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ საფეხურს, გარდამავალ ეტაპს, რომელსაც მოსდევს სოციალისტური წესრიგი, ამავედროულად ეწინააღმდეგება სოციალიზმის და კაპიტალიზმის შერწყმისა და ამ გზით სრულიად ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბების იდეას [9, გვ.67-89].

მ. ვებერმა და ვ. ზომბარტმა პირველებმა ეკონომიკური მეცნიერების ახალი კონცეფცია შეიმუშავეს, რომლის მთავარი ღირსება ადამიანის კულტურული და ეკონომიკური საქმიანობის სოციალური საფუძვლების პრინციპულად ახალი ასპექტით გაანალიზებაში გამოიხატება, რითიც დიდწილად განაპირობებს კიდევ სოციოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის – „ეკონომიკის სოციოლოგიის“ ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება [7, გვ.116-138].

აშშ-დან გერმანიაში დაბრუნებილმა ზომბარტმა თქვა: „მე შემაძრწუნა მომავალმა“. შეიძლება ითქვას, რომ ვ.ზომბარტი ერთმანეთს უპირისპირებს კაპიტალიზმს და თანამედროვეობას. აგრამ, ტრადიციულობა მასთან ანტი-კაპიტალიზმისა და ანტიპოზიტივიზმის სინონიმს წარმოადგენს. მეცნიერის მხრიდან სინამდვილისადმი მსგავსი დამოკიდებულება, მართალია, არაა კლასიკური, მაგრამ არც ნოვატორულია, რის მაგალითად თუნდაც, ფ. ნიცშეს დამოწმებაა საკმარისი, ვისი გავლენაც ვ.ზომბარტზე უდიდესია. მისი ნაშრომების სტილი სწორედ ნიცშეანურია, სადაც მეცნიერული აბსტრაქცია და ესთეტიზმი ორგანულადაა შერწყმული ერთმანეთთან. ვ. ზომბარტის აზრით, ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების პროცესი კაპიტალიზმის დემოკრატიზაციას, სოციალური დაპირისპირების შესუსტებას და საზოგადოების რაციონალიზაციას განაპირობებს. საწარმოო სფეროს, ბაზრის, ინფორმაციის როლის, თუ ზოგადად, საზოგადოებრივი პროცესის გართულება, მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს მომავლის სოციოლოგიის, მისი მიზნებისა და ამოცანების გააზრების პროცესში, რაც თვესობრივად შეცვლის იმ მეთოდებს, რომლითაც სოციოლოგია და ეკონომიკური მეცნიერება თანამედროვე გამოწვევების წინაშე უნდა წარსდგეს. მიუხედავად ზომბარტის და სხვა თეორეტიკოსთა კრიტიკისა, უნდა ითქვას, რომ ვებერის მოსაზრებები ძალაშია დღესაც. ის აჩვენებს, თუ როგორ კვეთენ ერთმანეთს რელიგია და თანამედროვე რაციონალიზებული, ეკონომიკური ურთიერთობები. უფრო მეტიც, ფაქტია, რომ პოსტთანამედროვე ეპქაში რელიგიური იდეებისა და სხავდასხვა ტრადიციული დღესასწაულის კომერციალიზაციაზე მსჯელობა. ვებერმა თავისი რელიგიის სოციოლოგიური თეორიით აჩვენა, რომ რელიგიური რეფორმა და საზოგადოების ისეთი სეკულარული სფეროს, როგორც ეკონომიკაა, ცვლილებები ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობენ [3, გვ.55-64].



რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების საკითხის საინტერესო ანალიზია მოცემული სოციალურ ანთროპოლოგიაში, რომლის მიხედვით ის, რაც რელიგიას და ეკონომიკას ერთმანეთთან აკავშირებს, სოციალური ჯგუფის ინტერესებია, ანუ რელიგიური და ეკონომიკური ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. სოციალური ანთროპოლოგიის წარმომადგენლები მსგავს დასკვნებს აბორიგენ მოსახლეობაზე დაკვირვების შედეგად აკეთებენ (ეთნოგრაფიული მეთოდი). მგავსი კვლევები აჩვენებს, რომ ძველ ხალხებში ოქროსა და ვერცხლის დაგროვების პრივილეგია ქურუმებსა და მეფეებს ჰქონდათ. სოციალურ-ანთროპოლოგიური კვლევები ამ შემთხვევაში იმით არის საინტერესო, რომ მათ საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომელსაც ვებერიც არ ეწინააღმდეგება და რომლის მიხედვით, საზოგადოების ეკონომიკური სისტემის ცვლილება რელიგიური სისტემების ცვლილებას იწვევს. თუმცა, ვებერი რელიგიაში სოციალური ტრანსფორმაციების მძლავრ სტიმულს ხედავდა, რომელსაც საზოგადოების სამეურნეო და ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნა შეუძლია.

რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების ვებერიანული ხედვა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც თანამედროვე სოციალური თეორიების საფუძველზე დასტურდება.

ვებერის დროიდან მოყოლებული დღემდე, უამრავი სოციოლოგიური გამოკვლევა დაგროვდა, რომლის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის ან განვითარების მიზეზები საზოგადოების კულტურულ და რელიგიურ განსხვავებაშია საძებნი, ანუ იმ რელიგიაში რომელსაც ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს. ამას ადსტურებს ტაფტის უნივერსიტეტის პროფესორ ლოურენს ჰარისონის მიერ ჩატარებული გამოკვლევა [12, გვ.1-7]. ჰარისონმა 117 ქვეყანა გამოიკვლია,

**კახა ქვსბაია**

რომლებშიც ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიის მიმდევარი 1 მლნ-ზე მეტი ადამიანია. მოგვყავს ერთ-ერთი საინტერესო ფრაგმენტი ჰარისონის მიერ ჩატარებული გამოკვლევიდან

**ჰარისონის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები\***

რელიგია*	მოსახლეობა**	საერთო თავისუფლებები***	მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარებში)	კორუფცია
პროტესტანტობა	530	2,3	29784	14,9
იუდაიზმი	6	4	19320	16
კათოლიციზმი	904	5,5	9358	45,6
მართლმადიდებლობა	262	8,6	7045	75,7
ისლამი	1122	9,7	3142	78,6

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. რაც უფრო მაღალია ქვეყნაში თავისუფლების ხარისხი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე და დაბალია კორუფციის მაჩვენებელი. აგრეთვე, თვალში საცემია თავისუფლების მაჩვენებლის კავშირი რელიგიასთან. კვლევა აჩვენებს, რომ პროტესტანტები

1 \* მოსახლეობის 50% მოცემულ რელიგიას აღიარებს.  
 \*\* მილიონი ადამიანი, მსოფლიო ბანკის 2002 წლის მონაცემი.  
 \*\*\* 2 თავისუფლების მაღალი ხარისხის მაჩვენებელია, ხოლო 2-დან 14-მდე – დაბალი (Freedom House მონაცემები).

და იუდეველები ეკონომიკის სფეროში უფრო წარმატებულნი არიან ვიდრე სხვა რელიგიის მიმდევრები.

სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში რელიგიური ჯგუფები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ თავიანთ მიმდევართა ეკონომიკურ შეხედულებებსა და ქცევაზე გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ეს დილემა სიმდიდრესა და სიღარიბესთან დამოკიდებულებას შეეხება. ამ ეკონომიკურ ფენომენებთან დამოკიდებულება რელიგიებს შორის განსხვავებულია.

რელიგიური ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის გართულებასთან ერთად მის წინაშე მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემა დგება. თუნდაც არსებობისა და მოქმედებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრების მოძიება და სხვა მსგავსი რამ. ასეთ ვითარებაში რელიგია ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას იწყებს, რაც ადასტურებს იმას, რომ არა მარტო რელიგია ზემოქმედებს ეკონომიკაზე, არამედ – პირიქითაც. რელიგია ეკონომიკური ცხოვრებისათვის ისეთ აუცილებელ უნარებზე აკეთებს აქცენტირებას, როგორცაა: პატიოსნება, მოვალეობისადმი პატივისცემა, მუხლჩაუხრელი შრომა. შესაბამისად, რელიგიური მსოფლმხედველობა და ეთიკური ორიენტაციები არნახულ ეკონომიკურ წარმატებათა საწინდარი ხდება. თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია თავის კეთილდღეობას და ეკონომიკის მაღალ დონეს გარკვეულწილად დასავლურ ქრისტიანობას უნდა უმაღლოდეს. ამ ცივილიზაციაში რელიგიამ შრომისა და მეურნეობის მაღალი კულტურის ფორმირებას შეუწყო ხელი. ამის შესაბამისად ადამიანებმა იციან, რომ შრომაა უდიდესი მოწოდება ადამიანისა, რომ არ არსებობს დამამცირებელი შრომა და ა. შ. კანადელი მკვლევრების უღრის ბლუმისა და ლეონარდ დალის ემპირიულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეფექტიანი შრომითი საქმიანობის სტიმულირებით რელიგია არა მხოლოდ გავლენას ახდენს ეკონომი-

მიკაზე, არამედ სიცრუისა და მოტყუების აკრძალვით, ეკონომიკური საქმიანობისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან პრინციპს აყალიბებს.

დღეს ბევრი მკვლევარი მსჯელობს იმის შესახებ, რომ საზოგადოების რაციონალიზაციასთან ერთად რელიგიის გავლენა სოციალური რეალობის სხვადასხვა სფეროზე ნელ-ნელა მცირდება, თუმცა, საქმის რეალური ვითარება სულ სხვა სურათს იძლევა. კერძოდ სოციალური სინამდვილის არც ერთი სფერო, რაოდენ სეკულარიზებული არ უნდა იყოს, უძღურია რელიგიის წინაშე. ამ მხრივ რელიგიის გავლენა კი არ მცირდება, პირიქით მატულობს. სამწუხაროდ ვებური ვერ მოესწრო იაპონიის მაგალითს ეკონომიკის სფეროში. „იაპონური სასწაულის“ საიდუმლოებაც მის რელიგიურ ძირებშია საძებნი. იაპონია, ალბათ, ერთ-ერთი სამაგალითოა იმ ქვეყნებს შორის, სადაც ტრადიციებს სცემენ პატივს. ტრადიციები კი რელიგიასთანაა კავშირში. იაპონელები ზედმიწევნით იცავენ უფროსებისადმი პატივისცემის წესს და რიგს, რომელიც აქ რიტუალის დონეზეა აყვანილი. შესაძლებელია იაპონელთა 80%-ზე მეტს არ სმენია, რომ არსებობს მცნება „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რამეთუ კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“. მიუხედავად ამისა, დღეს მსოფლიოში სიცოცხლის ხანგრძლივობით იაპონელები გამოირჩევიან. უფროსებისადმი პატივისცემა იაპონური კულტურის საფუძვლებში დევს. ერთ-ერთ მცნება გვასწავლის – „არა იპარო“ და იაპონელები კეთილსინდისიერად იხდიან გადასახადებს. არავის არ უნდა, რომ მას უხარისხო საქონელს აწვდიდნენ. იაპონელები ამ შემთხვევაშიც გამოირჩევიან. ისინი მაღალხარისხიან საქონელს აწარმოებენ. მათ კარგად გამოსდით დაცვა პრინციპისა – „და როგორც გინდათ რომ გექცეოდეთ კაცნი, თავადაც ისე მოექცეთ მათ“. სწორედ ამგვარი პრინციპების დაცვაშია იაპონური ეკონომიკური სასწაულის საიდუმლოება, მიუხედავად იმისა, რომ

იქაც იგივე ეკონომიკური კანონები მოქმედებს რაც სხვა ქვეყნებში. ეკონომიკის განვითარების ბრიტანეთის ნაციონალურმა საბჭომ გააანალიზა იმ გამარჯვებული იაპონური ფირმების საქმიანობა, რომელთაც მსოფლიო ბაზარზე თავიანთი კონკურენტების სწორად განსაზღვრა შეძლეს. ანალიზის შედეგად ორი ძირითადი პრინციპი გამოყვეს, რომელთაც ზედმიწევნით იცავდნენ გამარჯვებული ფირმები. პირველი პრინციპი ასეთია: იზრუნეთ საქონელზე. მეორე პრინციპი კი ასე უღერს: იფიქრეთ კლიენტებზე.

ეკონომიკის სეროში იაპონიის მიღწევების რელიგიურ საფუძვლებს მიუძღვნა თავისი გამოკვლევა – „რელიგია ტოკუგავას ეპოქაში“ (1957წ.) რელიგიის სოციოლოგიის მსოფლიოში აღიარებულმა თანამედროვე მკვლევარმა რობერტ ნილ ბელამ. მის მიხედვით, „იაპონური რელიგია“ „საერო საქმეთა მოგვარებაზეა“ ორიენტირებული. იაპონური რელიგიური დოქტრინის მიხედვით, წარმატების საწინდარი შრომისმოყვარეობა და გულმოდგინებაა, რომელიც ამავე დროს ღვთისათნო მოქმედებაა. ღმერთი ბეჯით და შრომისმოყვარე ადამიანებს წყალობს. ამ რწმენით შთაგონებული ადამიანები კი სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში სასწაულებს ახდენენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რელიგია (რელიგიური რწმენა და მისი შესაბამისი ცხოვრების წესი) მენტალობისა და ადამიან-კაპიტალის საფუძველია.

1950-იან წლებში ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგმა გერჰარდ ლენსკიმ დეტროიტში ჩაატარა ემპირიული გამოკვლევა, რომლის შედეგების მიხედვით გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში რელიგია მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიკური აზროვნებისა და მენტალიტეტის განმაპირობებელი ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. ლენსკის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა,

რომ ეკონომიკური მენტალიტეტი, ანუ ის, რასაც ვებერი „კაპიტალიზმის სულისკვეთებას“ უწოდებდა, პროტესტანტებს უფრო მეტად აქვთ ჩამოყალიბებული, ვიდრე კათოლიკებს. მსგავსი ტიპის დასკვნები იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად მასშტაბური და გენიალურია ვებერის მოსარებები რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური გათვლები: „ხარჯები-შემოსავალი“ ყოველთვის როდი განსაზღვრავს ადამიანის ქცევას. ხშირად ჩვენს მოქმედებებს რელიგიური და ეთიკური ფასეულობები, კულტურული ნორმები, ადათ-წესები, სხვადასხვა სახის იდეები და შეხედულებები განსაზღვრავს. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში გიგანტური კომპანიის მფლობელისა და მისი რიგითი თანამშრომლის საშობაო სუფრაზე თითქმის ერთი და იგივე საჭმელ-სასმელი იქნება და მიუხედავად იმისა, რომ მათი შემოსავლები განსხვავებულია, საშობაო საჩუქრებშიც ისინი დაახლოებით ერთნაირ თანხას დახარჯავენ, რაც მათი რელიგიური მრწამსის – პროტესტანტიზმის მოქმედების პრინციპებით აიხსნება, რომლის მიხედვით, საკუთარი შემოსავლების მიუხედავად, ადამიანი უბრალოდ და ეკონომიურად უნდა ცხოვრობდეს, ხოლო დანარჩენი ფული საქმეში უნდა ჩადოს. ასე რომ, ამ ქვეყნებში მდიდრული ცხოვრება არა მაღალი სოციალური სტატუსის, არამედ უღირსი ქცევის მაჩვენებელია. ეს ფაქტი კარგად ასახვას რელიგიური ეთიკისა და ეკონომიკური ცხოვრების წესის თანაფარდობას, რომლის მიხედვით რელიგია და ეკონომიკა კი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, რამედ ერთმანეთს თან ორგანულ კავშირში არიან. სწორედ ამას ადასტურებს რელიგიის კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური იმპლიკაციები.

აქვე უნდა ითქვას, რომ რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური იმპლიკაციები ძირითადად დასავლურ ქრის-

ტიანობაზე ყურადღების გამახვილებით შემოიფარგლება. შესაბამისად დღის წესრიგში დგება საკითხი აღმოსავლური ქრისტიანობისა (მართლმადიდებლობა) და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. სოციალურ მეცნიერებებში ამ საკითხის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ფუნდამენტური გამოკვლევა არ არსებობს. ამ სფეროში ერთადერთი გზამკვლევი მამა სერგი ბულგაკოვის ნაშრომებია, რომელიც დიდად აფხვებდა ვებერის დეაწლს მეცნიერების ამ დარგში. ბულგაკოვის აზრით, სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრებისადმი ახლებური მიდგომა ქრისტიანულ რელიგიას უკავშირდება, რომლის ამოსავალი პრინციპია ის, რომ შრომა არამარტო აუცილებელია, არამედ ის ადამიანის რელიგიური და ეთიკური მოვალეობაა. აქ ჩანს შრომისა და სხვა ეკონომიკური აქტივობებისადმი მორალურ-რელიგიური მიდგომა. შრომისადმი მორალურ-რელიგიური მიდგომა განსაკუთრებულ ფსიქოლოგიას გულისხმობს, რაც სიმდიდრისადმი დამოკიდებულებით ვლინდება. ამ შემთხვევაში სიმდიდრე თვითმიზანი არ არის. ყოველივე ეს კაპიტალისტური ეთიკის ნაწილია, რომელიც ბულგაკოვის თქმით, ჩვენში პოლიტიკური ჩარევის შედეგად ვერ განვითარდა, ამიტომ მართლმადიდებლური აღმსარებლობის ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენა რელიგიური ეთიკის ნაკლოვანების ბრალი არ არის. ამაში ათეიზმი და ბოლშევიზმია დამნაშავე. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება დღესაც არ არის ბოლომდე თავისუფალი ამგვარი ცნობიერებისაგან. ასევე, რომელსაც ბულგაკოვი აკეთებს, აქტუალურია დღესაც: სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა სულით ჯანმრთელ ადამიანებს საჭიროებს, რომლებიც განსაკუთრებული პიროვნული პასუხისმგებლობითა და თვითდისციპლინით გამოირჩევიან. ამ უნარების გამოქვეყნებაში კი დიდ როლს ქრისტიანული რელიგია ასრულებს. ასე, რომ გარკვეული რელიგიური ღირებულებები, განწყობები და მათი შესაბამისი ცხოვრების წესი

ეკონომიკური სისტემის აღმავლობის ან დაცემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს [ამის შესახებ ვრცლად იხ. 4, გვ. 79-89].

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე რელიგიური ეთიკის გავლენა ნაკლებად შესაძინეია, რაც განპირობებულია იმით, რომ პოსტთანამედროვე საზოგადოება და ადამიანი მორალისა და ცნობიერების კრიზისს განიცდიან. სოციალური სინამდვილის რაციონალიზაციამ, სეკულარიზაციამ და დესაკრალიზაციამ ეკონომიკური ცხოვრებიდან თითქმის განდევნა რელიგიური ეთიკა და ღმერთის ადგილი ყოვლისშემძლე დოლარმა დაიკავა. შესაბამისად, რელიგიური ეთიკის კომერციალიზაცია მოხდა, რამაც ეკონომიკაზე რელიგიის გავლენა მინიმუმამდე დაიყვანა. პოსტთანამედროვე ეპოქა ძალუმაღ ცდილობს ტაძარსა და სავაჭრო ცენტრს შორის საზღვრების მოშლას და რელიგიას პოსტთანამედროვე საზოგადოების Konsumrausch-ში აგდებს, რის შედეგად ეკონომიკის ახალი ტიპი – „ტრანსეკონომიკა“ გაჩნდა (ჟ. ბოდრიარი), რომელიც რელიგიურობისაგან მთლიანად დაცლილია. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, თუ რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს რელიგიისა და მორალის კომერციალიზაცია და ეკონომიზაცია. სულ სხვა ვითარებაა მაშინ, როდესაც ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა მორალიზაციას და რელიგიის გავლენას განიცდის, რის ერთ-ერთ საზომად თანამედროვე სოციოლოგიაში ეკონომიკური ელიტის რელიგიურობის ხარისხი მიიჩნევა (ამ მხრივ აქტუალური და საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად რელიგიურია თანამედროვე ქართული ეკონომიკური ელიტა?).



**Classical and contemporary sociological implications of the interrelation of religion and economics**

**K. Ketsbaia**

Classical and contemporary sociological implications of the interrelation of religion and economics and theoretical positions are discussed in the article. The conceptions of such classics of sociology as Weber, Max and Sombard and theoretical views of such contemporary sociologists as R.Bellah, G.Lenski, L.Harrison and others are analyzed. The problem of interrelation of Orthodox Christianity and economics (according to Father Sergi Bulgakov) is paid a special attention. The author of the article does not share the view that in Orthodox Christianity this problem is provoked by the absence of a social conception in it. Lack of faith and social conceptions have nothing to do with it.

In the present day world the influence of religious ethics upon the development of economic system is minor. It is conditioned by the crisis of moral and consciousness that the postmodern society and man undergo. Rationalization of the social reality, its secularization and desacralization have almost drawn religious ethics out of economic sphere and the almighty dollar has replaced God. Accordingly, commercialization of religious ethics took place and the influence of religion was reduced. A new type of economics – “transeconomics” (J.Baudrillard) emerged. This fact is a valid demonstration of the results that commercialization and economization of religion and moral can arrive at. The situation is absolutely different when economical and commercial activities are influenced by moral and religion. In the present day world this influence is measured by the degree of religiosity of the economic elite. In this respect the question as to the religiosity of the present day Georgian economic elite is rather interesting and actual.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიდენსი ე. სამუშაო და ეკონომიკური ცხოვრება, წიგნში: სოციოლოგია, თბ., 2011;
2. ვებერი მ. რჩეული ნაწერები რელიგიის სოციოლოგიაში, თბ., 2004;
3. ზომბარტი ვ. წიგნში: დ. ზაქარაია, კ. ქეცბაია, სოციოლოგიის კლასიკოსები: ბიოგრაფიული ლექსიკონი სტუდენტებისათვის, თბ., 2012;
4. მესხია ი. ბიბლიური ეკონომიკური მცნებები და თანამედროვე საქართველო, ჟურნალი „რელიგია“, №1, 2008;
5. ქეცბაია კ. რელიგიის სოციოლოგია, გამ. „უნივერსალი“, თბ., 2013;
6. ხასაია ზ. საქართველო და დასავლური კულტურა, კრებული „ფილოსოფია, მეცნიერება, რელიგია“, (რედ. ი. კალანდია, კ. ქეცბაია), გამ. „უნივერსალი“, თბ., 2012;
7. Бём-Баверк О. Апология Вернера Зомбарта // Критика теории Маркса. Челябинск. 2002;
8. Вебер М. Избранные произведения, М., 1990;
9. Зомбарт В. Буржуа: этюды по истории духовного развития современного экономического человека; Евреи и хозяйственная жизнь, М., 2004;
10. Зомбарт В. Роль евреев в развитии капитализма (ინტერნეტ ვერსია);
11. Отец Александр Мень отвечает на вопросы, М., 2008;
12. Харрисон Л. Зависимост экономики от религий, (ინტერნეტ ვერსია).

**პროლუქსის საექსპორტო  
პოტენციალის ინლექსის განსაზღვრა**

**გიორგი ღაღანიძე**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია საგარეო სავაჭრო ბალანსის საღდოს გაუმჯობესების გარეშე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, როგორც საექსპორტო პოტენციალის განუხრელი ზრდა, ასევე გარკვეული ზომით იმპორტჩანაცვლება. საექსპორტო პოტენციალის განუხრელი ზრდა დამოკიდებულია ექსპორტის ხელშემწყობ ღონისძიებებზე. შესაბამისად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ამ ღონისძიებების მოქმედების არეალი, მისი კონკრეტული ინსტრუმენტები და რასაკვირველია, უნდა გაითვალისწინოს მათი ეფექტიანობის განმსაზღვრელი პირობები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს პრიორიტეტები, რომელთა რაოდენობრივ გაზომვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნებისმიერი გადაწყვეტილება ამა თუ იმ დარგის ან კონკრეტული საწარმოების მხარდაჭერის შესახებ, უნდა ეფუძნებოდეს კარგად გაანგარიშებულ და გამჭვირვალე რაოდენობრივ მაჩვენებლებს. იმპორტჩანაცვლების შემთხვევაში, სავსებით საკმარისია ადგილობრივმა პროდუქციამ ისეთივე ხარისხობრივი პარამეტრების პირობებში მომხმარებელს შესთავაზოს უფრო იაფი ალტერნატივა. ამდენად, ამოცანა დაიყვანება იგივე ხარისხობრივი პარამეტრების მიღწევის ტექნიკურ ასპექტებზე და ამავდროულად ამ

პროდუქციის უფრო იაფად წარმოების შესაძლებლობებზე. გაცილებით უფრო რთულადაა საქმე ექსპორტის პოტენციალის განსაზღვრისას. მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ ის, რისი ექსპორტირებაც უკვე ხდება, არამედ ისიც, რისი გამოშვებაც პრინციპში შესაძლებელია. ექსპორტის სტრატეგიის ფორმირებისათვის აუცილებელია მთელი რიგი დაშვებების და შეზღუდვების შემოღება, რაც გაამარტივებს სტრატეგიის ფორმირებას. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ის პროდუქცია, რომელშიც საქართველოს გააჩნია კონკურენტული უპირატესობა. სამწუხაროდ, მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ ის პროდუქცია, რომლის ექსპორტირება უკვე ხორციელდება, ანუ საფუძვლად იქნება ადებული გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობის ან ლა-ფაიეს ინდექსები. ამ პრობლემის გადაჭრის გზას წარმოადგენს პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ინდექსის შემოღება. ამ შემთხვევაში, განხილული იქნება ასევე ის პროდუქცია, რომელიც არ იწარმოება საქართველოში მოცემული მომენტისათვის, თუმცა მისი წარმოება და ექსპორტირება შესაძლებელია. მეორე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსოფლიო ბაზრის განვითარების ტენდენციები, კერძოდ, მსოფლიო იმპორტის განვითარების ტენდენციები და მესამე - რეგიონული თავისებურებები. ასევე, მხედველობაშია მისაღები სხვადასხვა ღონისძიების გატარების დროითი პერიოდები. შესაბამისად, დასაშვებია საექსპორტო პოტენციალის ზრდის მოკლევადიანი (ტაქტიკური), საშუალოვადიანი და გრძელვადიანი (სტრატეგიული) მიმართულებების გამოყოფა.

მოკლევადიან ამოცანებში შედის მესამე ქვეყნის შუამავლების ჩანაცვლება, როდესაც ქართული პროდუქცია საექსპორტოა. ამ ხერხს საკმაოდ კარგად იყენებენ ძლიერი სავაჭრო-საშუამავლო ფირმები, რომელთა მოქმედების ლოგიკა საკმაოდ მარტივია - ამ ფირმების საერთაშორისო ავტორიტეტი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ქართველი

მწარმოებლების და ამდენად მათთვის ქართული პროდუქციის რეალიზაცია უფრო მარტივია. სხვა სავაჭრო-საშუამავლო ფირმების ჩანაცვლება უნდა მოხდეს, პირველ ყოვლისა, ქართული ანალოგიური სტრუქტურების მეშვეობით. საექსპორტო პოტენციალის თვალსაზრისით კი, საქართველოში შექმნილი და მესამე ქვეყნებში გაყიდული პროდუქცია უნდა შეფასდეს მესამე ქვეყანაში რეალიზაციის ფასით და ფასთა სხვაობა დაემატოს არსებულ ექსპორტს. ასევე უნდა განისაზღვროს რექსპორტის ზრდის შესაძლებლობები. ექსპერტული შეფასებების საფუძველზე ეს შეადგენს არსებული ექსპორტის 15-20%-ს და წარმოადგენს საექსპორტო პოტენციალის ამოღების უახლოეს და ამავდროულად ყველაზე უფრო მარტივად ასამოქმედებელ რეზერვს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი მომენტი: ქართველი ექსპორტიორების ფინანსური პრობლემები (ძირითადად სამუშაო კაპიტალის ნაკლებობა), შუამავლები სარგებლობენ და ძალზე დაბალი ფასებით, ხშირ შემთხვევაში შეტანილი ნედლეულის გადამუშავების ღირებულებით, ხელში იგდებენ საექსპორტო პროდუქციას და თვითონ ყოდიან მესამე ქვეყნებში. სავაჭრო-საშუამავლო სამამულო ფირმების ფორმირება მკვეთრად შეცვლიდა ამ სურათს და გარდა სხვა უპირატესობებისა, გაუმარტივებდა ქართველ ექსპორტიორებს მუშაობას – ჩამოაცილებდა რა მათ მწარმოებლისათვის უჩვეულო ბაზრის შესწავლისა და მისი კვლევის ამოცანებს.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ნედლეულიდან გადამუშავებულ, ანუ მაღალი დამატებული ღირებულების პროდუქციის ექსპორტზე გადასვლა. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ბოლო წლების ექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი პროდუქცია - თხილი. დაუმტკრელი და დამტკრეული თხილის რეალიზაცია იძლევა ფასებში დაახლოებით 2-ჯერ სხვაობას. ანალოგიურად შესაძლებელია ნებისმიერ სხვა საფეხურზე, მაგალითად მოხალეული თხილის, თხილის ზეთის, ეთერზეთის და ა.შ. ექსპორტზე გადასვლა.

ამ ამოცანის გადაწყვეტა უფრო რთულია და ამაღროულად მოითხოვს უფრო ხანგრძლივ დროს. აუცილებელია ინვესტიციების განხორციელება ამ ამოცანის გადასაწყვეტად. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გადამამუშავებელი სექტორის უფრო მაღალი მიმზიდველობა და ამით ხელი შეუწყოს ინვესტირების პროცესს. არაა აუცილებელი მხოლოდ გარე ინვესტიციებზე ორიენტირება, რაც ერთი პერიოდი გამოცხადებული იყო როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, საინვესტიციო გარემო ზოგადად უნდა იყოს მიმზიდველი მიუხედავად ინვესტორის ქვეყნისა.

მესამე მიმართულება ყველაზე რთულ და შრომატევად სამუშაოებს შეეხება. უნდა განისაზღვროს თუ რა პროდუქცია ისარგებლებს მაღალი მოთხოვნით დროის საკმაოდ დიდ პერსპექტივაში - 10-15 წელი და ამის შესაბამისად მოხდეს ყველა სახეობის ეკონომიკური ბერკეტის ამოქმედება. თუ მოსალოდნელი მაღალი მოთხოვნის პროდუქციის პროგნოზირება რთული, მაგრამ მაინც გადაწყვეტადი ამოცანაა, გაცილებით უფრო რთულია განისაზღვროს რაოდენ შესაძლებელია ამ პროდუქციის საქართველოში წარმოება კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნებით. ასევე, ხაზი უნდა გაესვას, რომ წინა შემთხვევიდან განსხვავებით, აქ დიდი მოცულობის საგარეო ინვესტიციების გარეშე ამოცანის გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ დამამუშავებელ მრეწველობაში დიდი საგარეო ინვესტიციები ხორციელდება ორ შემთხვევაში: პირველი, როდესაც მოცემული ქვეყნის შიგა ბაზარი ძალზე ტევადია, მაგალითად, რუსეთის ფედერაცია, ან როდესაც მოცემულ ქვეყანაში არსებობს რომელიმე აუცილებელი რესურსის იაფად გამოყენების შესაძლებლობა. აქ იგულისხმება, როგორც მატერიალური რესურსები, ასევე მუშაძალის სიაფე.

XXI საუკუნე აყალიბებს თვისებრივად ახალ ეკონომიკურ მოდელს, რომელშიც ფუძემდებლურ პრინციპებს ემატე-

ბა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა, არა მხოლოდ წარმოების, არამედ ასევე გაყიდვის ეტაპზე. ელექტრონული ვაჭრობა განვითარებულ ქვეყნებს ართმევს მყიდველზე სწრაფი წვდომის უპირატესობებს და თანაბარ პირობებში აყენებს სხვადასხვა მწარმოებელს. პროდუქციასთან ფიზიკური კონტაქტის გარეშე მწარმოებლები თანაბარ პირობებში დგებიან და კიდევ უფრო ამძფრებენ ისედაც მწვავე კონკურენციას.

საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრა საფუძვლად ედება ექსპორტის განვითარების სტრატეგიის ფორმირებას და ამავდროულად ხელს უწყობს ამ უკანასკნელის ზრდას. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი მიმართული უნდა იყოს იმ ბაზრებზე, რომელთა მოთხოვნის დაკმაყოფილება რეალურია მოცემული ქვეყნისათვის. ბაზრის აბსოლუტური სიდიდე მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი პარამეტრია, რომელიც შეუძლებელია საფუძვლად დაედოს სტრატეგიის განსაზღვრას. ბაზრის სიდიდე უნდა განიხილებოდეს ისეთ პარამეტრებთან ერთად, როგორცაა ზრდის ტემპი, გაჯერების ზომა, ბაზრის საიმედოობა და სხვა. რუსეთის ფედერაციის ბაზარი არა მხოლოდ ტრადიციულია, არამედ საკმაოდ ტევადიც, მაგრამ ექსპორტის წილი ამ ბაზარზე მცირდებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ ემბარგოს გამოცხადებამდე. მოვლენათა სიდრმისეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველ ექსპორტიორთა გადანაცვლება დასავლეთ ევროპული ბაზრებისაკენ აბსოლუტურად სამართლიანია. რუსეთის ბაზარს აქვს უდიდესი ნაკლი - არასტაბილურობა, 1998 წლის ფინანსურმა კრიზისმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა ბევრ ქართველ ექსპორტიორს და ხშირ შემთხვევაში საბედისწერო აღმოჩნდა მათი ბიზნესისათვის. ამ ბაზარზე ძალზე მაღალია სახელმწიფოს ზეგავლენა, საკმარისია ერთმა არასასურველმა განცხადებამ გაიჟღეროს და რუსული იმპორტიორი ფირმები პრობლემების თავიდან ასაცილებლად მასობრივ უარს ამბობენ ქართულ პროდუქციაზე. ასევე ძალზე მაღა-

ლია ამ ბაზარზე პოლიტიკური რისკები და ეკონომიკური კავშირები ხშირ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტი. ამის ნათელი მაგალითია 2006 წელს გამოცხადებული ემბარგო ქართული პროდუქციის ექსპორტზე. ექსპორტიორი, რომელიც ისედაც გაზრდილ რისკთან შეგუებულია, ეძებს ნაკლებად რისკიან ბაზრებს და სწორედ მათზე ახდენს ძალისხმევას კონცენტრირებას. ამას ემატება ექსპორტის დაკრედიტება/დაზღვევის თანამედროვე სისტემის არ არსებობა, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეძლებდა რისკების დაზღვევას.

ბაზრის ზომის, ზრდის ტემპის, სტაბილურობის ერთიანი შეფასებით კრიტერიუმის შერჩევა არ წარმოადგენს დიდ სირთულეს და ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ცნობილია ბაზართა რანჟირების მექანიზმით. ძალზე მნიშვნელოვანია მსოფლიო იმპორტის გაანალიზება და იმ დარგების ან პროდუქციის ჯგუფების გამოყოფა, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპი. ეს ამოცანაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე საკმაოდ ადვილად დასაძლევია, შესაძლებელია არა მხოლოდ მსოფლიო, არამედ რეგიონული მაჩვენებლების ანალიზი და რეგიონული პრიორიტეტების გამოყოფა. რეგიონული პრიორიტეტების ანალიზის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მსოფლიო ეკონომიკური პროცესების გლობალიზაცია, რაც ეკონომიკური განვითარების ამ სტადიაზე გადამწყვეტი მიმართულებაა და მისი რეგიონული ასპექტების გამოვლენა უმნიშვნელოვანესი საკითხია. გლობალიზაციის რეგიონულ ასპექტებზე მსჯელობისას ალბათ, ყველაზე სწორია განვიხილოთ ევროკავშირის მოდელი, სადაც ქვეყნებს შორის ურთიერთ შეღავათები ორგანულად ერწყმის ევრო კავშირის ერთიანი ეკონომიკური სივრცის დაცვის ამოცანას. პრაქტიკულად ევროკავშირის ქვეყნები თავიანთ დაცულ ბაზარზე მუშაობენ და სწორედ ესაა მათი წარმატების საწინდარი.[1]. უაღრესად ტევადი ბაზარი ევ-



როკავშირის ქვეყნებს საშუალებას აძლევს გაძლიერდნენ ამ ბაზარზე და შემდგომ მიმართონ საგარეო ეკონომიკურ ექსპანსიას. ეკონომიკურ ლიტერატურაში, ექსპორტის ზრდის ამ მოდელს უწოდებენ “უპსაღას მოდელს”. ეს მოდელი საქართველოსათვის პრაქტიკული თვალსაზრისით გამოუსადეგარია, ვინაიდან არ არსებობს ობიექტური წინაპირობები ამგვარი გაერთიანების ფორმირებისათვის. ამდენად, შესაძლებელია მხოლოდ სწრაფვა ევროკავშირის ბაზრისაკენ, რაც აუცილებლად გულისხმობს სახსრებით მკაფიო პოლიტიკურ პრიორიტეტებს. მდგომარეობას ართულებს ტრადიციული ბაზრებისაკენ ინერციული მიდრეკილება, რაც აიხსნება ამ ბაზრების არა მხოლოდ დეტალური ცოდნით, არამედ წლების განმავლობაში დაგროვილი უზარმაზარი გამოცდილებით. თუმცა, აქაც ვაწყდებით პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემას, რომელიც სამომავლოდ კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს მიიღებს.

საბოლოო ანგარიშით, აუცილებელია საექსპორტო პოტენციალის შეფასების გარკვეული მოდელის შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს მეტ-ნაკლები სიზუსტით ვივარაუდოთ ექსპორტის შემდგომი განვითარების ტენდენციები. თავისთავად ცხადია, აუცილებელია გარკვეული შეზღუდვების სისტემის ფორმირება, რაც საშუალებას მოგვცემს აღვწეროთ საექსპორტო პოტენციალის მდგომარეობა. რა დაშვებები უნდა გავითვალისწინოთ მოდელში? - პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს პროდუქციის ის რაოდენობა, რაც შეადგენს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის საფუძველს. თავიდანვე აღსანიშნავია, რომ საექსპორტო პოტენციალის ზოგადი შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც საექსპორტო პოტენციალი გააჩნია ყველაფერს, რაც კი იყიდება მსოფლიო ბაზარზე. ამდენად, ეს მიდგომა უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის პრიორიტეტების ნათლად განსაზღვრისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი მწარმოებლების მიერ უცხოელ შუამავლებზე უარის თქმა ან

ქართული სავაჭრო კომპანიების გამოყენება და რეექსპორტის ოპერაციების ზრდა, ექსპორტის მოცულობას გაზრდის 15-20%-ით, რაც აუცილებელია როგორც პირველი ნაბიჯი. ასევე აუცილებელია ნედლეულიდან მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციაზე გადასვლა, რაც იძლევა სხვაობას 40-50%-ის ფარგლებში. მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციაზე გადასვლა, თავის მხრივ, მოითხოვს ინვესტიციებს საბრუნავ სახსრებში, კერძოდ შეფუთვის, დიზაინის და ა.შ. გაუმჯობესებას. ამის ნათელი მაგალითია ღვინის ექსპორტი. ქართველი მეღვინეები საკმაოდ სწრაფად გადავიდნენ თანამედროვე დიზაინის ბოთლებზე გადასვლა, გააუმჯობესეს ეტიკეტის დიზაინი, მოახდინეს ინვესტირება ახალ ტექნოლოგიებში. ბოლო წლების განმავლობაში ღვინის ექსპორტის განუხრელი ზრდა ევროკავშირში ადასტურებს გამოთქმული მოსაზრების სისწორეს [2].

მეტად მნიშვნელოვნად გვესახება საექსპორტო პოტენციალის ინდექსის (სპი) შემოღება. სპი აღწერს ამა თუ იმ პროდუქციის კონკრეტულ ბაზარზე რეალიზაციის დონეს და საშუალებას იძლევა ობიექტურად განისაზღვროს დროის მოკლე პერიოდებში საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად მაღალი რეალიზაციის შესაძლებლობები. რესურსებით (მათ შორის სავარგულო მიწებით) ღარიბი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო ასეთ მიდგომას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა ასევე შემდეგი უმნიშვნელოვანესი დაშვებების დაფიქსირება. სპი აღწერს მხოლოდ ერთი გარკვეული პროდუქციის ან ერთმანეთთან ახლოს მდგომი პროდუქტების შესაძლებლობებს ერთ რომელიმე ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ თუ სახელმწიფოთა საბაჟო კანონმდებლობა, ფასები, იმპორტის რეგულირება ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ შესაძლებელია ინდექსის გაანგარიშება რეგიონული ჭრილით, მაგალითად ევროკავშირი ან დსთ, ინდექსი საშუალებას გვაძლევს მეტ ნალებად მკაფიო ორიენტირი ავიღოთ და დროის მოკლე პერიოდებისათვის შევაფასოთ კონკრე-

ტულ მიზნობრივ ბაზარზე მიღწეული შედეგები. მსგავსი ინდექსების გამოყენება საკმაოდ გავრცელებული და ფართოდაა აღიარებული მათი მნიშვნელობა. ინდექსი შედგება რვა მაჩვენებლისაგან, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ექსპორტისას. თითოეულ მაჩვენებელს მინიჭებული აქვს წონა საერთო ინდექსში, ხოლო წონის განსაზღვრა შესაძლებელია ექსპერტული შეფასებით 0-დან 5-მდე.

საექსპორტო პოტენციალის ინდექსი:

1. ქვეყნის შესახებ ინფორმირებულობის დონე უშუალო მყიდველებში – 10 %;
2. პროდუქციის ფარდობითი უპირატესობა – 20 %;
3. ექსპორტის ქვეყანაში არსებული ექსპორტის მხარდამჭერი კანონმდებლობა – 10%;
4. ექსპორტიორთა ფინანსური მხარდაჭერა – 10%;
5. ლოგისტიკური მდგომარეობა – 10%;
6. იმპორტის ქვეყანასთან მოქმედი სავაჭრო რეჟიმი – 10%;
7. იმპორტის ქვეყანაში მომქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა – 20 %;
8. ექსპორტიორის ქვეყანაში ინვესტიციების დაცვა – 10%;

თითოეული მაჩვენებელი მოითხოვს ცალკე დასაბუთებას. პირველი მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლისათვის საქართველო გაიგივებულია ყოფილ საბჭოთა კავშირთან და ინერციით რუსეთთან, ან აშშ ერთ-ერთ შტატთან. ასევე მხედველობაშია მისაღები უშუალო მომხმარებლების აზრი. შევეცდებით უფრო განვავრცოთ ეს დებულება. დაგუშვით ქართული ღვინო იყიდება გერმანულ სუპერმარკეტში, მაშინ უშუალო მყიდველია მომხმარებელი და მათი გამოკითხვა ძალზე სავალლო შედეგებს მოგვცემს. პრინციპულად იცვლება ვითარება თუ კომპანია უკავშირდება სპეციალიზებულ ღვინის იმპორტიორს, სადაც ინფორმირებულობის დონე ქართულ ღვინოზე ძალზე მაღა-

ლია და ამდენად მაჩვენებლის მნიშვნელობაც შეიცვლება. ყოველად შეუძლებელია სპი გავზომოთ პროდუქტზე ბაზრისაგან მისი მოწყვეტი. ამის ბრწყინვალე დასტურია იგივე ღვინო დსთ სივრცეში, სლაც ინფორმირებულობის დონე ძალზე მაღალია. საყურადღებოა სხვა ფაქტორებიც, კერძოდ, იგივე ღვინის მაგალითზე მსჯელობისას გაუმართლებელი იქნება მაჩვენებელი გაიზომოს ევროკავშირის მასშტაბით. ამ შემთხვევაში ერთად აღმოჩნდება ტრადიციული ღვინის ქვეყნები და სკანდინავიის სახელმწიფოები და ცხადია, ინფორმირებულობის დონე განსხვავებული იქნება. სიტუაცია პრინციპულად იცვლება, თუ სპი უნდა შეფასდეს თხილზე, სადაც ყველა მომხმარებელი ერთი და იმავე მდგომარეობაშია ჩაყენებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ მაჩვენებლის გაზომვა პრინციპში ძალზე მარტივია და ადვილი შესაძლებელია ამ შემთხვევაში ექსპერტთა შეფასების გარეშე მისი დადგენა.

- ინფორმირებულობის დონე შესაძლებელია გაავზომოთ შემდეგნაირად: მსოფლიოში აღიარებული ბრენდი – 5 ქულა; მოცემულ ბაზარზე ცნობადი ბრენდი – 4 ქულა; მოცემულ ბაზარზე ბრენდის ცნობადობა მომხმარებელთა გარკვეულ ჯგუფებში (ასაკობრივი, ეთნიკური) მაღალია – 3 ქულა; ბრენდის შესახებ ინფორმაცია აქვს მომხმარებელთა მინიმუმ 10%-ს – 2 ქულა; ბრენდი იციან მხოლოდ სპეციალისტებულმა იმპორტიორებმა – 1 ქულა.

- პროდუქციის ფარდობითი უპირატესობის მაჩვენებელი, ძალზე კომპლექსურია და მოიცავს სხვადასხვა ელემენტს. ესაა არა მხოლოდ სტანდარტული: ფასი/ხარისხი შეფარდება, არამედ გაცილებით უფრო კომპლექსური მაჩვენებლები. ექსპორტის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქონელმოძრაობის არხის შერჩევას, იმპორტიორი ქვეყნის ვაჭრობის სისტემას და ტრადიციებს, მოგებისა და რისკის მაჩვენებლებს. იმპორტიორი არ იყიდის მომხმარებლისათვის უცხო ქვეყნის პროდუქციას, თუნდაც ეს პროდუქ-

ცია მას ძალზე მაღალი მოგების ნორმის მიღების შესაძლებლობას აძლევდეს, ვინაიდან ასევე მაღალია ამ პროდუქციის საერთოდ გაყიდვის რისკი. სტაბილურობა თანამედროვე ბიზნესის უმთავრეს პრიორიტეტადაა აღიარებული და ამდენად სტაბილურობის ფასად მაღალი რისკი პრაქტიკულად მიუღებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პროდუქციას მთელ რიგ შემთხვევაში, რასაკვირველია, უფრო დაბალი ფასი აქვს, მაგრამ არა იმდენად დაბალი, რომ ეს სხვაობა ფარავდეს იმპორტიორის რისკს. ძალზე მნიშვნელოვანია ხარისხის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატები, რითაც, სამწუხაროდ, ქართველი მწარმოებლები იშვიათად თუ დაიტრახებენ, ამდენად ჩნდება არც თუ უსაფუძვლო ეჭვი, აქვს თუ არა პროდუქციას ის ხარისხობრივი პარამეტრები, რაც მას მიეწერება და თუ აქვს, როგორ შეიძლება ამის დადასტურება. ფარდობითი უპირატესობა შესაძლებელია შევაფასოთ შემდეგნაირად: გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობის (გკუ) მიხედვით პროდუქცია შედის მსოფლიოს 10 ლიდერში – 5 ქულა; გკუ-ს მიხედვით, პროდუქცია საუკეთესოა საქართველოში – 4 ქულა; გკუ-ს მიხედვით, პროდუქცია შედის საქართველოში 10 ლიდერ პროდუქტში – 3 ქულა; იგივე 20 ლიდერ პროდუქტში – 2 ქულა; პროდუქცია იწარმოება საქართველოში – 1 ქულა.

- ქვეყანაში არსებული საექსპორტო კანონმდებლობა, ერთი მხრივ, დამატებით სტიმულს უნდა უქმნიდეს ექსპორტიორს, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის საექსპორტო სექტორს მიზიდველს ხდიდეს ინვესტორისათვის. ამდენად, კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს ექსპორტის, როგორც მუდმივი ბიზნესის განხილვას და არა ცალკეული ოპერაციის ჩატარებას. ეს მაჩვენებელი შესაძლებელია გავზომოთ შემდეგნაირად: ექსპორტიორი არ იხდის დღგ-ს, მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია მოგების გადასახადიდან – 5 ქულა; არ იხდის დღგ-ს, მოგება იბეგრება რეგრესიული გადასახადით – 4 ქულა; განთავისუფლებულია დღგ-

გან – 3 ქულა; იმპორტირებულ მასალებზე, რაც გამოიყენება საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში, საბაჟო განაკვეთი 0-განია; იმპორტირებულ პროდუქციაზე, რომელიც გამოიყენება საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში, საბაჟო გადასახადიდან განთავისუფლებულია – 1 ქულა.

ექსპორტიორთა ფინანსური მხარდაჭერა ექსპორტის წახალისების კვლავ ძლიერ ბერკეტად რჩება. თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა, რასაკვირველია, უარს ამბობს ექსპორტის პირდაპირ სუბსიდირებაზე, მაგრამ არსებობს სუბსიდირების ფარული გზები. ექსპორტიორთა დაბალპროცენტიანი კრედიტებით უზრუნველყოფა, ექსპორტის დაზღვევის ფართომასშტაბიანი სისტემების ფორმირება ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი. თუ ექსპორტიორთა ფინანსური მხარდაჭერა წლების განმავლობაში ითვლებოდა ექსპორტის სტიმულირების ყველაზე მძლავრ ბერკეტად, ამჟამად ექსპორტიორთა საინფორმაციო მომსახურება ხდება კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ძირითადი საშუალება. ვერანაირი საფინანსო მხარდაჭერა ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე არასწორი სტრატეგიით შესვლის, ანდა დროში დაგვიანების მიზეზით გამოწვეული პრობლემების გადაწყვეტას. ამდენად, როდესაც ვმსჯელობთ საფინანსო მხარდაჭერაზე, იგულისხმება მხარდაჭერა საინფორმაციო უზრუნველყოფის საფუძველზე და არა მისნაცვლად. ამ საკითხში ჩამოყალიბებულია მთელი რიგი პრინციპული მიდგომები, რომლებიც პრაქტიკულად მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის თავისებურებების გათვალისწინებას მოითხოვს. თუ ექსპორტის სასაქონლო ჭრილში მაღალი წილითაა წარმოდგენილი პროდუქცია, რომლის ანაზღაურება მსოფლიო პრაქტიკაში ხდება 30 ან 60 დღის შემდეგ მიწოდებიდან, რასაკვირველია, აქცენტი უნდა გადავიდეს ექსპორტიორის დაზღვევის სისტემაზე. ექსპორტიორს უნდა შეეძლოს თამამად წავიდეს გადახდის ასეთ გადაგადებაზე დაზღვევის სისტემით მეშვე-

ობით. სასაქონლო ჭრილში ფასისადმი ძალზე მგრძობიარე, დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების მაღალი წილის მქონე პროდუქციის შემთხვევაში აქცენტი გადადის დაკრედიტებაზე. ანუ ექსპორტიორისათვის არა მხოლოდ მოცემულ სახელმწიფოში უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთის, არამედ იმაზე უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთის დადგენაში, რომელიც აქვს მის ძირითად კონკურენტებს. ეს მეტად პრინციპული საკითხია, რომელიც ხშირად ხდება კამათის საგანი. არის მოსაზრება ექსპორტიორისათვის დადგინდეს საპროცენტო განაკვეთი, არა მოცემულ ქვეყანაში მომქმედ საბაზრო განაკვეთებზე უფრო დაბლა, არამედ ისეთ საპროცენტო განაკვეთებზე რომელიც ამ პროდუქციას კონკურენტუნარიანს გახდის სხვა არსებულ ექსპორტიორებთან შედარებით. შესაძლებელია შემდეგი შეფასებების გამოყენება: არსებობს ექსპორტიორთათვის დაბალ-პროცენტიანი კრედიტები ან საკრედიტო პროცენტის სუბსიდირება – 5 ქულა; არსებობს ექსპორტიორთა ფინანსური მხარდაჭერის სპეციალური სქემები (გამოფენა-ბაზრობებზე მისიების დაფინანსება, საგაჭრო მისიების ორგანიზება, კონკრეტულ ბაზრებზე კვლევების დაფინანსება, ექსპორტიორთა უფასო ტრენინგების ჩატარება ცალკეულ საკითხებზე) – 4 ქულა; არსებობს იგივე სქემა, რომელიც მუშაობს გარკვეული შეზღუდვებით (შეზღუდვები შეიძლება ეხებოდეს გარკვეულ სასაქონლო ჯგუფებს ან გარკვეულ მიზნობრივ ბაზრებს) – 3 ქულა; კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა – 2 ქულა; მოქმედებს ექსპორტიორთა მხარდაჭერის დროსა და თანხებში შეზღუდული სქემა, რაც ითვალისწინებს, მხოლოდ სპეციფიური ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებას – 1 ქულა.

ლოგისტიკის მდგომარეობის შესახებ მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები, არა მათი ზოგადად არსებობა, არამედ ექსპორტიორთათვის მათი ხელმისაწვდომობა. მიუხედავად გადამზიდავთა სიმრავლისა (როგორც ადგილო-



ბრივი, ასევე რეზიდენტი კომპანიები) გადაზიდვის ტარიფები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. პრობლემის მოგვარების ძირითად მიმართულებად მიჩნეული უნდა იქნეს სახელმწიფო უწყებების მკაცრი ადმინისტრირება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს რეალური კონკურენტული გარემო. გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა ექსპორტიორთა ასოციაციის ეგიდით ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება კონკრეტულ გადამზიდავებთან. ამ გადაწყვეტილების პრაქტიკული რეალიზაცია, განუვითარებელი საკანონმდებლო ბაზის პირობებში, საკმაოდ რთულია, გარდა ამისა თვით გადაწყვეტილება თავის თავში მოიცავს მონოპოლიზმის საფრთხეს და საბოლოო ანგარიშით დროის გრძელვადიანი მონაკვეთისათვის საკმაოდ სარისკოა. ალბათ, ასევე აუცილებელია საექსპორტო ტვირთის გადაზიდვისას გადამზიდავი განთავისუფლდეს დღგ-ს გადახდისაგან, რაც ჯდება წახალისების საერთო ღონისძიებებში და გავლენას იქონიებს საექსპორტო პროდუქციის ფასის შემცირებაზე. აღსანიშნავია, რომ ლოგისტიკური ხასიათის პრობლემები ასევე დაფიქსირდა ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებლის გაანგარიშებაში, სადაც ერთი კონტეინერის საექსპორტო ან საიმპორტო შემთხვევებში განბაჟების ხარჯები (ტერმინალიდან დანიშნულების ადგილამდე მისვლის ან ტერმინალამდე მისვლის ჩათვლით საკმაოდ მაღალია). ამდენად, მნიშვნელოვანია აქაც გვექონდეს შეფასების სისტემა: გადაზიდვა ხორციელდება ერთი სატრანსპორტო საშუალებით, ნებისმიერი დანიშნულების ადგილამდე – 5 ქულა; გადაზიდვა ხორციელდება კომბინირებული სატრანსპორტო საშუალებებით, მაგრამ ერთი გადამზიდავით, ნებისმიერი დანიშნულების ადგილამდე – 4 ქულა, გადაზიდვაში ჩართულია რამდენიმე გადამზიდავი, დანიშნულების ადგილები შეზღუდულია – 3 ქულა; ექსპორტიორი მყიდველს თავაზობს ერთ დანიშნულების ადგილამდე პროდუქციას CIF ფასით – 2 ქულა; ექსპორტიორი მყიდველს თავაზობს პროდუქციას FOB ფასში – 1 ქულა. იმპორტის ქვეყანასთან მოქმედი სავაჭრო რეჟიმი



მნიშვნელოვანი ბერკეტია საექსპორტო პოტენციალის უკეთ რეალიზაციისათვის. შესაძლებელია გამოვიყენოთ შეფასების შემდეგი სისტემა: არსებობს შეთანხმება საბაჟო კავშირზე ან შეუზღუდავი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება – 5 ქულა; თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, გარკვეული შეზღუდვებით - 4 ქულა; არსებობს პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის შესახებ შეთანხმება – 3 ქულა; არსებობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (მსო წევრი ქვეყანა) – 2 ქულა; არ არსებობს არანაირი შეთანხმება და საერთაშორისო ვაჭრობა ხორციელდება ჩვეულებრივი საბაჟო ტარიფებით – 1 ქულა.

იმპორტის ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა, ასევე წარმოადგენს ძალზე სერიოზულ ფაქტორს. მისი ანალიზისას მხედველობაში უნდა მივითოთ ზოგადი ეკონომიკური პროცესები, პირველ რიგში კი, გლობალიზაცია. ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ფორმირება აყალიბებს ერთიან მიდგომებს სტანდარტებთან, თუმცა, ცალკეულ წევრ ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას დამატებითი მოთხოვნები წამოაყენონ. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ტექნიკური ბარიერები გადაიქცა შიგა ბაზრის დაცვის ძირითად ბერკეტად. ამ პრობლემას ნაწილობრივ აგვარებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, მაგრამ რეალურად იმპორტიორისათვის მუდმივად წარმოადგენს ექსპორტიორზე ზეწოლის ბერკეტს. პრობლემა განხილული უნდა იქნეს რეგიონული ჭრილითაც, დსთ სივრცეში ქართველი ექსპორტიორები ნაკლებად აწყდებიან ამ პრობლემას, თუმცა, წევრი ქვეყნების სწრაფვა მსოფლიო სტანდარტებზე გადასვლისაკენ, ადრე თუ გვიან ამ ტრადიციულ ბაზარზეც დაგვიყენებს ამ სირთულეებს. პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა ISO სტანდარტებზე გადასვლა, რაც ავტომატურად მოხსნის იმპორტიორის მიერ ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და გახდება კონკურენტული ბრძოლის მძლავრი ბერკეტი.

- შესაძლებელი შეფასება განხორციელდეს შემდეგი სქემით: საქართველოში მოქმედი ხარისხობრივი პარამეტრები, სრულად შეესაბამება იმპორტის ქვეყანაში მოქმედს და აღიარებულია იმპორტის ქვეყნის ხარისხის მასერტიფიცირებული ორგანოების მიერ – 5 ქულა; ძირითადად შეესაბამება, იმპორტის ქვეყანა აღიარებს ქართული ან საქართველოში მოქმედი ხარისხის მასერტიფიცირებული ორგანოების ხარისხის სერტიფიკატებს – 4 ქულა; საქართველოში მოქმედი ხარისხობრივი პარამეტრები, ნაწილობრივ შეესაბამება იმპორტის ქვეყნის ხარისხობრივ მოთხოვნებს, აუცილებელია ხარისხის სერტიფიცირება იმპორტის ქვეყნის მიერ აღიარებულ ორგანოებში – 3 ქულა; ქართული პროდუქციის ხარისხის სერტიფიცირება უნდა მოხდეს ადგილზე, იმპორტიორის მიერ გამოგზავნილი მასერტიფიცირებული ორგანოს წარმომადგენლების მიერ – 2 ქულა; პროდუქციის სერტიფიცირება უნდა მოხდეს იმპორტის ქვეყანაში მითითებულ მასერტიფიცირებულ ორგანოში – 1 ქულა.

- საექსპორტო პროდუქციის წარმოება დაკავშირებულია სერიოზულ ინვესტიციებთან. შიგა ბაზარზე მომუშავე კომპანიებისაგან განსხვავებით, ექსპორტიორს გაცილებით უფრო ხშირად უწევს ძირითადი ფონდების განახლება, ტექნოლოგიის შეცვლა. ამ საკითხების მოგვარება კი უკავშირდება ინვესტიციების პრობლემას. ამ შემთხვევაში აქცენტი გადადის არა უცხოურ ინვესტიციებზე, არამედ ზოგადად ინვესტიციებზე. შეუძლებელია შეიქმნას ინვესტორისათვის მიმზიდველი კლიმატი, თუ ადგილობრივი მწარმოებელი დაუცველია.

წარმოების არსებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონე განაპირობებს საექსპორტო პროდუქციის წარმოების მიზანშეწონილობას. ხშირ შემთხვევაში ელემენტარული ტექნიკური ოპერაციების განხორციელება საკმაო სირთულეს წარმოადგენს და აქცენტი გადატანილია მუშაძალის სიიაფეზე.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო და უფრო ამცირებს ამ ფაქტორის მნიშვნელობას და ამდენად ფარდობითი უპირატესობის მიღწევა ძნელი ხდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის წარმოება საკამოდ რთულია და ამდენად ინვესტორთა დაცვის მექანიზმების არსებობა უნდა განვიხილოთ. როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი საექსპორტო პოტენციალის შეფასებაში. კერძოდ, შესაძლებელია ინვესტორთა დაცვა განვიხილოთ შემდეგი შეფასებების მიხედვით: ქვეყანაში მოქმედებს ინვესტორთა დაცვის სპეციალური საგარანტიო სისტემა – 5 ქულა; შესაძლებელია გარკვეული რისკების დაზღვევა – 4 ქულა; ინვესტორთა დაცვა ხორციელდება საერთო საკანონმდებლო საფუძველზე – 3 ქულა; არსებობს სამეწარმეო დაგების განხილვის სპეციალური ორგანო (არბიტრაჟი) – 2 ქულა; სამეწარმეო დაგების განხილვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ეფექტიანია – 1 ქულა. ჩამოთვლილი პარამეტრებით გაანგარიშების შემდეგ მიღებული სიდიდე გვიჩვენებს მოცემულ ქვეყანაში ამა თუ იმ პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს. დიფერენცირებული მიდგომა ბაზრებისადმი, რასაკვირველია, გაცილებით უფრო რთულია, მაგრამ ამავედროულად მიღებული რეზულტატებიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ვინაიდან სახელმწიფოს ექნება ნათელი წარმოდგენა თუ კონკრეტულად რა მიმართულებით და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ მოხდეს არსებული საექსპორტო პოტენციალის, ერთი მხრივ, უფრო ეფექტიანი რეალიზაცია, მეორე მხრივ, საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

## Determining the production export potential index

G. Gaganidze

In the Scientific article Author analyzed the competitiveness of Georgian export products, different aspects that influences the export potential. Seeking the strong Government support for increasing export activities, easily measured indicators needed. Thus the export potential index of the production could serve as the objective indicator in order to find out the most promising export products.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კრისტოფ კორდონიე, ევროკავშირის საექსპორტო ბაზრების მდგომარეობა ქართული აგრო პროდუქციის კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციისათვის, სამუშაო მასალები, 2010;
2. Vincentz Volkhart, “Trade Policy and Georgian Exports”, GEPLAC, *Georgian Economic Trends*, October 2008;
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია, <http://www.geostat.ge>
4. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, ITC, [www.intracen.org](http://www.intracen.org)
5. ფაოსტატი, <http://faostat.fao.org>

**საქართველოს ეკონომიკური  
კონკურენტუნარიანობის ანალიზი  
და პერსპექტივები**

**მანანა ჯანაია**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

უკვე მრავალი ათწლეულია მსოფლიო ეკონომიკა გლობალიზაციის ნიშნებით ხასიათდება. XXI საუკუნე კი განსაკუთრებით გამორჩეულია ამ კუთხით და სულ უფრო ამჭიდროვებს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკას ერთმანეთთან. ამავდროულად ცალკე აღებული თითოეული ქვეყანა მიიღწვის იმისკენ, რომ აწარმოოს ისეთი ხარისხისა და ფასის მატარებელი პროდუქტი, რომელიც კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

პოსტკომუნისტურ სივრცეში არაერთი წარმატებული ქვეყანაა, რომელმაც შეძლო ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკაზე გადაწყობა [8] და შესაბამისად კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. სწორედ ამ მიმართულებით არის სასურველი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაც.

კონკურენტუნარიანობის ცნება მრავალ ფაქტორს აერთიანებს, მათ შორისაა ისეთ საკითხები, როგორიცაა: ა) ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის საჭირო სტაბილურად მაღალი ტემპის მიღწევა და შენარჩუნება; ბ) წარმოების ფაქტორთა მწარმოებლურობა; გ) წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მიღწევა და შენარჩუნება [10]. თუმცა, გარდა ჩამოთვლილი პუნქტებისა, ჩვენი აზრით, არსებობს ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც მთლიანად თუ არა, დიდწილად მაინც განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას:

სტაბილურობა, განათლების დონე, ტექნოლოგიური ბაზა, განვითარებული ინფრასტრუქტურა, კანონის უზენაესობა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და სხვა, რომელთა უზრუნველყოფა, პირველ რიგში, სახელმწიფოს და შემდგომ უკვე თავად ამ ქვეყნის მოსახლეობის გონივრულობაზეა დამოკიდებული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგრესისა, საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ამ მიმართულებით დიდი ხარვეზები შეიმჩნევა და ეს არცაა გასაკვირი სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნისათვის [9, გვ. 3].

ჩვენი აზრით, დღეს არსებულ საერთაშორისო რეიტინგებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსს“, რომელიც კომპლექსურ, მრავალმხრივ რეალურ სურათს იძლევა მსოფლიოს 148 ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ძირითადი მახასიათებლების შესახებ.

რეიტინგის მეთოდოლოგია სულ 119 მონაცემს აერთიანებს კონკურენტუნარიანობის 12 ძირითად ინდიკატორში. მოცემული ინდიკატორები კი თავის მხრივ იძლევა ამა თუ იმ ქვეყნის სრულ სურათს, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეფასებულ იქნეს ეროვნული მთავრობების მცდელობა გააუმჯობესონ თავისი მოსახლეობის ცხოვრების დონე [6].

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო გლობალიზაციის პარალელურად სულ უფრო მეტად აქტუალურია ცალკეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საკითხი, მსოფლიოს ყველა კუთხესა თუ საერთაშორისო გაერთიანებების (მაგ.: ევროკავშირი) დონეზე. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ხვალინდელი კეთილდღეობა დიდწილად დღევანდელ (მაღალ) კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული. მოკლევადიანი პერსპექტივა არ უნდა გადაიფაროს გრძელვადიანი შესაძლებლობების ხარჯზე.

2013-2014 წლების „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით საქართველო 72-ე ადგილზეა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით (93-ე) მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მაჩვენებელია [5]. თუმცა, ისეთი ქვეყნები, როგორცაა აზერბაიჯანი, რუსეთი, ყაზახეთი და კიდევ 68 სხვა ქვეყანა რეიტინგში საქართველოს წინაა. რაც შეეხება კავკასიას, მხოლოდ სომხეთს (79 ადგილი) ვჯობნით.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum) 2005 წლიდან თავის დასკვნებს სწორედ ზემოაღნიშნული ინდექსის მეშვეობით აკეთებს, რადგანაც ის იძლევა ქვეყნის შესაძლებლობების სურათს როგორც მიკრო, ასევე მაკროდონეზე. კონკურენტუნარიანობის კონცეფციაში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მკაფიოდ განისაზღვრება შემოსავლების დონის მდგრადობის შესაძლებლობით. აღნიშნულ ინდექსში ასევე იგულისხმება ერთ-ერთი ცენტრალური ინდიკატორიც - ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეკონომიკის ზრდის პოტენციალის დადგენისას.

გლობალური კონკურენტუნარიანობის უკანასკნელი (2013-2014 წწ) მოხსენების თანახმად, პირველ ათეულში 6 ევროპული, 3 აზიური და 1 ჩრდილოამერიკული ქვეყანაა (იხ. ცხრილი 1). აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების ლიდერი შვეიცარია მყარად ინარჩუნებს თავის ლიდერულ პოზიციებს ბოლო 5 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც 2009 წელს გადაასწრო აშშ-ს. თავად აშშ კი წლიდან წლამდე იცვლის თავის პოზიციებს, თუმცა, პირველ ათეულში მუდმივად არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ათეულში მოხვედრილი 6 ევროპული სახელმწიფოდან მხოლოდ შვეიცარია არაა ევროკავშირის წევრი. რაც შეეხება მეორე ათეულს, აქ უკვე აზიური ქვეყნები ლიდერობენ და თვალსაჩინოა მათი მნიშვნელოვანი პროგრესი ბოლო ბოლო ათწლეულების განმავლობაში [6].



პირველი ათეული ქვეყნების რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (2013-2014 წლები)

ცხრილი 1

1		შვეიცარია
2		სინგაპური
3		ფინეთი
4		გერმანია
5		აშშ
6		შვედეთი
7		ჰონგ კონგი
8		ჰოლანდია
9		იაპონია
10		დიდი ბრიტანეთი

შვეიცარიის დიდი წარმატებები გლობალური კონკურენტუნარიანობის ასპექტით განაპირობა ისეთმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორებმა, როგორცაა: ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის მაღალი დონე (II ადგილი), ბაზრის ეფექტიანობა (II ადგილი), ბიზნესის წარმოების მაღალი კულტურა (II ადგილი), (Innovation, labor market efficiency, sophistication of the business sector). აგრეთვე აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში (V ადგილი), ხოლო მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ, სახელმწიფო და ბიზნესსტრუქტურებს შორის (ე.წ. სამმაგი სპირალის მოდელი), რომელსაც ემატება უმაღლესი კლასის ინფრასტრუქტურა (VI ადგილი), ადგილობრივი ორგანიზაციების შედარებით მაღალი ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე (R&D), მაკროეკონომიკური სტაბილურობა (XI მსოფლიოში), იძლევა იმის გარანტიას, რომ აღნიშნული კვლევები ტრანსფორმირებული იქნება იმ პროცესებსა და პროდუქტებში, რომლებიც მოთხოვნადია



როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე და რომლებსაც გააჩნია მთავრობის მძლავრი მხარდაჭერა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით [6, გვ 11-101, 236-237].

თუმცა, თვით შვეიცარიაშიც კი, ყველაფერი იდეალურად როდია. მაგალითად, მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდით მიღებული შედეგების თანახმად, შვეიცარიის კონფედერაციაში, გლობალური კონკურენტუნარიანობის კუთხით, ყველაზე დიდი პრობლემები (სხვა ქვეყნებთან შედარებით) არის: არაადეკატურად განათლებული მუშაძალა (Inadequately educated workforce), ნაკლებადეფექტიანი სახელმწიფო ბიუროკრატია (Inefficient government bureaucracy), საგადასახადო რეგულაციები (Tax regulations) და შემაკავებელი სამუშაო რეგულაციები (Restrictive labor regulations). იგივე კვლევის თანახმად, მინიმალური პრობლემები შვეიცარიას გააჩნია ჯანდაცვისა (poor public health) და სახელმწიფო სტაბილურობის კუთხით (government instability). რაც შეეხება კორუფციას, შვეიცარიის კონფედერაციაში გამოკითხულთა აზრით, არის ნულოვანი [6, გვ. 236].

განვიხილოთ საქართველოს მაგალითი. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის ტრენდი საქართველოში 1994 წლიდან 2012 წლამდე აღმავალი იყო, გარდა 2008-2009 წლებისა. თუმცა, ზრდის მიუხედავად, ის ყოველთვის უფრო დაბალი იყო, ვიდრე დსთ-ის გასაშუალოებული მაჩვენებელი (ძირითადად ნავთობითა და გაზით მდიდარი ქვეყნების ხარჯზე) [6, 192]. თუმცა, საინტერესოა, რომ საქართველომ 2008-2009 წლების ორმაგი დარტყმა: რუსეთთან ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ამ მხრივ მარტივად გადაიტანა. ჩვენი აზრით, ეს განპირობებული იყო არა საქართველოს ეკონომიკის განსაკუთრებული სიძლიერით, არამედ მეგობარი ქვეყნების მიერ გამოყოფილი მილიარდობით სესხებისა და გრანტების დახმარებით [7], რომელიც ადრე თუ გვიან საქართველოს უკან ექნება დასაბრუნებელი.

ცნობისათვის, ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით: საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2013 წლის 31 მარტის მდგომარეობით 13.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 83.9%-ია, აქედან 4.2 მლრდ დოლარი სამთავრობო სექტორის ვალია (მშპ-ს 26.5%), 500.2 მლნ – ეროვნული ბანკის, 2.4 მლრდ – საბანკო სექტორის, 3.4 მლრდ – სხვა სექტორების და 2.9 მლრდ – კომპანიათა შორისი ვალი [1].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებულ გამოკითხვის თანახმად კონკურენტუნარიანობის მიღწევის შემაფერხებელი ფაქტორები საქართველოში მრავლადაა, რომელთა შორის მთავარია [6, გვ. 192]:

1. ფინანსურ რესურსებთან წვდომა (Access to Financing);
2. არაადეკვატურად განათლებული მუშა ძალა (Inadequately Educated workforce);

3. ღარიბი სამუშაო ეთიკა ეროვნულ მუშა ძალაში (Poor Work Ethic in National labor Force);

4. პოლიტიკური არასტაბილურობა (Policy Instability).

იგივე კვლევის თანახმად ამ მხრივ საქართველოს მინიმალური პრობლემებია:

1. უცხოური ვალუტის რეგულირება (Foreign Currency Regulations);

2. კრიმინალი და ქურდობა (Crime and Theft);

3. ინფლაცია (Inflation);

4. კორუფცია (Corruption).

გარდა მოყვანილი დადებითი და უარყოფითი ფაქტორებისა, ჩვენი აზრით, არის სხვა ფაქტორებიც, რაც საქართველოს კონკურენტუნარიან განვითარებას უშლის ან უწყობს ხელს. კერძოდ, ნეგატიურ ფაქტორებად შეიძლება განვიხილოთ:

1. შემოსავლებისა და ცხოვრების დაბალი დონე;
2. სუსტი ინფრასტრუქტურა და დაბალი ტექნოლოგიური პროგრესი;
3. მაღალი საპროცენტო განაკვეთები;
4. ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა;

5. ეთიკური ბიზნესის წარმოების კულტურის არარსებობა;

6. ქართული პროდუქციის დაბალი ცნობადობა საერთაშორისო ბაზრებზე. [11, გვ. 113-126].

რაც შეეხება პოზიტიურ მომენტებს, ანუ სფეროებს, სადაც საქართველოს კონკურენტუნარიანი გარემო გააჩნია, შემდეგია:

1. დაბალკვალიფიცირებული, თუმცა იაფი მუშახელი;

2. გეოპოლიტიკური მდებარეობა;

3. ლიბერალური სახელმწიფო პოლიტიკა (კონკურენტუნარიანი საგადასახადო კანონმდებლობა, ლიბერალური შრომითი კოდექსი და სავაჭრო პოლიტიკა..).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია, რომ ეკონომიკის მრავალ დარგში საქართველოს უბრალოდ ვერ ექნება უპირატესობა საერთაშორისო ბაზარზე (საბოლოო ანგარიშით, არც ადგილობრივზეც), თუმცა, გარკვეულ სექტორებში მაინც შესაძლებელია საქართველომ შედარებით უპირატესობის ხარჯზე მოიპოვოს გარკვეული ნიშა [2, გვ. 3-20].

კვლევებით დასტურდება, რომ შედარებითი უპირატესობა საქართველოს გააჩნია შემდეგ დარგებში: ენერგეტიკული რესურსები, სოფლის მეურნეობა / კვების მრეწველობა, პიდროენერგეტიკა და ტურიზმი [3, გვ. 76]. ეს სწორედ ის დარგებია, რომლებზეც საქართველომ უნდა აიღოს ორიენტირი, თუმცა, ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მომავალი ვერ იქნება ვერც აგრარული და ვერც ტურისტული სფერო, თუ ქვეყანას აქვს პრეტენზია იყოს მაღალტექნოლოგიური. ამიტომ, საჭიროა ქვეყანაში სხვა დანარჩენთან ერთად, შესაბამისმა ორგანოებმა იზრუნონ და წაახალისონ ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკის მშენებლობა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვცემს შესაძლებლობას როგორც მინიმუმ, არ ჩამოვრჩეთ ჩვენს პარტნიორ (თუ არაპარტნიორ) ქვეყნებს და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიაროთ წინ.

ამ ფონზე, როგორ აფასებს საქართველოში ჩამოყალიბებულ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, თავის უახლეს 2013-2014 წლების ერთობლივ ანგარიშში:

ძირითადი მოთხოვნები - 57-ე ადგილი:

1. ინსტიტუტები (Institutions) - 64-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 69-ე). ის მოიცავს 21 ინდიკატორს, რომლის მიხედვით საქართველოს საუკეთესო - მე-10-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 4-ე) - „მთავრობის რეგულაციების სიმძიმის“ მიხედვით (Burden of Government Regulation), ხოლო ყველაზე სუსტი კი 125-ე - „მინორიტარი აქციონერთა ინტერესების“ დაცვისათვის უჭირავს (Minority Shareholder's Interests);

2. ინფრასტრუქტურა (Infrastructure) - 56 ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 73-ე). მოიცავს 9 ინდიკატორს, რომლის მიხედვით საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია - 35-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 41-ე) „რკინიგზის ინფრასტრუქტურის ხარისხისათვის“ აქვს დათმობილი (Quality of Railroad Infrastructure); ხოლო ყველაზე სუსტი - 109-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 111-ე) „ტერიტორიის ხელმისაწვდომობა ავიახაზებით“ (Available Airline Seat Kilometers);

3. მაკროეკონომიკური გარემო (Macroeconomic Environment) - 61 ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 130-ე). მოიცავს 5 ინდიკატორს. ძლიერი პოზიცია, 38-ე ადგილი - „ბიუჯეტის დაბალანსება, % მშპ“ (Government Budget Balance, % GDP) სუსტი პოზიცია - 98-ე ადგილი - „მთლიანი ნაციონალური დანახოვები, % მშპ“ (Gross National Savings, % GDP);

ეფექტიანობის გაძლიერება (Efficiency Enhancers) - 86-ე ადგილი:

4. ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება (Health and Primary Education) - 70-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 70-ე). მოიცავს 10 ინდიკატორს. წამყვანი პოზიცია ამ მიმართულებით ორია: ა) მალარიის გავლენა ბიზნესზე (Business Impact Malaria) და ბ) მალარიის შემთხვევები (Ma-

laria Cases) - ორივე პირველი; ხოლო ყველაზე ნეგატიური კი ტუბერკულოზის მაღალი მაჩვენებლებისათვის (Tuberculoses Cases) – 103-ე ადგილი.

5. უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება (Higher Education and Training) - 92 ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 90-ე). აერთიანებს 8 ინდიკატორს, რომელშიც წინა წელს საუკეთესო - საშუალო განათლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი (Secondary Education enrollment Rate) გაუარესდა და 59-ე ადგილიდან 80-ეზე გადაინაცვლა. წლევანდელი საუკეთესო მაჩვენებელი კი სკოლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გამო (Internet Access at School) დავიმსახურეთ - 62-ე ადგილი. უკიდურესად ნეგატიური შეფასება კი კვლევებისა და ტრენინგების ხელმისაწვდომობის კუთხით (Availability of Research and Training Services) – 130-ე ადგილია;

6. საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა (Goods Market Efficiency) - 67-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 64-ე). აერთიანებს 16 ინდიკატორს. აღნიშნულ მახასიათებელთა სისტემაში საქართველოს: ა) ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო დღეების ოდენობასა (No. Days Required to Start a Business) და ბ) ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო პროცედურების ოდენობაში (No. Procedures to Start a Business), საკმაოდ მაღალი, შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები უჭირავს. უსუტესი პოზიციებია შემდეგი მიმართულებით: ა) კლიენტის საორიენტაციო ხარისხი (Degree of Customer Orientation) და ბ) სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ღირებულება (Agricultural Policy Cost), შესაბამისად 127-ე და 125 ადგილები;

7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა (Labor Market Efficiency) - 40-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 31-ე). მოიცავს 10 ინდიკატორს, სადაც, საუკეთესო მაჩვენებელი საქართველოს გააჩნია - დასაქმებისა და დათხოვნის პრაქტიკაში - 13-ე პოზიცია (Hiring and Firing Practices), ხოლო ყველაზე ნეგატიური მაჩვენებელი კი არის - ქვეყნის სიძლიერე ტალანტების მოსაზიდად - 105-ე პოზიცია (Country Capacity to Attract Talent);

8. ფინანსური ბაზრის განვითარებულობა (Financial

Market Development) - 75-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 108-ე). მასში გაერთიანებულია 8 ინდიკატორი, საიდანაც იურიდიული უფლებების ინდექსის მიხედვით (Legal Rights Index) ქვეყანას მე-12-ე ადგილი უკავია, ხოლო პოზიციაში - დაფინანსება ადგილობრივი საფონდო ბაზრის მეშვეობით (Financing Through Local Equity Market) კი შარშანდელთან შედარებით ქვეყანამ 1 ადგილით უკან დაიხია და 126-ე ადგილი დაიკავა;

9. ტექნოლოგიური განვითარების დონე (Technological Readiness) - 68-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 98-ე). აერთიანებს 7 ინდიკატორს, რომელშიც საუკეთესო მაჩვენებელი საქართველოს გააჩნია ინტერნეტის სიჩქარეში (კილობიტ/წამი მოსახლეობის ერთ სულზე) (Internet Bandwidth, kb/s per user) - 40-ე პოზიცია, ხოლო ყველაზე უარესი პოზიცია იგივეა, რაც შარშან - ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებელი (Firm-Level Technology Absorption), თუმცა, გარკვეული გაუმჯობესება მაინც შეიმჩნევა - 125-ე პოზიციიდან 117-ზე გადასვლა;

10. ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები (Market Size) - 103-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 107-ე). აერთიანებს 4 ინდიკატორს. ძლიერი (პირობითად) პოზიციაა - ექსპორტის წილი მშპ-ში (Exports as a Percentage of GDP). ყველაზე სუსტი პოზიცია კი არის - უცხოური ბაზრის მასშტაბის ინდექსი (Foreign Market Size Index) - 114 ადგილი (წინა წელს 115);

11. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა (Business Sophistication) - 120-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 111-ე). აერთიანებს 9 ინდიკატორს. მათ შორის კონკურენტუნარიანობის უპირატესობათა ბუნების (Nature of Competitive Advantage) მიხედვით წინა წელს 81-ე ადგილი გვეკავა, წელს კი - 91-ე.

უკან დაიხია აგრეთვე საქართველოს პოზიციებმა ადგილობრივ მომწოდებელთა სიმრავლის მიხედვით (Local Supplier Quantity) და 130-ე ადგილიდან 136-ე ადგილას გადაინაცვლა;

12. ინოვაციები (Innovation) - 126-ე ადგილი (წინა წლის მაჩვენებელი - 125-ე). მოიცავს 7 ინდიკატორს. იძლიერი პოზიციისაა - ყოველ მილიონ მოსახლეზე პატენტების ეფექტიანობა (Utility Patents Per Million Population) და თანამედროვე ტექნოლოგიების სახელმწიფო შესყიდვები (Govt. Procurement of Advanced Tech Products) – ორივე 62-ე ადგილი. ყველაზე სუსტი პოზიცია კი - თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და ინდუსტრიას შორის კვლევებსა და განვითარებაში (University-Industry Collaboration in RD) – 132 ადგილი (წინა წელს 134-ე ადგილი).

ზემოთ ჩამოთვლილი შედეგების მიხედვით რთულია საქართველოზე თქვა, რომ ის ღიდერია ან თუნდაც შეიძლება ამისი პრეტენზია ჰქონდეს მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მიხედვით.

მთლიანობაში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის თანახმად, საქართველო - „ეფექტიანობა მამოძრავებელი“ (იხ. ცხრილი 2) ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება, რაც არაა ცუდი შედეგი, ზემოთ მოცემულ რიგ მაჩვენებელში კატასტროფული შედეგების გათვალისწინებით. თუმცა, გარკვეულ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ქვეყნის განვითარების ეტაპის მიხედვით, რეგიონში (სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით) უკეთესი მაჩვენებელი სწორედ საქართველოს აქვს. აღსანიშნავია, რომ ამავე ეტაპზე იმყოფება ევროკავშირის წევრი რამდენიმე ქვეყანაც, კერძოდ: ბულგარეთი და რუმინეთი.

ზოგიერთი ქვეყანა განვითარების  
ეტაპების მიხედვით [6]

ცხრილი 2

ეტაპი I. ფაქტორ- მამომ- რავებელი	გარდამავალი პერიოდი (ეტაპი I და II)	ეტაპი II. ეფექტიანობა- მამომრავებელი	გარდამავალი პერიოდი (ეტაპი II და III)	ეტაპი III. ინოვაცია- მამომრავებელი
ზანგლადეში	ალჟირი	ალბანეთი	არგენტინა	ავსტრალია
ბენინი	სომხეთი	ბულგარეთი	ბრაზილია	ბაჰრეინი
ბურკინა ფასო	აზერბაიჯანი	ჩინეთი	რუსეთი	ბელგია
კამბოჯა	ლიბია	საქართველო	ლატვია	გერმანია
კამერუნი	კუვეითი	გვატემალა	ლიტვა	საფრანგეთი
ჩადი	მოლდოვა	მაკედონია	ლიბანი	ფინეთი
ინდოეთი	ფილიპინები	უკრაინა	პოლონეთი	ისრაელი
ნიგერია	ვენესუელა	რუმინეთი	ურუგვაი	აშშ
ვიეტნამი	ბოლივია	იამაიკა	უნგრეთი	ლუქსემბურგი
პაკისტანი	გაბონი	ტაილანდი	ყაზახეთი	კატარი

სამშუხაროდ, საქართველოში ჯერაც არ არსებობს ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამადლების რეალური გეგმა. თანაც, არც ის მიგვანჩია სწორად, რომ კონკურენტუნარიანობის ამადლების თითქმის ერთადერთ გზად უცხოური ინვესტიციებია მიჩნეული [2, გვ. 27-28], რომელიც წლიდან-წლამდე ცვალებადი ნაკადებით მოედინება საქართველოსკენ [4, გვ. 4-5]. ამასთან, მის სტრუქტურასაც თუ კი გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ არავითარ მდგრად და კონკურენტუნარიანობის ამადლებაზე ორიენტირებულ ინვესტიციებს საქართველოში ადგილი არა აქვს (მცირე გამონაკლისების გარდა), ამიტომაც, აუცილებელია გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრები, როგორიცაა:

- მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის



მიღწევის გზები;

- ადგილობრივი და უცხოური მდგრადი ინვესტიციების მოძიება;
- კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ხელშემწყობი ქმედებები;
- სტრატეგიული დარგების განვითარების გზები;
- მეცნიერებატევადი და ცოდნაზე ორიენტირებული დარგების განვითარება;
- ძლიერი და სანდო სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება და სამართლიანობის დამკვიდრება;
- ძლიერი და სანდო საბანკო სისტემის ჩამოყალიბება;
- საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნა და ამ პროცესში მთავრობის აქტიური მხარდაჭერა.

**Economic Competitiveness of Georgia,  
Analysis and Perspectives**

**V. Charaia**

The article focuses on the problems of economic competitiveness of Georgian state in different fields. Based on special sources and mainly on World Competitiveness Report of 2013-2014 years, the state of the art reality of Georgian economy is analyzed.

Based on such parameters, like: basic requirements, institutions; infrastructure; macroeconomic environment; health and primary education; efficiency enhancers, higher education and training; goods market efficiency; labor market efficiency; financial market development; technological readiness; market size; innovation and sophistication factors; business sophistication and innovation – it is analyzed in which way the Georgian economy should be developed and proper recommendations are given.

Finally it is underlined that sustainable economic development of Georgia could not be achieved based on the agriculture and tourism sectors. Only the knowledge based economy in complex with new tech-

nologies could be the platform for deep and comprehensive sustainable development of the state and it has no alternatives.

**გამოყენებული ტერატურა**

1. საქართველოს ეროვნული ბანკი [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)
2. ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, USAID, 2010 წლის 8 ივლისი;
3. . Papaphilippou, Risk for the Sustainability of Georgia’s Economic Growth, Georgian Economic Trends, 2008. P.49;
4. D. Narmania, Global financial crisis and challenges for Georgia, #1, 2009, p. 4-5;  
<http://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2184>
5. Klaus Schwab, Global Competitiveness Report 2012-2013, World Economic Forum, 2012;
6. Klaus Schwab, Global Competitiveness Report 2013-2014, World Economic Forum, 2013;
7. Papava V. Post-War Georgia’s Economic Challenges. Central Asia-Caucasus Analyst, Vol. 10, No 23, 2008 November;
8. Papava V., Economic Transition to European or Post-Communist Capitalism?, European Assosiation for Comparative Economic Studies (EACES) Working Papers, 2006, No 1, March;
9. Papava V., The Main Challenges of ‘Post-Rosy’ Georgia’s Economic Development, Experts Opinion, GFSIS 2013, p 3;
10. Porter, M., On Competition, Harvard Business School Press, 1998;
11. ღაღანიძე გ., ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო სტრატეგიის ფორმირების საკითხები ევროკავშირის ბაზარზე. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013 წელი, №6.

**მცირე ბიზნესის განვითარების  
ხელშეწყობი მექანიზმები**

**მაია სანიკიძე**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.**

დინამიკური და აქტიური კერძო სექტორი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია. განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს. მათ შორისაა: დასაქმების უზრუნველყოფა, კონკურენტული გარემოს ფორმირება, სოციალური უთანასწორობის შერბილება და სხვა. ისტორიულად მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში მცირე ბიზნესი იყო ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი. მცირე და საშუალო ბიზნესი „ეკონომიკის ხერხემალია“, ნათქვამია ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშში - „თავდაპირველად იფიქრე მცირეზე- გაითვალისწინე მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები პოლიტიკის შემუშავებისას“ („Think Small First – Considering SME interests in policy-making“). ანგარიშის მიხედვით ევროპის საწარმოთა 99% მცირე და საშუალო ბიზნესს მიეკუთვნება და ბრუნვის საერთო წილის 58% სწორედ მათ წილად მოდის. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ევროკავშირში ახალი სამუშაო ადგილების 80%-ს სწორედ მცირე და საშუალო ფირმები ქმნის [1, გვ.6].

მცირე ბიზნესის განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისათვის. თუმცა, მსოფლიო ბანკის კვლევის - „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ მიხედვით, მცირე ბიზნესის წილი საქართველოს მშპ-ში

მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული საწარმოებიდან 95% მცირე და საშუალო საწარმოა, მათი წილი მშპ-ში მხოლოდ 20% მდებარეობს, მეზობელ სომხეთში ეს მაჩვენებელი 42,5 %-ია [2, გვ.1].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცირე და საშუალო საწარმოთა წილი, მთლიანად წარმოებულ პროდუქციაშიც საკმაოდ დაბალია. (იხ. ცხრილი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მცირე და საშუალო საწარმოთა წილი გამოშვებული პროდუქციის მიხედვით ერთობ მცირეა, თანაც, ფაქტობრივად, ძნელია იმის თქმა, რომ მცირე ბიზნესი ვითარდებოდა განხილულ პერიოდში.

უნდა აღსანიშნოს ის, რომ მსოფლიო ბანკის 2013 წელს ჩატარებული კვლევის - „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ მიხედვით, საქართველოში გამოკითხული რესპოდენტებიდან 92%-ს სურს იყოს თვითდასაქმებული და ჰქონდეს საკუთარი ბიზნესი. ევროკომისიის კვლევის - „მეწარმეობა ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთ“ მიხედვით კი, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია და გამოკითხულთა დაახლოებით 37%-ს სურს ჰქონდეს საკუთარი ბიზნესი და იყოს თვითდასაქმებული. ლიტვაში თვითდასაქმებული სურს იყოს 58%-ს, შვედეთში - 22%-ს, თურქეთში - 82%-ს და ბრაზილიაში - 63%-ს. [3, გვ.5]. სურვილი ერთია და შესაძლებლობა მეორე. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის - „ინტელექტის“ მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოკითხულ რესპოდენტთა 95% -მა აღნიშნა, რომ ძირითადი პრობლემა, რაც ხელს უშლის საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში, ესაა: შემოსავლების სიმცირე, ფინანსური რესურსებისაღმე წვდომის დეფიციტი, რეალი -

პროდუქციის წარმოება საწარმოთა ზომის მიხედვით [5]

წელი და კვარტალი	სულ მონ. ლარი	მსხვილი		სამუდლო		მცირე	
		მონ. ლარი	წარმ. პროდუქ. წილი %	მონ. ლარი	წარმ. პროდუქ. წილი %	მონ. ლარი	წარმ. პროდუქ. წილი %
2009	11003,1	8970,3	81,5%	1151,5	10,5%	881,3	8%
2010	13303,7	10859,6	81,6%	1461,5	11%	982,6	7,4%
2011	19239,9	15437,8	80,2%	2095,3	10,9%	1706,5	8,9%
2012	23096,0	19002,5	82,3%	1740,2	7,5%	2353,3	10,2%
2013	4332,5	3515,9	81,1%	337,4	7,8%	479,2	11,1%
I კვარტალი	5132,3	4020,7	78,4%	411,8	8%	699,8	13,6%
II კვარტალი	5504,0	4498,5	82%	461,1	8%	544,4	10%

ზაციის ბაზრების არარსებობა. ევროკომისიის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 79% თვლის, რომ რთულია ბიზნესის დაწყება ფინანსური მხარდაჭერის არარსებობის გამო, 51% კი თვლის, რომ მას არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიწყოს ბიზნესი.

კვლევებიდან ჩანს, საქართველოში სურვილი იმისა, რომ საკუთარი ბიზნესი ჰქონდეთ, ძალიან მაღალია, საკმაოდ მარტივია საკუთარი ბიზნესის დარეგისტრირებაც, ბიზნესის დასაწყებად საჭირო აუცილებელი იურიდიული პროცედურების მოგვარებასაც საქართველოში ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ბიზნესის დაწყება ადვილია, მაგრამ გაგრძელება – ძალიან ძნელი, ამაზე მეტყველებს ოფიციალური სტატისტიკა. ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში 222418 ახალი საწარმო შეიქმნა, მათგან მხოლოდ 13-14%-მა მოახერხა საქმიანობის გაგრძელება [6].

ბევრ ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას განაპირობებს სახელმწიფო მხარდაჭერა. აშშ-ში სახელმწიფო მხარდაჭერის მთავარი ორგანოა მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, მისი ძირითადი ფუნქციებია: მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა; დახმარება სახელმწიფო შეკვეთების მისაღებად; კონსალტინგური დახმარება; სამართველო გადაწყვეტილებების მიღებისას დახმარება; ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

იაპონიაში მცირე ბიზნესის დახმარების ძირითადი პროგრამები მოიცავს: შეღავათიან კრედიტს და საკრედიტო გარანტიებს; შეღავათიან გადასახადებს; მცირე ფირმებისათვის კადრების მომზადებას; სუბსიდირებას; ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

ჩინეთში მცირე ბიზნესის დახმარების ყველაზე აქტიური ორგანოა ბიზნესის კოორდინაციისა და კოოპერ-

აციის ჩინური ცენტრი. მისი ფუნქციებია: მცირე ბიზნესის პრობლემების გამოკვლევა; ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მცირე ბიზნესის დახმარების კომპლექსური სისტემის შემუშავება; ბაზრობების, გამოფენებისა და საქმიანი შეხვედრების ორგანიზება მცირე ფირმებისათვის.

დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო დახმარება გულისხმობს: კონსულტაციების გაწევას მცირე ფირმებისათვის; ფინანსური დახმარებას; მცირე ფირმების საექსპორტო პოტენციალის ამოქმედების წახალისებას.

საქართველოში კი დღემდე არ არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკა. თუმცა აღსანიშნავია, რომ უმოკლეს დროში ეკონომიკის სამინისტრო გეგმავს შეიქმნას სააგენტო მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით [6].

უცხოეთის გამოცდილებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ძირითადი მხარდამჭერი ღონისძიებები უნდა იყოს: მცირე ფირმებისათვის კრედიტების ხელმისაწვდომობა; გადასახადების შემცირება; ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; მცირე ფირმებისათვის საექსპორტო პოტენციალის ამოქმედების წახალისება; მცირე ფირმებისათვის გამოფენების, ბაზრობების ორგანიზება.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით უცხოეთის ბევრ ქვეყანაში კარგადაა განვითარებული ბიზნესინკუბატორებისა და ტექნოპარკების სისტემა. ბიზნესინკუბატორები ერთამნეთისაგან განსხვავდება კლიენტებისათვის სერვისების შეთავაზების მეთოდებით, ორგანიზაციული სტრუქტურითა და კლიენტთა კატეგორიებით. ბიზნესინკუბატორები შეიძლება სპეციალიზებული იყოს სხადასხვა სფეროში, მათ შორის - უმცირესობებისა და საზოგადოების სპეციფიკური

ჯგუფების მომსახურებაზე, ან ბაზრის რომელიმე სეგმენტზე. დაფინანსების წყაროების მიხედვით შეიძლება იყოს: კერძო, საჯარო და კერძო -საჯარო პარტნიორობა.

ბიზნესინკუბაცია არის ხელშემწყობი პროცესი, რომელიც მიზნობრივი რესურსებისა და მომსახურების მიწოდების გზით მაქსიმალურად აჩქარებს მეწარმეთა საქმიანობის განვითარებას. ბიზნესინკუბატორი განიხილება როგორც ბიზნესი ბიზნესის განვითარებისათვის, რომელიც სიღარიბის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა, ვინაიდან იგი არა მარტო ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ, სამუშაო ადგილების შექმნას ემსახურება, არამედ იგი რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებასაც იწვევს.

იმისათვის, რომ დავინახოთ საქართველოში რამდენადაა განვითარებული მცირე ბიზნესის ხელშემწყობი მექანიზმები, განვიხილოთ აჭარის რეგიონი. ანალიზის პირველ წყაროდ გამოვიყენე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი – „ინტელექტის“ – ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში – „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისთვის აჭარის რეგიონში“- 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა აჭარის 5 მუნიციპალიტეტის ბიზნესმენები. მათი აზრით, ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი არსებითია მოსახლეობის მცირე შემოსავლები, ფინანსური რესურსების სიმწირე და მასთან წვდომის დეფიციტი, ასევე რეალიზაციის ბაზრების არარსებობა. მაგალითად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ბიზნესმენების 73% აღნიშნავს, რომ ვერ ახერხებს ბიზნესის გაფართოვებას ფინანსური სახსრების სიმწირის გამო. მათი



აზრით, ფინანსური სექტორი უპირატესობას მსხვილ ბიზნესს ანიჭებს და დამწვებ და მცირე ფირმებს თითქმის არ აფინანსებს. შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებსაც თავის მხრივ, საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვთ.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა გაყიდვების ორგანიზაცია. მათ, როგორც წესი, არ მიუწვდებთ ხელი სადისტრიბუციო სისტემაზე, არ ფლობენ შესაბამის მარკეტინგულ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. რესპონდენტთა 34% -ისთვის პრობლემატური საკითხია სასურველი ადამიანური რესურსების მოძიება. რაც შეეხება შუამავალ ორგანიზაციებს, ასეთების შესახებ ინფორმაციას რესპონდენტთა 91,1% არ ფლობს, გამოკითხულთა მხოლოდ 1,6% ფლობს ინფორმაციას ექსპორტის ხელშეწყობის ინიციატივების შესახებ.

სასურველია სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამები და ბიზნესინკუბატორები შეიქმნას ბიზნესმენტა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე. აჭარაში, კერძოდ კი ბათუმში, 2009 წელს გაიხსნა ბიზნესინკუბატორი, რომლის პროექტის ღირებულებაც 300 ათას აშშ დოლარს აღწევდა და გაეროს განვითარების პროგრამის, რუმინეთის მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული. როგორც მათი საიტიდან ჩანს, სამწუხაროდ, ეს თანხა ძირითადად მომსახურების სფეროს განვითარებაზე დაიხარჯა.

ბათუმის ბიზნესინკუბატორი ახალდამწვებ და განვითარებად ბიზნესს სთავაზობს შემდეგი სახის რესურსებსა და მომსახურებას: 15-20 კვ.მ თანამედროვე საოფისე ფართი ,

აღჭურვილი: საოფისე ავეჯითა და ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკით, კომუნიკაციების საშუალებებით, უფასო კომუნალური მომსახურებით, უფასო ოფისის დაცვის სისტემით; კონსულტანტების მომსახურება თანადაფინანსების პრინციპით სხვადასხვა სფეროში: ეკონომიკა და ფინანსები. მარკეტინგი, ბუღალტერია, იურიდიული საკითხები და სხვა.

ინკუბაციის პერიოდში (მაქსიმუმ 3 წელი), ზემოთ ჩამოთვლილი პირობების სანაცვლოდ, პროექტის მონაწილე კომპანიები ვალდებული არიან გადაიხადონ 225 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ყოველთვიური საწევრო გადასახადი.

2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ინკუბირებულ კომპანიათა რაოდენობა 25-ს შეადგენდა, ამათგან 11-მა კომპანიამ წარმატებით დაასრულა ინკუბაციის პერიოდი. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიათა დიდი ნაწილი მომსახურების სფეროს განეკუთვნება: - შპს „Premiumlogistik“ სადისტრიბუციო კომპანია; „Prime consulting“- საბუღალტრო მომსახურება; „Premium trevel“ - ტურისტული კომპანია; „San group“- სარემონტო კომპანია და ა.შ.

თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მცირე მეწარმეებმა, რომლებსაც რეალურად სჭირდებათ დახმარება, არც კი იციან შუამავალი ორგანიზაციების შესახებ. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა ის, რომ რამდენიმე ხნის წინ ბაზარზე გამოჩნდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში წარმოებულ თაფლი- „მაჭახელას დათუნია“, და აჭარაში წარმოებულ ელიტარული ჩაი, მწვანე ჩაი- „ბათუმი“ და შავი ჩაი - „ელიტა“ ორივე პროდუქტი სავაჭრო ქსელში „ქართული“ ნიშნით გამოჩნდა. „ქართული“ ნიშნის მფლობელი არის შპს „გაყიდვების მართვის კომპანია“, რომელიც არა ბათუმში, არამედ თბილისში მდებარეობს. კომპანია აქტიურად მუშაობს რეგიონებში მცირე მწარმოებლებთან, რომელთაც აქვთ

ძალიან საინტერესო და ხარისხიანი პროდუქცია, მაგრამ ვერ ახერხებენ მის ბაზარზე პოზიციონირებას და გაყიდვების მართვას. „ჩვენ ასეთ კომპანიებს წარმოების შემდეგ მომხმარებელამდე მისვლის ყველა კომუნიკაციას დაეუგეგავთ“ - განაცხადა შპს „გაყიდვების მართვის კომპანიის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა- ირაკლი ლექვინაძემ. ის ფიქრობს, რომ კომპანია არის წარმატების შანსი იმ მცირე საწარმოებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ გაყიდვების დაგეგმვას, პროდუქციის რეკლამირებას და ინვესტორების მოძიებას. „ვიდრე პროექტს დავიწყებდით, მოვიარეთ რეგიონები და წავაწყდით ბევრ საინტერესო კომპანიას, რომელთაც წარმოება გამართული აქვთ, მაგრამ უჭირთ გაყიდვები, მენეჯმენტი, სავაჭრო ქსელებთან ურთიერთობა, არ აქვთ რეკლამის გაკეთების რესურსი, მარკეტინგში ვერ არიან ძლიერები და ასე შემდეგ. ანუ აქვთ მხოლოდ პროდუქტი, ჩვენ ასეთ კომპანიებს ვთავაზობთ, ჩვენთან თანამშრომლობას, რათა დავეხმაროთ პროდუქტის შეფუთვაში, ბაზარზე წარმოჩენასა და გაყიდვების აწყობაში. ბუნებრივია, ამაში ჩვენი ინტერესებიც დევს და ჩვენ ამას ვუყურებთ როგორც ჩვეულებრივ ბიზნეს პროექტს“. ბატონი ირაკლი აღნიშნავს რომ კომპანია განსაკუთრებით ინტერესდება მცირე და საშუალო ფირმებით.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის დახმარების სერვისებზე არსებული მოთხოვნა მნიშვნელოვნად აჭარბებს მიწოდებას. ამიტომ, აუცილებელია რეგიონებში შეიქმნას სპეციალიზებული, კონკრეტული დარგების განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნესინკუბატორები, რათა ხელი შეეწყოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას. მცირე ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ხომ ლოკალური მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაა.

2013 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი კახა კოსრიძე სხვა ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად, შეხვდა საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს. შეხვედრაზე გადაწყდა მცირე და საშუალო ბიზნესის საკონსულტაციო საბჭოს შექმნა, იმედია, მისი საქმიანობა ნაყოფიერი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.

საქართველოს ახალი მთავრობა საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის შექმნასაც აპირებს. ამასთან, გვპირდებიან, რომ გაატარებენ ბიზნეს გარემოს არსებული რისკების შემცირებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის ღონისძიებებს, გაამარტივებენ საგადასახადო პროცედურებს და მთლიანობაში – მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებად ცხადდება.

ამრიგად, სახელმწიფო პოლიტიკა, კერძო ან ერთობლივი ბიზნესინკუბატორები, კონსალტინგური ფირმები, გაყიდვების კომპანიები და ა.შ. ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის სტაბილური განვითარების ასპექტებით.

## Support instruments for SME Development

M. Sanikidze

A dynamic and vibrant private sector is crucial to economic growth, with firms making new investments, creating jobs, improving productivity, and promoting growth. Small and medium size enterprises (SMEs)<sup>3</sup> form the backbone of the European Union's (EU) economy. They account for 99 percent of European enterprises and generate about 58 percent of the EU's turnover, employing two thirds of the total private employment. In the last five years 80 percent of the new jobs were created by SMEs. It is therefore important that regulation does not create disproportionate burdens on SMEs and that the interests of SMEs are preserved.

**Perceived Obstacles.** The top three cited obstacles in setting up or operating a firm were market risk/uncertainty, technological risk/uncertainty, and difficulty recruiting highly skilled employees. The most commonly cited legal and regulatory constraints were continually changing taxation regulations and high tax rates.


**Increasing Access to Finance.** Financial systems in Georgia are not conducive to business development. Companies cite high interest rates and risk-averse lending policies (requiring high levels of collateral) as major hindrances to expansion.

The government can establish favorable financing programs for SMEs by developing early-stage risk capital. Simplifying Tax Administration. Greater transparency and certainty must be ensured in the tax system.

and providing economic incentives in the form of tax exemptions and subsidies to promote training and technology transfer from buyer firms to local supplier firms

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Report of the Expert Group. Think Small First – Considering SME interests in policy-making <http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/small-business->
2. Fostering Entrepreneurship in Georgia <http://documents.worldbank.org/>
3. ENTREPRENEURSHIP IN THE EU AND BEYOND <http://ec.europa.eu/enterprise/policies/>
4. ავარის ხუტი მუნიციპალიტეტის (კობულეთი, ხელვაჩაური, კედა, სუახევი, ხულო) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012 -2022 წლებში მომზადებული ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ მიერ <http://www.intellect.org.ge>
5. <http://geostat.ge> საკარტველ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები
6. <http://commerciant.ge/> 26.11.2013



**მანანა ხარხელი,**  
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის**  
**ასოცირებული პროფესორი,**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

ბიზნეს-პროცესების განახლების კონცეფცია უკვე ორი ათეული წელია, რაც თანდათან იწერება კომპანიებში. მათ ავანგარდში დგანან სამრეწველო კომპანიები. საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეს საკითხი გლობალური კონტექსტით განიხილება. სამწუხაროდ, საქართველოში ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი არა მხოლოდ ნაკლებად ხორციელდება, არამედ თეორიულ დონეზეც კი ნაკლებად განიხილება. მიტომ, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით წინამდებარე სტატიაში განვიხილოთ რეინჟინერინგის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და დაინტერესებულ პირებს გავუღრმავოთ ცოდნა აღნიშნულ საკითხში.

ბიზნეს-პროცესების განახლება ექვს ეტაპს მოიცავს [1, გვ. 610]:

- პირველი ეტაპი – ღონისძიების (აქციის) დასაბუთება;
- მეორე ეტაპი – განახლების საჭიროების მქონე პროცესის გამოვლენა;
- მესამე ეტაპი – განახლების შესაძლებლობის შეფასე-

ბა;

- მეოთხე ეტაპი – არსებული პროცესის ანალიზი;
- მეხუთე ეტაპი – ახალი პროცესის პროექტის შექმნა;
- მეექვსე ეტაპი – განახლებული პროცესის დანერგვა.

**პირველი ეტაპი** უნდა მიეძღვნას ფირმის შიგნით ინფორმაციული კამპანიის მოწყობას, რომელზეც დასაბუთდება თუ რატომ აპირებს ფირმა ბიზნეს-პროცესის (ან პროცესების) განახლებას.

**მეორე ეტაპზე** უნდა გამოიკვეთოს ის პროცესები, რაც პირველ რიგში საჭიროებს განახლებას. ამ ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს:

1. რომელი პროცესების განახლება შეუძლია ფირმას წარმატებით?
2. რა სახსრები დასჭირდება მის განსახორციელებლად?
3. რამდენად ძლიერია პროცესების განმაახლებელი გუნდი?
4. კერძოდ, რა მოძველდა – თვითონ პროცესი, თუ მასში გამოყენებული ტექნოლოგია?

**მესამე ეტაპზე** ფასდება ფირმაში განახლების განხორციელების შესაძლებლობა, ანუ მისი პერსონალის კულტურა, მათ მიერ სიახლის საჭიროების გათავისება და მასში მათი მონაწილეობის შესაძლებლობა და სხვა.

**მეოთხე ეტაპზე** ტარდება იმ პროცესის (პროცესების) დეტალური დიაგნოსტიკა, რომელიც საჭიროებს განახლებას. სდგება დიაგრამები, ბლოკ-სქემები და ა. შ. ამ ეტაპზე ჩასატარებელი მთელი სამუშაო უნდა დაიყოს სამ ტიპად:

1. სამუშაოები, რომლებიც ზრდის ღირებულებას, ანუ სამუშაოები, რომლებსაც ანაზღაურებს მომხმარებელი;
2. სამუშაოები, რომლებიც არ ზრდის პროდუქციის ღირებულებას. ეს სამუშაოები მომხმარებლისთვის არ ქმნის დამატებით ღირებულებას, მაგრამ ის აუცილებლად უნდა



შესრულდეს პირველი ტიპის სამუშაოს შესასრულებლად;

3. უკუგების არქმონე სამუშაო დროის დაუბრუნებელი დანაკარგები, ანუ სამუშაოები, რომლებიც ზრდის ღირებულებას და არც იმ სამუშაოთა შესრულებას უწყობს ხელს, რომლებიც ზრდის მას.

ჩამოთვლილი სამუშაოებიდან, მესამე ტიპის სამუშაოები არის უმიზნო და ზედმეტი. ეს სამუშაოები უნდა ამოვარდეს ახალი პროცესის დაპროექტიებიდან, ხოლო მეორე ტიპის სამუშაოები უნდა შემცირდეს და შექმნის დაგვირგაინად გარდაიქმნას პირველი ტიპის სამუშაოებად.

**მეხუთე ეტაპზე** ხდება ახალი პროცესის პროექტის შედგენა, ანუ პროცესის გადაპროექტება. იგი ცარიელი ფურცლიდან იწყება. ამ საქმეზე მომუშავე სპეციალისტებს ევალებათ უარი თქვან არსებულ წესებსა და პროცედურებზე და შექმნან პრინციპულად ახალი პროექტი. სპეციალისტმა უპირველესად პროექტიდან უნდა ამოაგდოს არაფრისმომცემი, უმიზნო სამუშაოები და აგრეთვე პროდუქციის (მომსახურების) ღირებულების არგამზრდელი სამუშაოები, ხოლო შემდეგ იზრუნოს ამ სახეშეცვლილი პროცესის შესრულებისთვის შესაფერისი ტექნოლოგიის და სათანადო მომზადების მქონე მუშების შერჩევისთვის.

**მეექვსე ეტაპზე** ხდება განახლებული პროცესის პრაქტიკული დანერგვა, რაშიც ფირმა-კლიენტის ხაზობრივმა ხელმძღვანელობამ აქტიურ მონაწილეობა უნდა მიიღოს.

**პროცესის განახლებისთვის სხვადასხვა მეთოდი და ინსტრუმენტები** გამოიყენება. ამ მეთოდებსა და ინსტრუმენტებში სახელდება: ინდუქციური აზროვნება, ბლოკ-სქემების შედგენა, პროცესის ეტალონის მოდელირება, პროცესის განახლების პროგრამული უზრუნველყოფა.

**ინფორმაციური აზროვნება** გამოიყენება აშკარა ან ფარული პრობლემების და მათი პოტენციურად სწორი გადაწყვეტილების ძიების დროს. ეს მიდგომა აუცილებელია პრო-

ცესის განახლებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენებისას.

**ბლოკ-სქემების შედგენა.** ბლოკ-სქემა ის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელიც ბიზნეს-პროცესის განახლების ყველა ეტაპზე გამოიყენება. ეს სქემები შეიძლება შეიქმნას მარტივი წესით – ქაღალდზე ისრებით გამოხატული და შეიძლება რთული კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

პროცესის შემოქმედებითი გადაპროექტება ხდება მაშინ, როცა პროცესი სათანადო ეფექტს ვერ იძლევა და რესურსებს „ჭამს“. მაგალითად, ბევრმა ფირმამ მომწოდებლებთან ურთიერთობაში უარი თქვა ანგარიშ-ფაქტურების გამოყენებასა და მის მიხედვით ანგარიშსწორებაზე. ისინი მომწოდებელს ანგარიშს პირდაპირ ფაქტობრივად მიღებული საქონლის (ნედლეული, მასალა, მაკომპლექტებელი მასალები და ა. შ.) მიხედვით უსწორებენ.

**პროცესის ეხალენი** განიხილება როგორც უწყვეტი განახლების ინსტრუმენტი. ეტალონის მეშვეობით შეიძლება ახალი პროცესების გამოყენებასა და დანერგვის ხერხების შერჩევაში ლიდერის გამოვლენა და მათი მოცემულ საწარმოში პრაქტიკული გამოყენება.

**მოღველირება** ბიზნეს-პროცესის გადაპროექტების შეფასების და ვიზუალიზაციისთვის გამოიყენება.

**პროცესის განახლების პროგრამული უზრუნველყოფა.** თანამედროვე მეცნიერებას პრაქტიკულად გამოყენებისთვის აქვს ტექნოლოგიურად ისეთი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელის მეშვეობით შეიძლება შეფასდეს არსებული პროცესები და დაპროექტდეს ახალი. ეს პროგრამები შექმნილია აშშ თავდაცვის სამინისტროს დაპროექტების მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც ცნობილია Intergrated Definitio-ის (IDFF) სახელწოდებით.

ბიზნესში პროცესების განახლება მისი მიმდინარე გაუმჯობესებით, პერიოდული გარდაქმნებით და რეინჟინერ-

ინგიტ ხორციელდება. მათგან რეინჟინერინგი სიღრმისეული, რადიკალური ცვლილებაა და იგი მთელი ბიზნეს-პოლიტიკის შემცველია.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი გამოიყენება მაშინ, როცა საწარმოო პროცესი იმდენად მოძველებულია, რომ არ ღირს მისი „შენახვა“, არც გადაპროექტება და არც ე. წ. ყველაზე უფრო ხელსაყრელი გარდაქმნა (BFSS).

რეინჟინერინგი მეტად მისაღებია გამოსაყენებლად კომპანიის ძირითადი ბიზნეს-პროცესების 5-20%-ზე, მაგრამ თუ იგი გადასცდა ამ ზღვარს, მაშინ კომპანიის მართვის გარდაქმნის პრობლემაც ჩნდება.

რეინჟინერინგის სწორად წარმართული პროცესი ხარჯებთან ერთად 60-90%-ით ამცირებს საწარმოო ციკლის ხანგრძლივობას. მართალია, თვით რეინჟინერინგი მოითხოვს დიდ დროს საკმაოდ ძვირადღირებულია და დიდ რისკთანაც დაკავშირებულია, მაგრამ გლობალურ ბაზრებზე კონკურენციის გამძაფრებამ ფირმებში მისი გატარება ამ ბოლო დროს მეტად საჭირო გახადა.

ბიზნეს-პროცესების მართვაში რევოლუცია შემოიტანა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში მიღწევებმა, რამაც ბიზნეს-პროცესის ინჟინერინგი და რეინჟინერინგი მეტად გააადვილა. მ. ხამერი და დ. ჩამპი ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგად მიიხნევენ „საწარმოს საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებში ძირეული გაუმჯობესების მისაღწევად ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტალურ გადააზრებას და რადიკალურ გადაპროექტებას“ [3, გვ. 17].

ჯ. ხარინგტონი, კ. ესელინგი და ხ. ნიმევეკენი რეინჟინერინგს პროცესის ინოვაციას უწოდებენ, რადგანაც მისი წარმატება მასზე მომუშავე „გუნდის ინოვაციურ და შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული“ [4, გვ. 10].

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი ხორციელდება საინჟინრო მეთოდების გამოყენებისა და კონსალტინ-

გური კომპანიისა და ბიზნეს-ერთეულის სპეციალისტების ერთობლივი გუნდების მიერ. ბიზნესის რეინჟინერინგი ითვალისწინებს აზროვნების ახალ წესს, რითაც ასეთ დროს კომპანიის ბიზნესი განიხილება როგორც ისეთი რამ, რაც შეიძლება აგებული, დაპროექტებული და გადაპროექტებული იყოს საინჟინრო პრინციპებთან შესაბამისობით.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია:

1. პროცესების „ჰორიზონტალური შეკუმშვა“, რითაც მასში ერთიანდება რამდენიმე სამუშაო პროცედურა და მიიღება სამუშაო ადგილების მრავალფუნქციონირება;

2. პროცესის „ვერტიკალური შეკუმშვა“. ასეთ დროს შემსრულებლები იღებენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს, რითაც იზრდება მუშაკის პასუხისმგებლობა და საკუთარი შრომის შედეგებით დაინტერესება;

3. პროცესის პარალელურობა, რითაც პროცესი მიმდინარეობს ბუნებრივ წესსა და რიგში. სამუშაო სრულდება იმ ადგილზე, სადაც ეს მიზანშეწონილია;

4. პროცესის შესრულების მრავალგარიანტულობა, უცხო გარემოს ცვლილებებთან პროცესის ადაპტირების ამაღლება;

5. შემოწმებათა და შეთანხმებათა რაოდენობის შემცირება;

6. უფლებამოსილი მენეჯერი უზრუნველყოფს კლიენტთან კონტაქტის ერთიან წერტილს;

7. ჭარბობს შერეული – ცენტრალიზებულ-დეცენტრალიზებული მიდგომა. შედეგი – „ხვეიდან-ქვევით“ წესით უფლებამოსილებათა დელეგირება“.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის წარმატების ძირითადი პირობებია:

➤ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ამოცანის სწორი გაგება, ერთგულება რეინჟინერინგის მიზნისადმი;

- კომპანის თანამშრომელთა მოტივაცია, ზრდისკენ სწრაფვა;
- სწორი მენეჯმენტი, საკუთარი ძალებითა და კონსულტანტების დახმარებით ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის განხორციელების უნარი;
- რეინჟინერინგის გატარებაში კონსალტინგური ორგანიზაციის გამოცდილებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგით სასურველი შედეგის მისაღებად, მაიკლ ჰამერი გეთავაზობს მისი განხორციელების შემდეგ წესებს [3, გვ. 23]:

- შედეგს უნდა მიაღწიოთ და არა დავალების შესრულებას;
- ის, ვინც პროცესს ქმნის, მანვე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, შედეგებზე;
- გეოგრაფიულად გაფანტულ რესურსებს ისე უნდა მიუდგე, როგორც ცენტრალიზებულს;
- უნდა გაერთიანდეს საქმიანობის პარალელური სახეობები და არა შედეგები;
- გადაწყვეტილება სამუშაოს მსვლელობისას უნდა იქნეს მიღებული, ხოლო კონტროლი - პროცესში დაწესებული;
- ინფორმაციის შეყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ საწყის წერტილში ერთხელ.

ბიზნეს-პროცესების თავისებურებები, რისთვისაც კომპანიებში ხორციელდება რეინჟინერინგი, შემდეგია [5, გვ. 148]:

1. ბიზნეს-პროცესების მრავალფეროვნების გამომწვევი საქონლისა და მომსახურების დივერსიფიკაცია (ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე ორიენტირება);

2. ინდივიდუალურ შეკვეთებზე მუშაობა, რომელიც მოითხოვს კლიენტების მოთხოვნილებებზე ბიზნეს-პროცესების ადაპტაციის მაღალ ხარისხს;

3. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ეხება საწარმოს ყველა ძირითად ბიზნეს-პროცესს;

4. ოპერატიული კავშირების მრავალფეროვნება საწარმოს პარტნიორებსა და მასალის მიმწოდებლებთან, რომლებიც განაპირობებენ ბიზნეს-პროცესის აგების ალტერნატიულობას.

ბიზნეს-პროცესების სწორად ჩატარებული რეინჟინერინგი კომპანიებში უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას [6, გვ. 36]:

- შესასრულებელი ფუნქციების ოპტიმალური თანამიმდევრობის განსაზღვრა, რომელიც იწვევს პროდუქციის და მომსახურების წარმოების და გაყიდვის ციკლის შემცირებას და როგორც მისი ლოგიკური შედეგი – კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით მოგების აბსოლუტური მასის ზრდას;
- სხვადასხვა ბიზნეს-პროცესში რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია;
- ადაპტირებული ბიზნეს-პროცესების აგება, რაც გამიზნულია ბაზარზე კონკურენტუნარიანობის, საწარმოო ტექნოლოგიების და პროდუქციის საბოლოო მომხმარებლების მოთხოვნილებათა ცვლილებებთან მოსარგებად;
- კლიენტებსა და პარტნიორებთან ურთიერთობის რაციონალური სქემების განსაზღვრა და როგორც შედეგი - მოგების ზრდა, ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია.

ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის მეთოდებს შორის (გაუმჯობესება, გარდაქმნა, რეინჟინერინგი) რეინჟინერინგი გამორჩეულია. ეს საბუთდება ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემული ამ მეთოდების დახასიათებით.

პოლიტიკა-პროცესების ოპტიმიზაციის მეთოდები  
 კონკრეტულ ბაზარში [7, გვ. 199]

	ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის მეთოდები			
	გაუმჯობესება	გარდაქმნა	რეინჟინირინგი	
პოლიტიკა	გაუმჯობესება ცალკეული ფუნქციების დონეზე ხორციელდება	ძირითადად შენარჩუნდება. აღმოფხვრება ხელმეტი და ნაკლებწარმატებული პროცედურები	განხორციელდება ძირითადი გარდაქმნა. მოხდება ბიზნესის დიმიტიზაცია	
გამოყენების სისწორე	ხორციელდება მუდმივად	ხორციელდება პერიოდულად	გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში	
ცვლილებების მასშტაბურობა	მცირე	ზომიერი	მთლიანად ბიზნესის	
რეალიზაციის ხერხი	დროებითი ბრძანებებით ხორციელდება	ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ძალისხმევით ხორციელდება	ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება	
ეფექტიანობა	ნაწილობრივ	ზომიერი	რეკონსტრუირი	
ლიტერატურა, რესურსები, შრომატევადობა	დაბალი	დაბალიდან საშუალომდე	მაღალი	

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, რეინჟინირინგი (ბიზნეს-პროცესების ძირეული გარდაქმნა), მასშტაბური ცვლილებაა. იგი ფორმის მთლიან ბიზნესს ეხება და განსხვავებით გაუმჯობესებისა და გარდაქმნისგან, მისი ეფექტიანობა რევილუციურია ე. ი. მაღალზე – მაღალია.

მაგრამ, ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს, გარდაქმნა - პერიოდულად, რეინჟინირინგი კი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს. კომპანიის ხელმძღვანელობამ სწორედ ეს მომენტი უნდა „დაიჭიროს“. ეს არ არისა ადვილი საქმე. თუმცა, არაერთი და ორი სპეციალისტი მიჩნევს, რომ ეს მომენტი მაშინაა, როცა დაიწყება ფორმის მოგების კლება და გადახდისუნარიანობის შემცირება. აგრამ, გადახდისუნარიანობის, ასევე მოგების შემცირება შეიძლება შემთხვევითმა ფაქტორებმაც გამოიწვიოს. ამ უკანასკნელზე უარყოფითად მოქმედებს ჯარიმების გადახდა, უიმედობა ვალების ზარალში, ჩამოწერა და სხვა. მოგების შემცირება კი, თავის მხრივ, იწვევს გადახდისუნარიანობის შემცირებას და ა. შ.

ასე რომ, კომპანიის მენეჯერებს დიდი ძალისხმევა მართებთ მათი ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის იმ ეტაპის გამოსარკვევად, როდესაც კომპანიაში ჩნდება დაცემის სიმპტომები, ანუ როცა კომპანიის ბიზნესი „ბერდება“. ამ ეტაპის გამოსავლენად არ გამოდგება კომპანიის ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი, რადგან უმრავლეს შემთხვევაში, ის ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებს იძლევა. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელს გვთავაზობს რუსი მეცნიერი ს. ბუხანოვა. მან შეიმუშავა კომპანიის ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის ეტაპის დასადგენად ინტეგრალური მაჩვენებელი, რომელიც ასე იანგარიშება [8, გვ. 8]:



$$K_0 = \frac{1}{20} \sum_{i=1}^{20} x \cdot 100$$

ფორმულაში - 20 არის ამ კოეფიციენტის გაანგარიშებაში ჩართულ ეკონომიკურ მაჩვენებელთა რიცხვი (საკუთარი კაპიტალი, წმინდა აქტივები და სხვ.).

$K_0$  – კოეფიციენტი 0-დან 100-ის დიაპაზონში იცვლება. როცა იგი 100-ის ტოლია, ანდა ახლოსაა 100-თან, მაშინ კომპანიის სასიცოცხლო ციკლი ზრდის ან გაჯერების ეტაპზეა, ხოლო თუ იგი 50-აც არ აღწევს, მაშინ – დაცემის ეტაპზეა. კოეფიციენტის ეს მნიშვნელობა სიგნალია იმისა, რომ კომპანიამ რეინჟინერინგი უნდა განახორციელოს. ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის დადგენისთვის ინტეგრალური კოეფიციენტის გამოთვლის სხვა შემოთავაზებებიც არსებობს (გნოროდინის, ნ. მინავეის და სხვები), მაგრამ გამოსაყენებლად ისინი უფრო რთულია. ამიტომ, ქართულ კამპანიებში ბიზნესპროცესების რეინჟინერინგის საჭიროების განსაზღვრისთვის, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ ს. ბუხანოვას მიერ შემუშავებულ მეთოდს.

ბიზნესის მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ მის განახლებასა და გაუმჯობესებაში სპეციალური კონსალტინგური ფირმებია დასპეციალიზებული. აშშ-ში ფუნქციონირებს 10 უმსხვილესი კონსალტინგული ფირმა – Andersen Consulting, Authon Anderson, Deloitte Touche და სხვები, რომელთა კონსულტანტების რაოდენობა 1000-დან 43000-მდე მერყეობს [1, გვ. 596]. მათი ფილიალები მიმოფანტულია მთელ მსოფლიოში და ისინი კვალიფიციურ რჩევებს აძლევენ ყველა მსურველს.

სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველო მეტად ჩამორჩება მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, საქართველოში კონსალტინგური მომსახურება მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს. არსებობს

## **მანანა ხარხელი**

---

მხოლოდ რამდენიმე საკონსულტაციო ფირმა, რომელთაც კომპანიებისთვის ბიზნეს-პროცესების განახლებაში მართლაც ფასეული დახმარება შეუძლიათ. ერთ-ერთი ასეთი არის შპს „მენეჯმენტის მრჩეველთა ჯგუფი“, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ყაზბეგის 10-ში და, რომელმაც დაარსების დღიდან 20 საგრანტო პროექტი შეასრულა. მე ვარ მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი. ვხელმძღვანელობ მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულებებს. კერძოდ, ვუძღვები იმ პროექტებს რომლებიც მოითხოვს ბაზრის კვლევას, პროდუქციისა თუ მომსახურების რეკლამირების საუკეთესო გზების ჩერჩევას, მმართველობითი სტრუქტურების ოპტიმიზებას, სამუშაო გუნდების ოპტიმალურ დაკომპლექტებას და სხვა.

2011-2013 წლებში ჩვენ შევასრულეთ 3 საგრანტო პროექტი:

1. საგრანტო პროექტი GA-GEO-2011-537024741 (შპს „ლგ გლასს“-ში დაგენერგეთ კომპიუტერული სააღრიცხვო სისტემა);

2. საგრანტო პროექტი GA-GEO-2012-268643674 (შპს „ელ-დკ“-ში მოვაწესრიგეთ ფინანსური და საგადასახადო ურთიერთობები);

3. საგრანტო პროექტი GA-GEO-311320411 (შპს „ორეველ ტურს“ შევუსწავლეთ ტურისტული ბაზარი და ჩავუტარეთ დანახარჯების ანალიზი).

ვფიქრობთ, შპს „მენეჯმენტის მრჩეველთა ჯგუფი“, ზემოთ დასახელებული ბიზნეს-პროცესების განახლების სამუშაოთა შესრულებით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს

კერძო ბიზნესის განვითარებაში, რათა ის საქართველოში საბოლოოდ გახდეს ევროსტანდარტების დონის.

## **Reengineering of Business Processes The Role of Operational Consulting In Its Implementation**

**M. Kharkheli**

The author draws attention to the need of reengineering and advises the companies to acknowledge the significance of it. The author, also refers to the mathematical formula created by Russian scientist Bukhanova. This formula, calculating the integrated coefficient showing the stage of life cycle of business entity, makes it possible to ascertain whether there is necessity of reengineering or not. In the end, there are some practical materials given, related to workings in the field of reengineering performed by Georgian consulting company called “Management Advisory Group”.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Ричард Б. Чейз, Николас Дж. Эквилайн, Роберт Ф. Якобс. Производственный и операционный менеджмент, М., Вильямс, с. 610;
2. მანანა ხარხელი, ოპერაციული მენეჯმენტი, თბ., 2011, გვ. 47;

3. М. Хамер, Дж. Чампи. Рейнжинеринг корпорации – Манифест Революции в бизнесе, Санкт-Петербург, 1997, с. 17;
4. Дж. Харингтон и др. Тпмизация бизнес-процессов, Санкт-Петербург, 2002, с. 10.
5. William J. Stevenson, Operation managtmtny/-7<sup>th</sup>, p. 142;
6. Jay Haizer, Barry Render. Operation management, 9/E, Prentice Hall, 2008, p. 36;
7. გ. ცაავა და სხვები, რისკოლოგია, თბ., 2007, გვ. 199;
8. Буханова С. Комплексная методика анализа финансовый устойчивости предприятия, М., 2004, с. 8.

**ლიდერობის  
მართლმადიდებლური აღქმა**

**ეკატერინე გულუა,**

**მერაბ ხოსრობია,**

**ეკონომიკის დოქტორები, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორები**

თანამედროვე საზოგადოებას ხიბლავს ლიდერობის იდეა. ინდივიდები ეძებენ ინფორმაციას, სასწავლო პროგრამებს, რომ შეისწავლონ როგორ გახდნენ ეფექტური ლიდერები. ადამიანთა გარკვეულ ნაწილს სწამს, რომ ლიდერობა არის პიროვნული, სოციალური, პროფესიული ცხოვრების გაუმჯობესების გზა. კორპორაციები ეძებენ ლიდერული უნარების მქონე ადამიანებს, რადგან სჯერათ, რომ მათ მოაქვთ განსაკუთრებული აქტივები მათი ორგანიზაციებისთვის, შეუძლიათ გააუმჯობესონ, რადიკალურად შეცვალონ არსებული მდგომარეობა. შედეგად, ლიდერობა გახდა მაღალმოთხოვნადი და ფასეული უნარი. ძნელად თუ მოიძებნება სამაგისტრო კურსი ლიდერული უნარ-ჩვევების სწავლების გარეშე, ან პიროვნება, რომელსაც სურს წარმატება, კარიერული წინსვლა და არ ეძებს ლიტერატურას ლიდერობაზე.

ქრისტიანულ-მართლმადიდებელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რა დამოკიდებულებაშია ლიდერობა მართლმადიდებლურ ფასეულობებთან.

ლიდერობისადმი სწრაფვა ადამიანისთვის თითქოს ბუნებრივია. ქრისტეს მოწაფეებს აინტერესებდათ ვინ იქნე-

ბოდა სასუფეველში უდიდესი: „**მას ჟამსა შინა მოუხდეს იესუს მოწაფენი და ეტყოდეს: ვინ-მე უფროის იყოს სასუფეველსა ცათასა?**“ [მათე 18,1]. ამ მისწრაფებას ავლენს ადამიანთა ყოველი ნააზრევი, ზღაპარი, მითი, ლეგენდა, ქვეყნების ისტორიები, მხატვრული ნაწარმოებები. თუნდაც თანამედროვე ცხოვრება წარმოდგენელია რელიგიური, ისტორიული, პოლიტიკური, თანამედროვე რეალური ან გამოგონილი გმირების გარეშე, რომლებიც აღგვაფრთოვანებენ, გვაძლევენ მაგალითს, გვიქმნიან განწყობას, გვიყალიბებენ ფასეულობებს. მსოფლიო წარმოდგენელია რელიგიური და ეროვნული გმირების გარეშე.

არსებობს საპირისპირო დამოკიდებულებაც, არცთუ იშვიათად, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ლიდერობის სურვილი აღიქმება, როგორც პიროვნების ნეგატიური თვისება, გარკვეული ამპარტავენება და სხვათა დაქვემდებარების ან ჩაგვრის მოთხოვნილება. როგორც ყოველგვარ იდეას, ამ დამოკიდებულებასაც, რა თქმა უნდა, აქვს თავისი ობიექტური საფუძველი. ლიდერები, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ ძალაუფლებას, ზოგადად ლიდერებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას განაპირობებენ. საზოგადოებაში, სადაც ფასეულობა ადამიანთა თავისუფლებაა, მსგავსი ტიპის ლიდერობა ვერ აღიქმება დადებით მოვლენად.

სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის უმთავრესია ლიდერობის არსის დადგენა. ლიდერობის მრავალი განმარტება არსებობს. შესაბამისად, განსხვავებულია მისი აღქმაც. მკვლევარები მათი ნაშრომების მკითხველებს ურჩევენ ჩამოაყალიბონ თავიანთი დამოკიდებულება ლიდერობისადმი, ე.წ. საკუთარი „განმარტება“ შექმნან, რაც მათი კონკრეტული მიზნების, მიმდევრებისა თუ სიტუაციური კონტექსტის ადეკვატური იქნება. ეს მოწოდება უადგილო ნამდვილად არ არის, რადგან ლიდერობა უნარია, რომელიც იმ

თვისებრიობისაა, როგორც არის მისი მატარებელი, ხოლო ის, თუ როგორი სტილის ლიდერობას ირჩევს პიროვნება, დამოკიდებულია როგორც თავად ამ პიროვნების მახასიათებლებზე, ასევე მისი მიმდევრების/დაქვემდებარებულთა თვისებებსა და გარემოებათა კონტექსტზე, სადაც ყალიბდება ლიდერი და მისი ლიდერული ჩვევები.

მაქსველის (Maxwell) განმარტებით, „**მარტივად ლიდერობა ეს არის ზეგავლენა**“. ის, თუ როგორი იქნება ეს ზეგავლენა, დამოკიდებულია ლიდერზე, მიმდევარსა და კონტექსტზე, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. თანამედროვე გაგებით, ლიდერობა შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც „**ნდობის ინსპირირების და იმ ადამიანთა მხარდაჭერის მოპოვების უნარი, ვისთან ერთადაც შესაძლებელია საერთო მიზნების მიღწევა**“ [4, გვ:27]. ამ და თითქმის ყველა თანამედროვე განმარტებაში ხაზგასმულია ლიდერის და მიმდევრების „საერთო მიზნები“. ეს გულისხმობს ლიდერის და მიმდევართა ინტერესების თანხვედრას და ლიდერის განსაკუთრებულ როლს ამ მიზნების მიღწევაში. თუმცა, არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორია ეს მიზნები: პოზიტიური – საზოგადოებისთვის სასარგებლო, ეთიკური, თუ პირიქით – ნეგატიური. რთულია ისაუბრო ლიდერობაზე, როგორც დადებით ან უარყოფით მოვლენაზე, როგორც, ვთქვათ, ფულზე, მეტყველების უნარზე, სხვა უნარებზე, ან თუნდაც ლოცვაზე. როგორი მოვლენაა ფული? – ნეგატიური თუ პოზიტიური? ასევეა მეტყველებაც. ეს ადამიანისთვის ღვთისგან ნაბოძები უნარი, არ ნიშნავს, რომ ერთმნიშვნელოვნად დადებითია. მთავარია, ვინ როგორ იყენებს ამ უნარს. ასევე შეიძლება ითქვას ლოცვაზეც. იოანე ოქროპირი ბრძანებს: „**ყოველთა უკვე უწყოდეთ საყვარელნი, რამეთუ დასაბამი ყოვლისა კეთილისა ლოცვა არს**“ „**მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე**“ [I მეფ. 2-30]. თუმცა, შესაძლებელია ეს ითქვას ყოველგვარ ლოცვაზე? ბიბლიაში ნათლადაა

## **ეპატორინე გულსა, მერაბ ხონობაია**

ნაჩვენები ერთ-ერთი სათნოების – ღოცვის თვისებრიობა ორ განსხვავებულ ადამიანში: „ფარისეველი იგი წარდგა და ამას ილოცვიდა თესაგან: ღმერთო გმადლო ბ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცნი, მტაცებელ, ცრუ და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზუერე, ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა, ხოლო მეზუერე იგი შორს იდგა და არა იკადრებდა თუ-აღთაცა ზე ახილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“ [ლუკა 18,11-13] ის, რაც ერთისთვის მაცხონებელია, მეორესთვის სასჯელის წყარო შეიძლება გახდეს. ადამიანს კი უფლისგან აქვს განსჯის უნარი, რათა გააკეთოს სწორი არჩევანი.

ღიდერობისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისას, უმთავრესი, რასაც ჩვენ უნდა დავეკრდნოთ, ეს ბიბლიაა, რომელშიც ღიდერობისადმი დამოკიდებულება ასახული და აშკარაა:

– „ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და დიდდინი ხელმწიფებენ მათ ზედა? ხოლო თქუნ შორის არა ეგრეთ იყოს, რომელსა უნებს თქუნ შორის დიდ ყოფაი, იყავნ თქუნდა მსახურ; და რომელსა უნებს თქვენს შორის წინა ყოფაი, იყოს იგი თქუნდა მონა. ვითარცა ძე კაცისაი არა მოვიდა, რაითამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთათვის“ [მათე 20, 25-28];

– „და მოვიდა კაპერნაუმდ. და ვითარცა შევიდა იგი სახლსა, და ჰკითხვიდა მათ, რასა-იგი იცილობდეს ურთიერთას გზასა ზედა. ხოლო ივინი დუმნეს, რამეთუ ურთიერთას იტყოდეს გზასა ზედა, ვითარმედ: ჩუენგანი ვინ-მე უდიდეს იყოს? და დაჯდა და მოუწოდა ათორმეტთა მათ და ჰრქუა: ვის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფა, იყოს იგი ყოველთა



მრწემ და ყოველთა მსახურ“ [მარკოზი 9, 33-35].

დაცულია უმთავრესი პრინციპი – არჩევანის თავისუფლება – „რომელსა უნებს თქვენ შორის დიდ ყოფაი...; რომელსა უნებს თქვენს შორის წინა ყოფაი...“ საუბარია აგრეთვე იმაზე, რომ წარმართთა თვისებაა პირველობისთვის ზრუნვა [2, გვ. 568], ქრისტიანთა შორის არ უნდა იყოს ასე. ვისაც „წინა ყოფაი“, ან „დიდ ყოფაი“ სურს, უნდა იყოს „მრწემ“, „მსახურ“ და „მონა“, როგორც თავად ქრისტე, რომელიც სხვათა მსახურებისთვის განკაცდა.

„წინა ყოფა“ არ მიიხნევა ბოროტებად, თუმცა ის, ვისაც სურს იყოს პირველი, უფლის წინაშე ბოლოყოფას რომ აერიდოს, სხვას უნდა მსახურებდეს „ვითარცა ძე კაცისაი“: „და ოდეს დაჰბანა ფერხნი მათნი, მოიღო სამოსელი თვისი და ინახ-იდგა და მერე ჰრქუა მათ: უწყითა, რაი-ესე გიყავ თქვენ? თქვენ მხადით მე: მოძღუარო და უფალო, და კეთილად სთქუთ, რამეთუ ვარ. უკუეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღუარმან, თქვენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერხთა. რამეთუ სახე მიგეც თქვენ, რაითა, ვითარცა-ესე მე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ჰყოფდეთ. ამენ, ამენ გეტყვი თქვენ: არა არს მონაი უფროის უფლისა თვისისა, არცა მოციქული უფროის მომავლინებელისა თვისისა. ესე თუ სცნათ, ნეტარ ხართ, უკუეთუ ჰყოფდეთ ამას“ [იოანე 13, 12-17].

ჭეშმარიტი პირველობა არის უფალთან მეტი სიახლოვე – „ხოლო უდიდესი თქუენი იყავნ თქუენდა მსახურ. ხოლო რომელმან აღიმადლოს თავი თუსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თუსი - ამაღლდეს“. [მათე 23, 11-12].

ლიდერობის მეცნიერული გაგება არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ აღქმას:

- ლიდერობა ესაა მზაობა პასუხისმგებლობისთვის (Joe Montana)[5];

- ლიდერობა არის უნარი, რომლითაც ლიდერი სხვა ადამიანს თვალსაწიერის გაფართოების საშუალებას და უნარს აძლევს (Drucker) [5];

- ლიდერობა არის ინდივიდის უნარი მოახდინოს გავლენა, მოტივირება და მისცეს სხვებს შესაძლებლობა წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის წარმატებასა და ეფექტიანობაში (House) [5];

- ლიდერობა შესაძლოა იყოს აღწერილი, როგორც სოციალური ზეგავლენის პროცესი, რომლითაც ერთ ადამიანს შეუძლია დახმარება გაუწიოს და მხარი დაუჭიროს სხვებს განახორციელონ საერთო მიზნები (Chemers, M. M.) [5];

- ლიდერობა არის უნარები: უნარი, რომ მოისმინო და დააკვირდე, გამოიყენო საკუთარი კომპეტენცია, რათა ხელი შეუწყო დიალოგს გადაწყვეტილების მიმღებ ყველა დონეს შორისუნარი ჩამოაყალიბო პროცესი და გამჭვირვალობა გადაწყვეტილების მიღებაში; ნათლად გაარკვიო მიმდევრების პირადი ფასეულობები და ხედვა, მაგრამ ექსპლუატაცია არ გაუწიო მათ. ლიდერობა არის ის, რაც ადგენს და არა მხოლოდ რეაგირებს, განსაზღვრავს პრობლემებს და ახდენს სიახლეების ინიცირებას, რომელიც ქმნის რეალურ გაუმჯობესებას და მეტია, ვიდრე მხოლოდ ცვლილებების მართვა [5].

ლიდერობა, წინამძღოლობა უფლისგან აკრძალული არ არის. პირიქით, თუ ის უფლის კანონებს, ჭეშმარიტებას ემორჩილება კურთხეულია. ბიბლიაში განსაზღვრულია ისიც, თუ როგორი უნდა იყოს ლიდერი. ჭეშმარიტება არა ქვაზე ან ფიცარზე, არამედ წრფელ გულზე წაიწერება. **„არა ფიცართა შინა ქვისათა, არამედ ფიცართა შინა გულისა ხორციელისათა“** [2, კორ.3,3]. წრფელი გულის გამო უფალმა თევზთა მებადურენი კაცთა თაობების მებადურებად აქცია: **„და იქცეოდა რა იესუ ზღვისკიდესა მას გალილეისასა, იხილნა**

ორნი ძმანი: სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმაი მისი, ითხველიდეს რაი სათხველითა ზღუასა მას, რამეთუ იყვნეს მესათხველე. და ჰრქუა მათ: მოვედით და შემომიდუგით მე, და გყვნე თქვენ მესათხველე კაცთა. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და შეუდგეს მას“ [მათე 4, 18–20]; [მარკოზი 1, 16–18]. ჭეშმარიტი ლიდერები სულიწმინდით განათლებულნი, ჭეშმარიტების მაძიებელთა ჭეშმარიტებისკენ წარმმართველნი არიან.

ბიბლიაში გამოკვეთილია იმ წინამძღოლის პასუხისმგებლობა, რომელიც არასწორი გზით ატარებს მიმდევრებს და განსაზღვრულია პრინციპები, რომელიც არის უმთავრესი წინამძღოლისათვის: „ჰრქუა იესუ მოწაფეთა თვისთა: შეუგვანებელ არს საცთურისა არა მოსლვანი, ხოლო ვაი, ვისგან მოვიდეს! უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ღოღი ვირით საფქველისაი ზედა ედვა ქედსა მისსა და შთავრდომილ იყო ზღუასა, ვიდრე არა დაბრკოლებად ერთსა ამას მცირეთაგანსა. არამედ ეკრძაღენით თავთა თქვენთა. უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, შეჭრისხენ მას; და უკუეთუ შეინანოს, მიუტევე მას. დაღათუ შეიდ-გზის დღესა შინა შეგცოდოს და შეიდ-გზის მოაქციოს და გრქუას შენ: შევიანანე, მიუტევე მას“ [მარკოზი 17, 1–4]; „და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთაჲ ჩემდა მომართ, უმჯობეს არს მისა გამო-თუმცა-იბა ქედსა მისსა წისქლის ქვაი ვირით საფქველი და შთავარდა ზღუასა.“ [მარკოზი 9,42].

საგულისხმოა, მართლმადიდებლური ხედვა, თუ როგორ უნდა გახდეს პიროვნება ლიდერი: „და ეტყოდა ჩინებულთა მათ იგავსა და შეასწავებდა, ვითარ-იგი ზემოჯდომასა ირჩევდეს, და ეტყოდა მათ: რაჟამს გხადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დასჯდები პირველსა საინახესა, ნუუკუე უპატიოსნესი შენსა იყოს ჩინებული მისგან; და მოვიდეს, რომელმან-იგი შენ და მას გხადა, და გრქუას შენ: ადგილ-ეც ამას! მაშინ იწყო

სირცხვილით უკანაისკნელსა ადგილსა დაპყრობად. არამედ ოდეს გხადოს ვინმე, მივედ და დაჯედ უკანაისკნელსა ადგილსა, რაითა მოვიდეს, რომელმან-იგი გხადა შენ, და გრქუას: მეგობარო, აღმოგუადლე ზემოკერძო! მაშინ იყოს შენდა დიდება წინაშე ყოველთა მენინახეთა შენთა. რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს“ [მარკოზი 14, 7–11].

უფლისადმი მიბაძვით, სათნოებებით მცხოვრებთათვის უფალი ყველა თავის საუნჯეს ხსნის. ის ყველაზე უდიდესით – განღმრთობის უნარით აჯილდოვებს აღამიანს: „იყვენი თქვენ სრულ, ვითარცა მამად თქვენი ზეცათად სრულ არს“ [მათე 5,48]; „უფროდსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რადთა სული თუსი დადვას მეგობართა თუსთათუს. თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქვენ. არღარა გეტყვ თქვენ მონად, რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი. ხოლო თქვენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქვენ“ [იოვანე 13-15]; „ამენ, ამენ გეტყვ თქვენ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა, რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს და უფროდსიდა ამისა ქმნეს, რამეთუ მე მამისა მივალ“ [იოვანე 14,12].

უფლისკენ გზაზე აღამიანს ეძლევა ახალ-ახალი ნიჭი: „...ნუგეშინისმცემელი იგი სულიწმიდად, რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან გასწაოს თქვენ ყოველი“ [იოვანე 14-26]; „ხოლო თუთოეულსა ჩუენსა მოცემულ არს გამოცხადებად იგი სულისად უმჯობესისათუს. რომელსამე სულისა მისგან მიცემულ არს სიტყუად სიბრძნისად ხოლო სხუასა სიტყუად მეცნიერებისად მითვე სულითა. და სხუასა სარწმუნოება დმისვე სულისაგან, რომელსამე მადლი კურნებათად მისგანვე სულისა, რომელისამე შეწევნანი ძალთანი,

რომელსამე წინადაწარმეტყულებად, რომელსამე განკითხვად სულთად, და სსუასა თესლად-თესლადი ენათად, და სსუასა თარგმანებად ენათად ხოლო ჰბაძევედით მადლთა ამათ უფროდსთა, და მერმე აღმატებული გზად გიჩუენო თქვენ” [პავლე, I – კორინთელთა 12,7-10,31]. ვისაც აქვს და ავითარებს ნიჭს – ემატება, ვინც მოცემულ ტალანტებს არ ამრავლებს ისიც ჩამოერთმევა, რაც მიეცა: „რამეთუ ყოველსა რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელ-და იგი აქუნდეს მო-ვე-ელოს მისგან” [მათე 25,29; ლუკა 19,26].

“უბრალო” ხელი და წმინდა გულია საჭირო ჭეშმარიტი ძალის მისაღებად. „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალოდ ხელითა და წმიდად გულითა, რომელმან არა აიღო ამოებასა ზედა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკვით მოყვასსა თვისსა” [ფს. 23].

ჭეშმარიტი სიმაღლე მხოლოდ თავმდაბლობით მიიღწევა: „არ არის რაიმე უფრო მაღალი, ვიდრე სიმდაბლე და უფრო მდაბალი, ვიდრე სიამაყე”, „ადამიანი ეძებს პატივს მათგან, ვისაც არაფრად აგდებს... ხოლო პატივი, რომელსაც მას მიაგებენ, დიდად ფასობს მისთვის”; „მდაბალს ვერ დაიჭერ ვერანაირივნებით, ვერც დიდების სიყვარულით, ვერც შურით, ვერც ეჭვით და რა შეიძლება იყოს ამგვარ, ყოველგვარი ვნებისგან განწმენდილ სულზე უფრო უდიდესი?” [3, გვ. 569-570]

ღვთივეკურთხეულია ადამიანთა გაერთიანება და კეთილი მიზნებისკენ სწრაფვა რწმენით: „უკუეთუ ორნი თქვენგანნი შეითქუნენ ქუყანასა ზედა ყოვლისათვისვე საქმისა, რომელიცა ითხოონ ეყოს მათ მამისა ჩემისა ზეცათადასა. რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის მუნ ვარ მე შორის მათსა” [მათე 18, 19,20]; „უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებად, ვითარცა მარცვალი მდოგვისად,

ჰოქუათ მთასა ამას: მიიცუალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარა შეუძლებელ იყოს თქვენ მიერ” [მათე 17, 20]; „რქუათ თუ მთასა ამას: აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუასა! იყოს ვგრე. და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქვენ” [მათე 21, 21].

წარმავალ დიდებას დამონებულს უფალი არ განადიდებს. იოანე ოქროპირი ცუდმედიდობას მემთვრალეობის სენს აღარებს, რომელიც ადამიანს ზეცას დაუხშავს და მიწას მიაჯაჭვავს. „დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოდსა ღმრთისასა არა ეძიებთ?” [ინ. 5-44] ასეთი ადამიანები ავადმყოფებს გვანან, რომელთა „კარგად ყოფნა” ბრბოს კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული, ბრბოს აზრი კი უსასრულოდ ჭრელია, მასზე დაქვემდებარებულის ცხოვრება კი – შტორმში შეგდებული უიალქო გემივით უგზო. რას მისცემს ადამიანს ბრბოში განდიდება? საბრალო ადამიანი, ვისაც ეს ცხოვრების მიზნად გაუხდია და რაოდენ საბრალო მასზე დაქვემდებარებული, მისი მიმდევარი. მათ პირველობა თვითგანდიდებისთვის სურთ. მათი ამოცნობა ადვილია – „... უყუარს ზემოჯდომად სერსა ზედა და პირველდაჯდომად შესაკრებელთა შორის. და მოკითხვაა უბანთა ზედა, და რადთა ხადოდიან კაცნი: რაბი! რაბი!” [მათე 23, 6-7]. უზენაესი ძალის აღიარება და მასზე დაქვემდებარება ის ღუზაა, რომელიც პიროვნებას არასოდეს აკარგვინებს სიმშვიდეს, ჭეშმარიტ ნაპირს. თავის მოწაფეებს უფალი განუჩენს მოკრძალებულ ადგილს საზოგადოებაში – „ხოლო თქვენ ნუ იწოდებით რაბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი – ქრისტე, ხოლო თქვენ ყოველნი ძმანი ხართ. და მამით ნუვის ხადის ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამად თქუენი, რომელ არს ცათა შინა. ნუცა გეთქუმინ თქვენ წინამძღვარი, რამეთუ ერთი არს წინამძღვარი თქუენი – ქრისტე” [მათე 23, 8-10].

იოანე ოქროპირის ქადაგებები მნიშვნელოვანი სწავ-

ლებათა ჭეშმარიტ მმართველობაზე – „რა არის ჭეშმარიტი ძალაუფლება? ის, რაც ადამიანისგან გაქვს მიღებული თუ ის, რაც შენშია? განა მეფე გაქცევს რიტორად ან ექიმად? ასევეა უფროსობაც. უფროსის სახელი ჯერ კიდევ არ ნიშნავს უფროსობას, როგორც წმინდანთა მოსახელენი არ არიან წმინდანნი. არსებობენ უფროსები ასეთი სახელების გარეშე. უფროსია ის, ვინც თავის თავს მართავს. ვისაც სახელში უფროსობა უნდა, მან პირველად საკუთარი სული უნდა მართოს. თუ საკუთარ სულს ვერ წარმართავს, სადაც მარტოა და ბატონ-პატრონია, მაშ სხვათა წარმართვას როგორ აპირებს? ვინც სახლს მართავს, ის ქალაქსაც წარმართავს, ხოლო ვინც ქალაქის წარმართვა შეძლო, ის სახელმწიფოსაც გაუძღვება. ვისაც საკუთარი სულის წარმართვა არ შეუძლია ის სახელმწიფოს როგორ გაუძღვება? მითხარი რა თვისებები უნდა ჰქონდეს უფროსს? ხელქვეითებისათვის სიკეთე არ მოაქვს და მათთვის არ ქველმოქმედებს? თუკი მსგავსი არაფერი აქვს, როგორ შეძლებს სხვებს სიკეთე მოუტანოს იმან, ვისაც სიკეთის ქმნა თავისთვის არ შეუძლია? ნუ იტყვი, რომ ესა და ეს ეტლით დაბრძანდება, წარბები მაღლა აუზიდავს და მცველებს გარემოუცავთ. ნურც მის სარტყელზე მეტყვი ნურაფერს, ნურც მის ხმამაღალ ყვირილზე. ამას ნუკი მიჩვენებ, როგორც მის გამორჩეულ თვისებას, არამედ მისი სულიერი მდგომარეობა მიჩვენე, საკუთარ ვნებებს, წამხდარ სურვილებს და მისწრაფებებს თუ მართავს და ძლევს. მაგალითად: ვერცხლის მოყვარეობისადმი მიდრეკილებას, მრისხანებას და ბილწ ვნებებს თუ იოკებს, შურიანი ხომ არ არის, მზვაობრობით ხომ არ შფოთავს, სიღარიბის, ან არახელსაყრელი ცვლილებების ხომ არ ეშინია. ეს შიში ბოლოს ხომ არ უღებს. აი ასეთი უფროსი მიჩვენე, აი ეს არის – ძალაუფლება... თუკი ადამიანებს წარმართავს, თავად კი ვნებებს ემონება, მაშინ ის ყველა ადამიანზე უფრო დამონებ-



ულია, ის მონაა და ვნებების ძალადობრივი ხელმწიფება მის სულშია განმტკიცებული. ვინცეს ხელმწიფება გადაიგდო, ბოროტ სურვილებს არ მიჰყვება, სიღარიბის და სახელის დაკარგვის არ ეშინია და ცხოვრებისეულ სიძნელეთა წინაშე უგონოდ არ ძრწის, ის თუნდაც ფლასით იყოს შემოსილი, სატუსალოში ჯაჭვით შებორკილი იჯდეს, უფროსს უწოდებს. ის თავისუფალიც არის და მეფეზე მეფეც” [3. გვ. 221].

იოანე ოქროპირი ბრძანებს, რომ ადამიანმა უნდა განიძარცვოს **„ბილწი სამოსელი“** – ცუდმედრობა, რადგან იგი ცოდვისთვის აღძრავს ადამიანს და შფოთის, მრისხანების, ანგარების, შურის, დასმენის, ცილისწამების **„დედა, ფესვი და წყარო“**. პავლე მოციქული ანგარებას კერპთაყვანისმცემლობად მიიჩნევს [ეფ. 5,5]. ეგრემ ასური ლოცვით შესთხოვს უფალს დაიფაროს მთავრობის მოყვარებისგან. **„უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო სულსა უქმობისასა და მიმწვიველელობისასა მთავრობისმოყვარებისასა და ცუდადმეტყველებისასა ნუ მიმცემ მე“**. ჭეშმარიტი განდიდება, სიმდიდრე და ძალაუფლება მოდის მხოლოდ მაშინ, როცა უზენაესი სიმათლის მსახურნი ვხდებით. **„არცა ვეძიებთ კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან და არცა სხუათაგან“** [თეს. 2,6]; **„ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა... და ესე ყოველნი შეგებინოს თქუენ“** [მთ. 6,33].

### **Orthodox Comprehension of Leadership**

**E. Gulua,**

**M. Khokhobaia**

Leadership is actual subject among modern society; Individuals desire to get more information in this direction. Leadership became highly required and valued skill. Some people believe that leadership is



the way of personal, social, professional improvement. The situation in labour market is the confirmation (corroboration) of abovementioned point. Companies endeavour select persons with leadership skills, which are great assets for every organization.

This article heeds Orthodox vision of leadership. When we make a choice how to attitude to leadership, the main buttress in this way is The Bible. Leadership, prioress isn't interdicted; contrariwise, if it submits divine lows, it's beatified. The Bible defines how must behave and which features must have the leader. „, Jesus called them together and said, “You know that the rulers of the Gentiles lord it over them, and their high officials exercise authority over them. Not so with you. Instead, whoever wants to become great among you must be your servant, and whoever wants to be first must be your slave— just as the Son of Man did not come to be served, but to serve, and to give his life as a ransom for many.” (Mathew 20, 25-28). The truth is not written on the stone or on the board, but on the candid heart. “You show that you are a letter from Christ, the result of our ministry, written not with ink but with the Spirit of the living God, not on tablets of stone but on tablets of human hearts.” (2 Corinthians 3:3).

Scientific understanding of leadership is not contradicting with orthodox comprehension. Leadership is the rediness for responsibility (Joe Montana); Leadership is skills in which leader gives to ather person means of expend their point of view. (Drucker);

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. წმინდა წერილი, ძველი აღთქმა მცხეთური ხელნაწერის მიხედვით. ახალი აღთქმა, გიორგი მთაწმინდელის რედაქციით – <http://www.nekeri.net/society/religion/pmb/>

2. განმარტება სახარებისათვის წმინდისა მოციქულისა და მახარებელისა მათესი, წმინდა იოანე ოქროპირი კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი. „ალილო“, თბილისი, 2009;
3. ცხოვრება და რჩეული თხზულებანი წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა. „სამება“, თბილისი 2007;
4. John Maxwell, “The Maxwell Leadership Bible”, Second Edition, New King Jame’s Version, NKJV, 2007;
5. <http://www.dwaynebess.com/139-2/>

**ოპტიმალური საგადასახადო  
ტვირთის განაზღვრების  
საკითხისათვის**

**თამარ კვიციანი,  
ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის დოქტორანტი**

ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთები მთლიანად საგადასახადო ტვირთის, სამეწარმეო სექტორისა და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. ამიტომ, ბუნებრივია კითხვა იმის შესახებ, თუ რა ზომის უნდა იყოს საგადასახადო განაკვეთები, რომ ის ოპტიმალურად მივიჩნიოთ. ამ კითხვაზე მსოფლიოში დღემდე არ არსებობს ერთიანი პასუხი. შეუქმნავებელია მოცემულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული, საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგია. მეცნიერ-ეკონომისტებს, სამთავრობო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს არ აქვთ ცალსახა, დასაბუთებული პასუხი კითხვაზე: რატომ არის მოგების გადასახადის განაკვეთი დასაბევრი მოგების 15% და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი დარიცხული შემოსავლის 20%?

მოცემული პრობლემა განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე ინტერაქტიულ მსოფლიოში, როდესაც გლობალიზაციის მაღალმა ტემპებმა ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის ტრადიციულ პარამეტრებში კორექტივები შეიტანა. ეს განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების დონის, ეკოლოგიური მდგომარეობისა და

ეკონომიკის მდგრადი განვითარების შეფასების ინოვაციური ინდიკატორების დანერგვის პრობლემას ეხება. ბუნებრივია, ახალი მიდგომებია საჭირო საგადასახადო შემოსავლების ინტეგრირების, საგადასახადო შემოსავლების განაკვეთებისა და მთლიანად საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობის უზრუნველყოფის მხრივ.

მაკრო დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიღწევის ღონისძიებებზე უფრო ნათელი წარმოდგენისათვის, ავავთ ლაფერის დინამიკური მრუდი საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე 1996–2012 წლების მიხედვით. დინამიკური ლაფერის მრუდი ბალანცისეული ინტერპრეტაციით ჩაიწერება შემდეგი ფორმულით:

$x = a \cdot q + b \cdot q^2$  (1), სადაც  $a$  და  $b$  შეფასებადი პარამეტრებია. (1) მოდელი, ერთდროულად, სამი ინდიკატორის მიღების საშუალებას გვაძლევს. ესენია, დინამიკური ლაფერის წერტილი ( $q^*$ ), სტატიკური ლაფერის წერტილი ( $q^{**}$ ) და ეკონომიკის მაქსიმალური მატების ტემპი ( $x^*$ ).

$$x = \frac{x_t - x_{t-1}}{x_{t-1}} - \text{არის მშპ-ის მატების ტემპი};$$

$q = \frac{T}{X}$  - არის საგადასახადო ტვირთი [1, გვ.209]. (მოცემულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“, N4, 2012 - აღნიშნულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერების იური ანანიაშვილის და ვლადიმერ პაპავას დამსახურება).

ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის შესაფასებლად გავაანალიზოთ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. (იხ. ცხრილი 1)

**ფინანსური კომოდიკა**

საქართველოს მშპ-ისა და საგადასახადო შემოსავლების  
 მანკენებლები 1996-2012 წლებში (1996 წლის უცვლელი  
 ფასებით, მლნ ლარი)

ცხრილი 1

წელი	მშპ	საგადასახადო შემოსავლები
1996	3868,5	386,2
1997	4275,4	727,9
1998	4408,1	663,0
1999	4534,6	736,9
2000	4617,9	753,1
2001	4839,9	833,9
2002	5104,8	887,2
2003	5669,3	890,8
2004	6001,5	964,3
2005	6577,3	975,8
2006	7194,5	1043,5
2007	8082,1	1223,6
2008	8269,1	1230,4
2009	7956,9	1209,1
2010	8454,5	1224,5
2011	9060,9	1349,2
2012	9615,0	1450,6

ექსელში ჩატარებული რეგრესიული ანალიზის შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

SUMMARY OUTPUT					
<b>Regression Statistics</b>					
Multiple F	0,998816				
R Square	0,997634				
Adjusted	0,930809				
Standard	0,055063				
Observati	17				

## თამარ კბილაძე

ANOVA								
	df	SS	MS	F	gnificance F			
Regression	2	19,17362	9,586811	3161,945	2,57E-19			
Residual	15	0,045479	0,003032					
Total	17	19,2191						
Coefficient								
	Standard Err	t Stat	P-value	Lower 95%	Upper 95%	Lower 95,0%	Upper 95,0%	
Intercept	0	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A
X Variable	16,01418	1,039874	15,40011	1,34E-10	13,79774	18,23062	13,79774	18,23062
X Variable	-58,671	6,643468	-8,83138	2,5E-07	-72,8312	-44,5108	-72,8312	-44,5108

თავისუფლების 17 ხარისხისთვის და მნიშვნელოვნების 5%-იანი დონისთვის სტიუდენტის განაწილების კრიტიკული დონეა 2,110, ორივე კოეფიციენტისთვის. ანუ, მიიღება ალტერნატიული ჰიპოთეზა და ხდება ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა. ეს კი ნიშნავს, რომ მიღებული განტოლების ორივე კოეფიციენტი მნიშვნელოვანია.

ამასვე ადასტურებს ნდობის ინტერვალი, რომელშიც ნული არ ჩავარდა არცერთი კოეფიციენტის შემთხვევაში, რაც გვაძლევს ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფის და ალტერნატიული ჰიპოთეზის მიღების საშუალებას კოეფიციენტების მნიშვნელოვნების დასტურად.

რაც შეეხება თვით განტოლების მნიშვნელობას, პირველ რიგში, შევხედოთ დეტერმინაციის კოეფიციენტს, რომელიც არის შედეგობრივი ცვლადის მთლიან გაფანტულობაში რეგრესიით ახსნილი გაფანტულობის წილი. რაც უფრო ახლოს არის ეს კოეფიციენტი ერთთან, ნიშნავს, რომ დაკვირვების წერტილები მით უფრო ახლოს არის განლაგებული რეგრესიის წრფესთან. ცხრილში დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,99-ის ტოლია, რაც მიგვითითებს რეგრესიის მოდელის მნიშვნელოვნებაზე. ამაზე მეტყველებს, ასევე, მაღალი კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობაც.

განტოლების მიშენელოვნების სასარგებლოდ მეტყველებს, ასევე, F სტატისტიკაც, რომელიც დიდად აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას თავისუფლების 2 და 14 ხარისხებისთვის.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, მოდელი აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ სტატისტიკური შეფასების პარამეტრებს. ლაფერის მრუდი საქართველოს ეკონომიკისათვის შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$x=16,014 q-58,671q^2 \quad (2)$$

პარაბოლის ამოხსნით მივიღებთ, რომ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი, ანუ დინამიკური ლაფერის წერტილი  $q=13,6\%$ -ს, ხოლო ეკონომიკის შესაბამისი ოპტიმალური ზრდა არის  $9,3\%$ , სტატისტიკური ლაფერის წერტილის მნიშვნელობა ტოლია  $17,6\%$ -ის. თუ გადავხედავთ ეკონომიკის რეალური ზრდის მონაცემებს (ცხრილი 2) და ასევე, საგადასახადო ტვირთის მონაცემებს, შეგვიძლია თითოეული წლისთვის შევაფასოთ ამ მაჩვენებლების ოპტიმალური დონიდან გადახრის სიდიდე.

სტატისტიკური ლაფერის მრუდის წერტილები (იხ. სქემა) აღნიშნავს ეკონომიკის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მშპ ინარჩუნებს ზრდის მუდმივ ტემპს, რომელიც ტოლია ერთის. ამ წერტილებს შორის მოქცეულია ფისკალური პოლიტიკის სამოქმედო დიაპაზონი. ამ შუალედს მიღმა გადაცდენა ქვეყანას ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანს. სტატისტიკური ლაფერის წერტილების შეფასებული მნიშვნელობები საქართველოს ეკონომიკისთვის არის, შესაბამისად -  $9,6\%$  და  $17,6\%$ . ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო ტვირთის დაწევა  $9,6\%$

## თამარ კბილაძე

-ის ქვემოთ გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ვარდნას, ასევე, საგადასახადო ტვირთის გაზრდა 17,6%-ის ზემოთ, ქვეყნის ეკონომიკის რეცესიულ მდგომარეობაში შეყვანას ნიშნავს.


საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდა (%-ობით წინა წელთან შედარებით) და საგადასახადო ტვირთი 1996 – 2012 წლებში

ცხრილი 2

წლები	მშპ-ის რეალური ზრდის ტემპები	საგადასახადო ტვირთი
1996	1,113	0,099
1997	1,1053	0,170
1998	1,0313	0,150
1999	1,029	0,163
2000	1,018	0,163
2001	1,048	0,172
2002	1,055	0,174
2003	1,111	0,157
2004	1,059	0,160
2005	1,096	0,148
2006	1,094	0,145
2007	1,123	0,151
2008	1,023	0,149
2009	0,962	0,152
2010	1,062	0,145
2011	1,072	0,149
2012	1,061	0,151



ოპტიმალურობის თვალსაზრისით, რაციონალურია თუ საგადასახადო ტვირთის მნიშვნელობა მიუახლოვდება 13,6%-ს მარცხნიდან, თუმცა, აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯების გაწვევისათვის, ფისკალური პოლიტიკის შედგენით დაკავებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები, ალბათ, საგადასახადო ტვირთის პარამეტრებად 13,6% - 17,6%-მდე შუადღეს აირჩევენ. ასეთ პირობებში, გარდა იმისა, რომ მაღალია ბიუჯეტის შემოსავლები, ეკონომიკაც შესაბამისად იზრდება. ამრიგად, საგადასახადო ტვირთის 13,6% - 17,6%-იანი ინტერვალი საკონტროლო და საპროგნოზო, საორიენტაციო პარამეტრია.



მაკრო დონეზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მიმართულებად გვესახება ევროკავშირის წევრ ახალ და ძველ ქვეყნებთან

## თამარ კბილაძე

საქართველოს საგადასახადო ტვირთის შემდგომი დაახლოება. ამ იდეის სიცხადისათვის საჭიროა განვიხილოთ საგადასახადო ტვირთის დინამიკის ტენდენციები ევროკავშირსა და მასში შემავალ ქვეყნებში.

საგადასახადო ტვირთმა ევროკავშირის 27 ქვეყნის მიხედვით (EU 27)<sup>1</sup> 2011 წელს მშპ-ის 38,8% შეადგინა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2010 წელს – 38,3%, ხოლო 2009 წელს – 38,4% შეადგინა. საგადასახადო ტვირთმა ევროზონაში (EA 17)<sup>2</sup> 2011 წელს მოიმატა წინა წლებთან შედარებით და შეადგინა 39,5%, მაშინ როცა 2010 წელს-39,0%, ხოლო 2009 წელს-39,1% იყო.

საგადასახადო ტვირთი განსხვავდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით: 2011 წელს 30%-ზე ნაკლები დაფიქსირდა შემდეგ ქვეყნებში: ლიტვა-26,0%; ბულგარეთი 27,2%; რუმინეთი-28,2%; სლოვაკეთი-28,5%; ირლანდია-28,9%; 40%-ზე მეტი დაფიქსირდა დანიაში-47,7%; შვედეთში-44,3%; ბელგიაში-44,1%; საფრანგეთში-43,9%; ფინეთში-43,4%; იტალიაში-42,5% და ავსტრიაში-42,0%.

საგადასახადო ტვირთის მაჩვენებლის ყველაზე მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა 2010- 2011 წლებში პორტუგალიაში (31,5 %-დან 33,2%-მდე), რუმინეთში (26,7%-დან 28,2%-მდე), საფრანგეთში (42,5%-დან 43,9%-მდე), ხოლო შემცირება დაფიქსირდა ესტონეთში (34,1%-დან 32,8%-მდე), შვედეთში (45,4%-დან 44,3%-მდე), ლიტვაში (27,0%-დან 26,0%-მდე).

1 EU 27- ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, უნგრეთი, მალტა, პოლანდია, ავსტრია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი.

2 EA17- ბელგია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ავსტრია, პორტუგალია, სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი.

ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში (EU 27) საგადასახადო შემოსავლების ყველაზე დიდი ნაწილი მოდის საშემოსავლო გადასახადებზე, რომელსაც მოსდევს გადასახადები მოხმარებაზე (შემოსავლების ერთი მესამედი) და გადასახადები კაპიტალზე (შემოსავლების ერთი მეხუთედი).

საგადასახადო ტვირთის მოცულობამ შრომაზე EU 27-ში, 2010 წლიდან 2011 წლამდე, 35,4%-დან 35,8%-მდე მოიმატა. 2011 წელს მალტაში საგადასახადო ტვირთი შრომაზე დაფიქსირდა-22,7%; ბულგარეთში-24,6%; პორტუგალიაში-25,5%; დიდ ბრიტანეთში-26,0%; ბელგიაში-42,3% და ავსტრიაში-40,8%.

საგადასახადო ტვირთის მოცულობამ მოხმარებაზე EU 27-ში, 2010 წლიდან 2011 წლამდე, 19,7%-დან 20,1%-მდე მოიმატა. 2011 წელს ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთი მოხმარებაზე დაფიქსირდა ესპანეთში (14,0%), საბერძნეთში (16,3%), ლატვიაში (17,2%), იტალიაში (17,4%). ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი აღინიშნა დანიაში (31,4%), შვედეთში (27,3%), ლუქსემბურგში (27,2%), უნგრეთში (26,8%), ფინეთში (26,4%).

საგადასახადო ტვირთის მოცულობამ კაპიტალზე, 2011 წელს 2010 წელთან შედარებით, 10 წევრი ქვეყნის მიხედვით დაიკლო, ხოლო 9 ქვეყანაში მოიმატა. მისმა მოცულობამ ლიტვაში 5,5%, ხოლო საფრანგეთში - 44,4 % შეადგინა.[3, <http://ec.europa.eu>]

ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში (EU 27) საშემოსავლო გადასახადის საშუალო მაჩვენებელმა 2013 წელს 38,7% შეადგინა, ხოლო 2012 წელს 38,1%. ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა შვედეთში (56,6%); დანიაში (55,6%); ბელგიაში (53,7%); პორტუგალიაში (53,0%);

## **თამარ კბილაძე**

---

ესპანეთსა და ნიდერლანდებში (52,0%); ყველაზე დაბალი აღინიშნა ბულგარეთში (10,0%); ლიტვაში (15,0%); უნგრეთსა და რუმინეთში (16,0%).

მოგების გადასახადის საშუალო მაჩვენებელმა ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში (EU 27) 2013 წელს შეადგინა 23,0%. ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი მოგებაზე დაფიქსირდა საფრანგეთში (36,1%); მალტაში (35,0%); ბელგიაში (34,4%); ხოლო ყველაზე დაბალი აღინიშნა ბულგარეთსა და კვიპროსში (10%) და ირლანდიაში (12,5%).

დღგ-ის საშუალო პროცენტულმა მაჩვენებელმა 27 წევრ ქვეყანაში (EU 27) 2013 წელს 21,3% შეადგინა. 2012 წელთან შედარებით ექვსმა წევრმა ქვეყანამ გაზარდა საპროცენტო განაკვეთი დღგ-ზე, მხოლოდ და მხოლოდ ლიტვაში შემცირდა აღნიშნულ გადასახადზე საპროცენტო განაკვეთი. 2013 წელს, დღგ-ზე განაკვეთი განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით: 15% დაფიქსირდა ლუქსემბურგში, 18% – კვიპროსსა და მალტაში, 27,0% – უნგრეთში და 25% – დანიასა და შვედეთში. [4, <http://ec.europa.eu>]

საქართველოში ცალკეული სახეობის გადასახადების საპროცენტო განაკვეთები დაბალია როგორც მთლიანად ევროკავშირის, ასევე მის ცალკეულ ძველ და ახალ წევრ ქვეყნებთან შედარებით.

საქართველოში საგადასახადო ტვირთის ანალიზმა და მოცემულ საკითხზე ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში დღეისათვის არსებული საგადასახადო ტვირთი საჭიროებს შემდგომ ოპტიმიზაციას, რაც ეკონომიკის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

T. Kbiladze

High speed of globalization has created inevitability of ensuring objectives of sustainable development of economics and optimally determined taxes can play very important role in it, which is the main factor for formation of tax burden. This in itself is an important leverage for achieving the sustainable development and prosperity of society. Sustainable development of economy and business promotion greatly depends on heaviness and lightness of tax burden. Thus, it is very important and difficult scientific and practical problem to determine the optimal size of tax burden. There still does not exist universally accepted methodology for determining optimal tax rates, which is the main issue for optimal tax burden formation.

Thus, analysis of tax burden and according to our research it is obvious that nowadays the existing tax burden in Georgia needs further optimization which is the most important factor for sustainable development of country's economy.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Е.В.Балацкий, Н.А.Екимова, Налогово- бюджетная политика и Экономический рост, «Общество и экономика», N4-5,2011;
2. ქართველ მეცნიერთა აღიარება, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N4, 2012;
3. [http://ec.europa.eu/taxation\\_customs/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/taxation_customs/index_en.htm)
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

---

---

**ქურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის  
წარმოშობის და გამოქვეყნების წესი**

1. ქურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

2. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიხალე), რეკომენდაციები.

3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს.

4. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-დან 1500-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

5. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ვეზემპლარად, ელვერსიასთან ერთად( MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman).

6. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

7. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბო-

---

ლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი.

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5, გვ. 41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

8. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

9. სტატიას, რომელიც არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს

10. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

საკონტაქტო ტელეფონები:

2 30 36 68; 2 30 40 78;

599 24 77 47; 599 10 38 16

e-Mail: ebf.journal@tsu.ge; lia\_lugela@mail.ru

---

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი